„ძველები" გააქტიურდნენ თბილისისა და მისი ბიუჯეტის დათმობა ძველ საკრებულოს არ სურს A3

ზაიცევის მკვლელობამ რუსული ისტერია უფრო გაამძაფრა A7

დისკუსია თემაზე: რას გვპირდება ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი A8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 10 აგვისტო, 2002 წელი. №69

ფასი 50 თეთრი

## აჭარულ-აფხაზური გამბიტი

### მაგრამ რა დააშავა ხალხმა?

გიორგი ასანიშვილი

აჭარის საპარლამენტო დეპუტაციასა და აფხაზეთიდან დევნილ ხელისუფლებას შორის კონფრონტაცია დღითიდღე მწვავდება და საშიშ ხასიათს იძენს. ფართოვდება კონფლიქტის არეალიც. თუ აქამდე დაპირისპირება თბილისში პრესკონფერენციების გამართვითა და სიტყვიერი პოლემიკით შემოიფარგლებოდა, გუშინდელი დღიდან ვნებათა ღელვა დედაქალაქის ფარგლებს გასცდა და თანაც უფრო მკვეთრი ხასიათი შეიძინა: დევნილებმა ზუგდიდში დაიწყეს საპროტესტო აქცია - ასლან აბაშიძისთვის პრეზიდენტი შევარდნაძის სპეციალური წარმომადგენლის სტატუსის ჩამორთმევის მოთხოვნით.

როდესაც კონფრონტაცია დარბაზიდან ქუჩაში გადადის, ეს უკვე, თავისთავად, საშიში ტენდენციის მაჩვენებელია. საფრთხის ხარისხი კიდევ უფრო მატულობს, როდესაც საქმე ეხება ისეთ სფეროს, როგორიც არის ქვეყნის ცალკეული მხარეების ხელმძღვანელთა ურთიერთობა. ამ დროს ერთი გაუფრთხილებელი ნაბიჯი ან შეგნებული პროვოკაცია სავსებით საკმარისია სამოქალაქო კონფლიქტის დასაწყებად. მსგავს ფორს-მაჟორულ სიტუაციებში დიდი მნიშვნელობა აქვს ცენტრალური ხელისუფლების ენერგიულ ქმედებებს, რათა თავიდან იქნას აცილებული ფეოდალური ეპოქისთვის დამახასიათებელი კუთხური დაპირისპირება. ცენტრი კი დღეს მეტად საეჭვოდ დუმს და ასეთი წაყრუებით, თითქოს, ერთგვარად აქეზებს კიდეც მოდავე მხარეებს.

გაგრძელება A2 გვერდზე



დევნილების მიტინგი "იმელ"-ის წინ

იური ლობოდინის ფოტო

## ხელისუფლება "ფოთოლს" იხსნის...

თამარ ხორბალაძე

***"საზოგადოება მოითხოვს ჩვენგან დემაგოგებისა და პროვოკატორების დასჯას. ქვეყანაში დანაშაულებათა ზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლავთ გამეფებული უსაზღვრო სიტყვის თავისუფლება და ცილისწამების კამპანია. ჩვენში რატომღაც თვლიან, რომ სიტყვის თავისუფლების დაცვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანის პატივისა და ღირსების..."*** *- ეს გამოსვლა ჩვენი საერთო კომუნისტური წარსულიდან არ გეგონოთ. არც 37-იანი წლების საქართველოს კომპარტიის ყრილობიდან გახლავთ ამონაწერი და არც "გარდაქმნაუზიარებელი" კომუნისტური ლიდერების მოხსენებიდან. ამ მოსაზრებამ 2002 წლის ზაფხულში, ოცდამეერთე საუკუნის "თავისუფალ" საქართველოში, ივლისის მიწურულს, გენერალური პროკურორის გამოსვლისას, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე გაიჟღერა.*

*პროკურატურის ხელმძღვანელმა პირდაპირ მიანიშნა სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობაზე და სწორედ ეს გახლდათ ის ძირითადი პოლიტიკური მუხტი, რომელიც მთავრობის საგაზაფხულო სხდომიდან წამოვიდა. გაბრიჩიძის დემარში კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველოში საერთო სიტუაცია რეგრესის გზით მიდის.*

მთავრობის გაფართოებული სხდომებს ყოველთვის ჰქონდა ორთქლის გამოშვების საპატიო და ამაღელვებელი ფუნქცია.

გაგრძელება A3 გვერდზე

## რუსეთი ენერგეტიკული ბლოკადით გვემუქრება

ზაზა წულაძე

*მოსკოვი ამჯერად ენერგეტიკული ბლოკადით გვემუქრება. რუსული სააგენტო "გრანის" ცნობით, გუშინ კრემლში, პრეზიდენტ პუტინისა და რუსეთის მთავრობის ენერგობლოკის წარმომადგენელთა დახურულ შეხვედრაზე, შეთანხმდა გეგმა, რომელიც, საქართველოზე ეკონომიკური ზეწოლით, თბილისისა და მოსკოვის უკიდურესად დაძაბული ურთიერთობის "გაჯანსაღებას" ითვალისწინებს.* ***"პირველ რიგში, აქცენტი გაკეთდება ენერგეტიკულ ბლოკადაზე, დღეს საქართველო სწორედ ენერგომატარებლებით არის მიბმული რუსეთზე. ამ გეგმით, ახლო მომავალში საქართველოში წყვდიადი გამეფდება,"*** *– აცნობა გუშინ კონფიდენციალურმა წყარომ რუსეთის მთავრობაში სააგენტო "გრანის".*

რუსეთისა და საქართველოს ენერგოსისტემების დამაკავშირებელი ხაზების დაზიანების გამო, საქართველო ორ თვეზე მეტია, რუსეთიდან ელექტროენერგიას არ იღებს. **"რუსეთისგან კარგა ხანია, ელექტროენერგიას აღარ ვიღებთ, ყველა გადამცემი ხაზი დაზიანებულია და რის გათიშვას აპირებენ, არ ვიცი. ამჯერად საქართველოს 18-20 მილიონი კილოვატ საათი ელექტროენერგია სჭირდება, დაახლოებით ამ რაოდენობას კი ენგურჰესი გამოიმუშავებს. ერთადერთი გართულება, თუ რუსებმა ბლოკადა მართლა განახორციელეს, გაზის გათიშვა იქნება.**

გაგრძელება A3 გვერდზე

გუმბათის "რევოლუცია" ხალხის გამარჯვებით დასრულდა A2

პურის ახალი გადასახადი კვლავ "გაერთიანებული დემოკრატების" ყურადღების ცენტრშია A4

1200 ლარი გაკოტრების თავიდან ასაცილებლად A4

ნოვოროსიისკში სტიქია მძვინვარებს A5

თბილისის ზღვის ამბები A6

წითელი ბარათი ქველმოქმედებისთვის A6

რუსი პოლკოვნიკის მკვლელობას ექვმიტანილი არ აღიარებს A7

### ამინდი

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | 32 | |
| ქუთაისი | 28 | |
| ბათუმი | 25 | |
| სოხუმი | 26 | |
| ფოთი | 26 | |
| თელავი | 29 | |
| ზუგდიდი | 27 | |
| გორი | 27 | |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1800 |
| ევრო | 2.1148 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3381 |
| რუბლი | 0.0690 |

## ვის სურდა „ელექტროკავშირის" ყიდვა?

### მსოფლიო ბანკი "ელექტროკავშირისა" და "ტელენორის" ბიზნეს-ურთიერთობებში მონაწილეობას არ ადასტურებს

გვანცა კვინიკაძე

გიორგი კალანდაძე

*"ტელენორს" ბოლო ორი წლის მანძილზე არაერთი მცდელობა ჰქონდა, "საქართველოს ელექტროკავშირში" პრივატიზების შედეგად ან მართვის კონტრაქტის საფუძველზე შესულიყო. თუმცა, მანამდე ნორვეგიელთა პარტნიორები გაცილებით სოლიდური კომპანიები იყვნენ, ვიდრე ამჟამინდელი ოფშორული "სელფორდია". ჯერ კიდევ 2002 წლის დასაწყისში, "ელექტროკავშირის" პარტნიორის შერჩევა გერმანული "კომერცბანკის" კონსორციუმის საზრუნავი იყო, რომლის შემადგენლობაშიც*

გაგრძელება A4 გვერდზე

## „იტერა" პარტნიორად სახელმწიფო სტრუქტურას ითხოვს

მაია ურუშაძე

*2000 წლის ივლისში, როდესაც "იტერამ" ქართულ მხარეს "თბილგაზის" 75 პროცენტის გამოსასყიდად მილიონ-ნახევარი დოლარი შესთავაზა, ის თითქოს მზად იყო, გადაეხედა ქართული ვალებისთვისაც. მას შემდეგ, რაც მან ტენდერში მონაწილეობის უფლებაზე საქართველოს ხელისუფლებისგან მტკიცე უარი მიიღო, დანგრეული "თბილგაზის" ყიდვა გადაიფიქრა და ეს საკითხი თავისით აღარ წამოუწევია. "იტერასთვის" ნათქვამი უარი კი, ვითომ, ანტიმონოპოლიური სამსახურის იმ დასკვნას დაემყარა, რომლის თანახმადაც ერთსა და იმავე კომპანიის ხელში გაზის მიწოდებისა და განაწილების მოქცევა მას მონოპოლისტად აქცევდა. იმის შიშით, რომ "იტერამ" "თბილგაზის" მოვლა "ტაჰალივით" არ გადაიფიქროს, დღეს ხელისუფლება ამ საკითხზე აღარ საუბრობს.*

### ვინ არის "იტერა"

"იტერა" გაზის ტრანზიტს, ძირითადად, "გაზპრომის" კუთვნილი მილსადენებით აწარმოებს. ფლობს საკუთარ გაზის საბადოებსაც. მას ინტერესები აქვს ლატვიის, უკრაინის, სომხეთის, მოლდოვისა და ბელორუსის გაზის სექტორებში, მოიპოვებს ოქროს მონღოლეთში, საბადოებისა და კარიერების მფლობელია რუსეთის სხვადასხვა ნაწილში, ფლობს მეტალურგიულ ქარხანას მოლდოვაში, სხვადასხვა სახის უძრავ ქონებას ცენტრალურსა და აღმოსავლეთ ევროპაში. "იტერას" ჯგუფი მრავალი

გაგრძელება A3 გვერდზე

## კოკა იგნატოვი: „მზე შიგნიდანაც ხომ ანათებს?"

B1



დღეს კოკა იგნატოვს უკანასკნელ გზაზე გააცილებენ

## რუსეთის მოქალაქეები ქართულ მართლმსაჯულებას არ ენდობიან

ხათუნა ჯანგირაშვილი

ბოლო სამი დღის განმავლობაში მეხუთე საპყრობილე საქართველო-რუსეთის საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის ბრალდებით დაპატიმრებულებით აივსო. ჩეჩენთა ცამეტკაციან ჯგუფს (მათ, სამი მუხლით წაყენებული ბრალდებით, ათი წლით პატიმრობა ელით), გუშინ საოლქო სასამართლომ რუსეთის მოქალაქეთა სამკაციანი ჯგუფიც მიუმატა, რომლებსაც, ჩეჩნებისგან განსხვავებით, ჯერჯერობით, მხოლოდ ერთი – საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთა და სავიზო რეჟიმის დარღვევა ედებათ ბრალად. მოსამართლე იური გაბისონიას გადაწყვეტილებით უკმაყოფილო რუსეთის მოქალაქეებმა - მიხაილ ტიჩკოვმა, იური უგრიუმოვმა და ვლადიმირ ბლინოვმა, რომლებმაც ათი დღის წინ საქართველო-რუსეთის საზღვარი დაარღვიეს, გუშინ საოლქო სასამართლოშივე გამოაცხადეს შიმშილობა, პრესკონფერენციის გამართვა და მასზე რუსული საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენელთა დასწრება მოითხოვეს.

"ხაჭაპურის საჭმელად", "მშობლების საფლავის მოსანახულებლად" და "საკუთარი ავტომანქანა "ნისან-პატრულის" წასაყვანად" საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსული რუსეთის მოქალაქეები, რომელთაც დაკავებისას ამავე ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების მოწმობები აღმოაჩნდათ, გუშინ მეხუთე საპყრობილის გზას გაუყენეს.

გაგრძელება A7 გვერდზე

## შეხვდა თუ არა ჟორდანია ბლატერს?

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გვამცნეს, რომ FIFA-ს პრეზიდენტთან შესახვედრად ციურიხში გამგზავრებული სფფ-ს პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია და გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია, გუშინ დილით მართლაც შეხვდნენ ზეპ ბლატერს.

საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესი" კი იუწყება, რომ ბლატერი საერთოდ არ იმყოფება შვეიცარიაში.

გუშინ საღამოს გაზეთი "24 საათი" ჟორდანიას ციურიხში დაუკავშირდა.

გაგრძელება B6 გვერდზე

## რუსული პრესის პათოსი მგზავრებსაც გადაედოთ

რუსიკო ნიკურაძე

*საქ.კორ.მოსკოვში*

ბოლო დღეების რუსული მედია საქართველოს პრობლემებით სულდგმულობს. საქართველოს და მისი ხელმძღვანელობის ლანძღვაში ბულვარული პრესის მყვირალა სათაურებს არც ხელისუფლების გაზეთები ჩამორჩებიან და არც მედია-მაგნატების, ე.წ.ოლიგარქების მიერ კონტროლირებადი გამოცემები.

"როსიისკაია გაზეტა" 8 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ ვრცელ სტატიაში - "თეთრი მელა" - ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური პორტრეტის ზოგიერთ შტრიხზე ესაუბრება მკითხველს.

**"სრულებითაც არ შეიძლება იმის გამორიცხვა, რომ საქართველოს, უკანასკნელი თხუთმეტი საუკუნის მანძილზე, მისი ბადალი სტრატეგი არ ჰყოლია. სამხედრო ხელოვნებაში შევარდნაძე აშკარად არ არის ძლიერი და არც ჩამოუკიდებია გენერლის ან მარშლის ვარსკვლავები. სამაგიეროდ, დიპლომატიურ ასპარეზზე არაფრითაა გენერალისიმუსზე ნაკლები,"** -

გაგრძელება A3 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 სტილი B3 რეკლამა B4-B5 კვირის პროგრამა B6 სპორტი B7 სპორტი B8 სხვადასხვა

**თბილისი**. საქართველო, ძირითად კაპიტალში ინვესტირებული თანხის მოცულობის მიხედვით, დსთ-ს ქვეყნებში მეშვიდე ადგილს იკავებს. ინვესტიციების ზრდამ 2002 წლის პირველ ნახევარში საქართველოში 3 პროცენტიანი ზრდა დააფიქსირა.

ყველაზე დიდი ზრდა, ინვესტიციციების განხორციელების თვალსაზრისით, აზერბაიჯანში დაფიქსირდა - 101%. მას მოსდევს სომხეთი - 25% მოლდოვა - 12%, უკრაინა - 10%, ყაზახეთი - 9%, ბელარუსი - 6%, რუსეთი - 2%. ყირგიზეთში ინვესტიციების 3%-იანი შემცირება ფიქსირდება. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილავიამშენის" მიერ წარმოებული "სუ-25"-ის ბაზაზე მოდერნიზებული ტიპის მოიერიშე თვითმფრინავი "სკორპიონით" რამდენიმე ქვეყანა დაინტერესდა.

"თბილავიამშენის" მიერ წარმოებულ ქართულ თვითმფრინავ "სკორპიონს" ინგლისში გამართული საფრენი აპარატების გამოფენაზე ფრენებში მონაწილეობა არ მიუღია. ამის მიზეზი ახალი ნორმატიული ჩარჩოები გახდა, რომელის თანახმადაც თვითმვრინავს ფრენის ულფება იმ შემთხვევაში ეძლევა, თუ მისი ანალოგიური ტიპის კიდევ ერთი თვითმფრინავი საჩვენებელი ფრენის მომენტში მიწაზე იმყოფება, ანუ საწარმო გამოფენაზე მინიმუმ ორი თვითმფრინავით უნდა იყოს წარმოდგენილი.

მიუხედავად ამისა, ქართული "სკორპიონის" შეძენით რამდენიმე ქვეყანა დაინტერესდა.

აღნიშნული ქვეყნების დასახელებისგან "თბილავიამშენის" ხელმძღვანელობა თავს იკავებს. გასაიდუმლოებულია აგრეთვე "სკორპიონის" საბაზრო ღირებულება. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** სახელმწიფო უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე ირაკლი ალასანია აცხადებს, რომ ამ ეტაპზე პანკისის ხეობაში არსებული სიტუაციის დასარეგულირებლად ამერიკელ სამხედროთა ჩართვის აუცილებლობას ვერ ხედავს.

თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარემ, ირაკლი ბათიაშვილმა თავის მხრივ განაცხადა, რომ "საქართველოს საკმარისი შესაძლებლობა აქვს პანკისის ხეობაში წესრიგის დასამყარებლად".

როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციისა და საზოგადოებასთან ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორმა კახა სიხარულიძემ თქვა, აშშ-ს მხრიდან ზემოხსენებული ხასიათის წინადადებები არ ყოფილაა. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**ახმეტა.** ხვალიდან მთა-თუშეთის საავტომობილო გზებზე აღდგენითი სამუშაოები დაიწყება. ამ სამუშაოებში ადგილობრივი მოსახლეობაც დასაქმდება.

ამერიკის განვითარების სააგენტოს ეგიდით, საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორმა" ამ დღეებში თუშეთის ხუთი სოფლის საკრებულოების წარმომადგენლებთან ერთობლივ პროექტს მოაწერა ხელი.

92 ათასი ლარის ღირებულების პროექტით, უპირველეს ყოვლისა, მოწესრიგდება მთა-თუშეთის სოფლების — ზემო და ქვემო ალვანის, კასრიწყლის და ლალისყურის გზები, ასევე თუშეთის სხვა 50-მდე სოფლის საავტომობილო გზები.

აღდგენითი სამუშაოები სწრაფი ტემპით წარიმართება და სექტემბრის ბოლომდე დასრულდება, რადგან ოქტომბრიდან, დიდთოვლობის გამო, მთა-თუშეთში გზები იკეტება. (მედია-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** 2004 წლიდან საქართველო ევროპის ქვეყნების ბუნებრივი აირით უპრობლემოდ მომარაგებას შეძლებს. ამის შესახებ განაცხადა საქართველოს საერთაშორისო ნავთობის კორპორაციის პრეზიდენტმა, გია ჭანტურიამ.

ჭანტურიას თქმით, გრანტი, რომელიც აშშ-ს ვაჭრობისა და განვითარების სააგენტოს ხელშეწყობით გამოუყვეს საქართველოს, საშუალებას მისცემს ქართულ მხარეს შეისწავლოს ის პერსპექტიული ადგილები, სადაც გაზსაცავი უნდა აშენდეს. სავარაუდოდ, გაზსაცავის მშენებლობა, რომელშიც კასპიური გაზი იქნება აკუმულირებული, საქართველო-აზერბაიჯანის საზღვართან ახლოს და დასავლეთ საქართველოში უნდა მოხდეს, რომლის მშენებლობაც, ჭანუტრიას თქმით, 60 მილიონი დოლარი დაჯდება.

"უახლოეს პერიოდში ამერიკიდან ჩამოვა 22 ექსპერტი, რომლებიც გაზსაცავის მეთოდოლოგიურ-ფინანსურ სიტუაციას შეისწავლის. გაზსაცავის მეშვეობით საქართველო შეძლებს, რომ ზაფხულში შეიძინოს ბუნებრივი აირი და ზამთარში ევროპის სხვადასხვა ქვეყნები მოამარაგოს გაზით " - განაცხადა გია ჭანტურიამ და დასძინა, რომ შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობასაც მოეხსნება ზამთარში ბუნებრივი აირის პრობლემა. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის მთავრობის ვიცე-პრემიერი ახმედ ზაკაევი აცხადებს, რომ მისთვის საველე მეთაურის რუსლან გელაევის ადგილსამყოფელი უცნობია, თუმცა, ადასტურებს, რომ გელაევი ჩეჩნეთის ტერიტორიაზე არ იმყოფება. რუსეთის მონაცემებით, გელაევი პანკისის ხეობაში იმალება. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველო ბათუმიდან და ახალქალაქიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების გაგრძელებას მოითხოვს, რამდენადაც ამ საკითხის დარეგულირებაზე ბევრადაა დამოკიდებული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ნორმალიზაციის პროცესი.

ამ საკითხზე 6 აგვისტოს, მოსკოვში ექსპერტთა მორიგი კონსულტაციები უნდა გამართულიყო, თუმცა, რუსული მხარის თხოვნით, შეხვედრა მოგვიანებით შედგება.

რუსეთი აღნიშნული ბაზების გასაყვანად 11 წელს მოითხოვს, ხოლო საქართველო - სამს. (პრაიმ-ნიუსი)

■ ■ ■

**თბილისი.** "რუსეთის სამთავრობო დელაგაციამ სოხუმში, თავისი ვიზიტით, საქართველოსადმი უპატივცემულობა გამოხატა და გამოწვევის ნაბიჯი დემონსტრაციულად გადადგა." - ამგვარი კომენტარი გაუკეთა საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის დეპარტამენტის დირექტორმა, კახა სიხარულიძემ რუსეთისა და სოხუმის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენლების მოლაპარაკებებს.

მისი თქმით, ამ ნაბიჯით რუსეთმა დაარღვია 1996 წლის დსთ-ს სამიტის გადაწყვეტილება აფხაზ სეპარატისტებთან რაიმე ოფიციალური ან სავაჭრო, კომერციული და ფინანსური მოლაპარაკებების გამართვის აკრძალვის შესახებ.

საგარეო საქმეთა სამინისტრომ წუხელ საპროტესტო ნოტა გაგზავნა, რომელშიც ოფიციალურ განმარტებებს ითხოვს, თუმცა, როგორც სიხარულიძემ აღნიშნა, მოსკოვიდან პასუხი ჯერ არ ყოფილა. საგულისხმოა, რომ სოხუმთან მოლაპარაკებებში საუბარი იყო რუსეთისა და სეპარატისტული აფხაზეთის მთავრობის საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზაციის საკითხებზე. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**ზუგდიდი.** სამეგრელოს სამხარეო ადმინისტრაციას სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრი დავით კირვალიძე ეწვია.

დავით კირვალიძე ვიზიტისას სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად ჩაის კულტურის გადარჩენის საკითხი განიხილა.

აღნიშნულ შეხვედრას სამი რეგიონის ჩაის მწარმოებლები ესწრებიან, ვინაიდან ჩაი ამ სამი რეგიონის დასაქმებისა და შემოსავლის ერთადერთი წყაროა. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**მოსკოვი.** რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გაერთიანებული დაჯგუფების ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს პანკისის ხეობიდან ბოევიკების ახალ გარღვევას. ამის შესახებ ხელმძღვანელობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა პეტრე პოდოპრიგორამ განაცხადა.

მისი თქმით, ოპერატიული მონაცემებით, უკანონო შეიარაღებული ფორმირებები ეძებენ მარშრუტს, რომელიც რუსეთზე, აზერბაიჯანსა და საქართველოზე გადის. პოდოპრიგორამ აღნიშნა, რომ ამასთან დაკავშირებით ყველა აუცილებელი ზომაა მიღებული, კერძოდ კი ინაღმება სავარაუდო მარშრუტები. (კავკას-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრმა, მისი გადარჩენის მინი-პროგრამის ფარგლებში, სოროსის ფონდის მიერ გამოყოფილი 10 ათასი აშშ დოლარიანი გრანტი მიიღო და სპექტაკლების დადგმა განაახლა. მიღებული გრანტის წყალობით თეატრმა უახლესი აპარატურა, გასათბობი საშუალებები, გენერატორები შეძინა.

გარდა ამისა, მიღებული თანხით თეატრი რუსულ ენაზე დადგმული ახალი სპექტაკლების წარმოადგენს გეგმავს. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**ქუთაისი.** სამტრედიის გამგებელი მერაბ სტურუა, ქუთაისის მერს ნუგზარ ფალიანს საგადასახადო კოდექსის დარღვევაში ადანაშაულებს.

ქუთაისის მერად არჩევამდე ნუგზარ ფალიანი სამტრედიის რაიონში მდებარე ასფალტის ქარხანას ხელმძღვანელობდა. შესაბამისად, ასფალტის ქარხანა გადასახადებს რაიონის ადგილობრივ ბიუჯეტში იხდიდა, იმ დღიდან, როდესაც ნუგზარ ფალიანი ქუთაისის მერი გახდა, აღნიშნული საწარმო ქუთაისის საგადასახადოში დადგა აღრიცხვაზე.

"სამტრედიას მარტო ბოლი არ ჭირდება, შეუძლია ქარხანაც გაიტანოს რაიონის ტერიტორიიდან", - აცხადებენ სამტრედიელები.

ქუთაისის მერის ნუგზარ ფალიანის განცხადებით, იგი საწარმოს ხელმძღვანელი აღარ არის და შესაბამისად, არაფერი იცის, თუ რას უნდა იხდიდეს ქარხანა სამტრედიის ბიუჯეტში. (ინტერ-პრესი)

■ ■ ■

**თბილისი.** შსს ვერ იღებს გამომცემლებისაგან სრულ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა რაოდენობის წიგნი გამოიცემა.

სახელმწიფო მინისტრის მოადგილესთან თედო ისაკაძესთან გამართული თათბირზე შსს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს უფროსმა, დავით კაჭკაჭიშვილმა გამომცემლები პირდაპირ დაადანაშაულა პროდუქციის ფალსიფიცირებაში.

მისი თქმით, გამომცემლები გარდა ლეგალური პროდუქციისა ფალსიფიცირებულსაც უშვებენ, რომელსაც დაბალ ფასებში ყიდიან. თავად გამომცემლები კი თავს "მეწარმეობის შესახებ კანონით" იმართლებენ და აცხადებენ, რომ ასეთი ინფორმაცია კონფიდენციალურია. კანონის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოებს შეუძლიათ არ გასცენ ინფორმაცია სასამართლოს სანქციის გარეშე, ეს არ ეხება საგადასახადო ინსპექციას.(კავკას-პრესი)

# აჭარულ-აფხაზური გამბიტი

## მაგრამ რა დააშავა ხალხმა?

პირველი გვერდიდან



იმედდაკარგული

იური ლობოდინის ფოტო

ჩრდილში დგომას ამჯობინებენ "აჭარულ-აფხაზური დავის" მთავარი პერსონაჟებიც - ასლან აბაშიძე და თამაზ ნადარეიშვილი. ეს უკანასკნელი ბოლო დრომდე, ასე თუ ისე, მაინც ჩანდა "ბრძოლის ველზე", მაგრამ შემდეგ თავის "ვიზავის" მიბაძა და ახლა ორივენი მდუმარედ ადევნებენ თვალს, მათი "კლაკიორები" როგორი სისასტიკით უსწორდებიან ერთმანეთს. ყოველ შემთხვევაში, "იმელის" შენობაში გუშინ გამართულ საკმაოდ წარმომადგენლობით ბრიფინგში თავად ნადარეიშვილი არ მონაწილეობდა და მისი სათქმელი აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრებმა და საქართველოს პარლამენტში მისმა მხარდამჭერებმა თქვეს.

ამ წარმოდგენაში კი ყველაზე კომიკური და, ამავე დროს, ტრაგიკული, ალბათ, მაინც ის არის, რომ მთელი ეს შუასაუკუნეების შესაფერისი ვაკხანალია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ლოზუნგით მიმდინარეობს.

ძნელია დაბეჯითებით იმის მტკიცება, რითი დამთავრდება რეგიონული ლიდერების დავა, მაგრამ იმის თქმა კი უკვე შეიძლება, რომ ეს ხმაური, უპირველესად, ასლან აბაშიძის წისქვილზე ასხამს წყალს: იმ შემთხვევაში, თუ აჭარის ლიდერი თავს ვერ გაართმევს პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ დაკისრებულ მისიას და აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების საკითხში რაიმე პროგრესს ვერ მიაღწევს (რისი ალბათობაც ძალზე დიდია), აბაშიძეს უკვე გამოძებნილი ჰყავს განტევების ვაცი, რომელსაც თავის წარუმატებლობას გადააბრალებს და იტყვის, რა ვქნა, ბატონო, ომის აპოლოგეტმა ნადარეიშვილმა, პარტიზანულ მოძრაობაზე მორატორიუმის მოხსნით, მთელი ჩემი სამშვიდობო ძალისხმევა ქარს გაატანაო. ანუ, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარესთან დაპირისპირებით აჭარის ხელმძღვანელი თითქმის არაფერს კარგავს. მაქსიმუმი, რითიც ის, შეიძლება, "დაზარალდეს", ზუგდიდში დაწყებული აქციის მთავარი მოთხოვნის პრეზიდენტის მიერ "გათვალისწინება" და, შესაბამისად, კონფლიქტის მედიატორის სტატუსის დაკარგვაა, რაც აბაშიძისთვის, ალბათ, ხელსაყრელიც კია: შევარდნაძის რთული, ფაქტობრივად, შეუსრულებელი დავალების "ჩაგდებისთვის" პასუხისმგებლობის აცილება უმტკივნეულოდ მოხერხდება.

ამასთან, მოვლენების მისთვის სასურველი სცენარით განვითარების შემთხვევაში, აჭარის ლიდერის პოზიციები კიდევ უფრო გაძლიერდება. ბათუმური ალიანსი აპირებს, ბოლომდე "მიაწვეს" ნადარეიშვილს და თუ ის თანამდებობიდან ნებაყოფლობით არ გადადგება (რაც, ფაქტობრივად, გამორიცხულია), სექტემბერში, პარლამენტის მუშაობის განახლებისთანავე, პლენარულ სხდომაზე მისი იმპიჩმენტის საკითხი დააყენოს. გარდა ამისა, ნადარეიშვილზე ფსიქოლოგიური შეტევაც მიმდინარეობს: ჯემალ გამახარია "აფხაზეთში ომის გაჩაღებისთვის", "1998 წლის მაისში გალის მოვლენების ინსპირირებისთვის", "ომის პროპაგანდისა" და "სამშვიდობო პროცესის ჩაშლის მცდელობისთვის" აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისგან ნახევარ მილიონ დოლარს ითხოვს. ნადარეიშვილის ბანაკის დასუსტების მიზნით, აჭარის გუნდი, ეტყობა, პოლიტიკურ პროზელიტიზმსაც ეწევა და თან წარმატებითაც: გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე დევნილი ხელისუფლების ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა აღიარეს, რომ ახალგაზრდული ორგანიზაციების ნაწილმა ნადარეიშვილს უგანა და აჭარის ლიდერის პოზიციები გაიზიარა.

იმ შემთხვევისთვის, თუ ნადარეიშვილს ფარ-ხმალს დააყრევინებენ, ბათუმური ალიანსის წარმომადგენლებს, როგორც ჩანს, უკვე შერჩეული ჰყავთ მისი შემცვლელის კანდიდატურა. მართალია, აჭარული კოალიციის თავკაცები ამ ფაქტს არც უარყოფენ და არც ადასტურებენ და, მით უმეტეს, თავიანთი ფავორიტის გვარსაც არ ასახელებენ, მაგრამ კულუარული ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთიდან დევნილი (სიტყვა "ლეგიტიმურზე" ასლან აბაშიძის თანაგუნდელებს ალერგია გაუჩნდათ) ხელისუფლების მომავალ ხელმძღვანელად "იმელის" შენობაში ამას წინათ ფიზიკურად დაზარალებული ჯემალ გამახარია მოიაზრება.

ცხადია, ნადარეიშვილი გულხელდაკრეფილი არ ელოდება იმას, თუ როდის გამოუყვანენ ოპონენტები წირვას. ის აქტიურ თავდაცვით ქმედებებს მიმართავს და მოწინააღმდეგის ყოველ ჩხვლეტას კონტრიერიშით პასუხობს. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის არსენალშია ცენტრალური ხელისუფლებისა და ლტოლვილების ინტერესებს შორის ლავირების მრავალწლიანი გამოცდილება, იმ ზღვარის ცოდნა, რომლის იქითაც უფსკრულია და არა აქვს მნიშვნელობა, ვინ გკრავს ხელს მასში გადასაჩეხად - ხელისუფალი, ოპონენტი თუ დევნილი. ამასთან, ნადარეიშვილი იმასაც აცნობიერებს, მრავალათასიანი დევნილთა მასის სახით, რა ძალის მფლობელია და ამდენად, კარგად მოეხსენება, რომ ცენტრალური ხელისუფლება მასთან ღია კონფლიქტზე არ წავა, რადგან შეუძლია, ლტოლვილების მობილიზებით, მმართველ ძალას სერიოზული პრობლემები შეუქმნას. ამიტომ, ისეთ ძლიერ პოლიტიკურ ფიგურასთან დაპირისპირებისასაც კი, როგორიც ასლან აბაშიძეა, ნადარეიშვილის შანსები უიმედოდ სულაც არ გამოიყურება. მით უმეტეს, რომ აჭარის ლიდერის პოზიციების კიდევ უფრო გამყარება ცენტრალური ხელისუფლების ინტერესებში სულაც არ შედის.

ყოველივე ზემოთ ნათქვამიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აბაშიძესა და ნადარეიშვილს შორის გათამაშებული პოლიტსაჭადრაკო პარტია ენდშპილისგან ჯერ შორს არის. პირიქით: საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მათი ჭიდილი კიდევ დიდხანს გაგრძელდება და სიტუაცია, განმუხტვის ნაცვლად, მომავალში კიდევ უფრო დაიძაბება.

მაგრამ რა დააშავა ხალხმა, რომელიც ამ დაპირისპირების ბრმა იარაღად იქცა?

# გუმბათის "რევოლუცია" ხალხის გამარჯვებით დასრულდა

მაია მოსიაშვილი

წალკის რაიონის სოფელ გუმბათში ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ახლადარჩეული საკრებულო და გამგებელი უკანონოდ ფულის მითვისების მცდელობაში ამხილეს. მათი თქმით, მათ თანასოფლელებს დაუმალეს, ნავთობსადენი სოფლის კუთვნილ მიწაზე რომ გაივლიდა და ნაკვეთები, რომლებზეც კომპენსაციის მიღება იყო შესაძლებელი, საკუთარი ოჯახის წევრებსა და ახლობლებზე გაანაწილეს. გუმბათელების 82-კაციანი დელეგაცია რუსთავში ჩავიდა და პრეზიდენტის რწმუნებულთან ქვემო ქართლში, ლევან მამალაძესთან აუდიენციას ხუთი დღის მანძილზე ელოდა. ისინი ღამეს ქალაქის ცენტრში, სკვერში ათევდნენ.

რწმუნებულთან გამართულ შეხვედრაზე გაირკვა, რომ გუმბათელები მართალს ამბობდნენ. გამგებელი გურამ წულუკიძე კი აცხადებდა, რომ არ გადადგებოდა, მაგრამ მამალაძის შენიშვნის შემდეგ, კრიმინალის ჩამდენი აუცილებლად დაისჯებაო, წულუკიძემ არჩევანი გააკეთა და პოსტი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა.

გამგებლის გადადგომამ კონფლიქტი ვერ ჩააცხრო, პირიქით, სოფელში სიტუაცია კიდევ უფრო დაიძაბა. 8 აგვისტოს დილიდან გუმბათში მობილიზებული იყო წალკის რაიონის პოლიცია, ასევე იქ იმყოფებოდა ადგილობრივი ხელისუფლების ყველა წარმომადგენელი. "24 საათი" წალკის გამგებელს ელდარ ხვისტანს დაუკავშირდა, რომელმაც დაადასტურა, რომ გუმბათში მოსახლეობის დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. მისი თქმით, არეულობა იმან გამოიწვია, რომ სოფელი გამგებლის გადადგომით არ დაკმაყოფილდა და იგივე მოსთხოვა მთელ საკრებულოს. გუმბათელები ირწმუნებოდნენ, რომ წულუკიძე მათ გაბიაბურებას საკრებულოს დანარჩენი წევრების დახმარებით ცდილობდა. ხვისტანის თქმით, ადგილი ჰქონდა თანასოფლელთა შორის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს.

სიტუაციის განმუხტვა ვერავინ მოახერხა. გუმბათელები ჯიუტად ითხოვდნენ საკრებულოს გადადგომას. ხალხი 9 აგვისტოს, გამთენიისას დაიშალა და ისიც მხოლოდ მას შედეგ, როდესაც საკრებულოს დარჩენილი ოთხი წევრიდან კიდევ სამმა დაწერა განცხადება სოფლის თვითმმართველობის ორგანოდან წასვლის შესახებ.

გუმბათი ერთ-ერთი პირველი სოფელია, სადაც ოთხი წლის წინ სტიქიით დაზარალებული აჭარელები ჩაასახლეს. გასულ წელს გუმბათი დამოუკიდებელი, ახალი ქართული სოფელი გახდა, მანამდე კი ის ბერძნული სოფლის, ავრალოს საკრებულოში შედიოდა. ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის არჩევნების შემდეგ, სოფელმა ხუთკაციანი საკრებულო მიიღო. სამართალის საძიებლად რუსთავში ჩამოსულ გუმბათელებს გუბერნატორმა აქტიურობა დაუწუნა და განუცხადა:

**"ჩვენ ყველანაირად ვეცადეთ, რომ გუმბათი ცალკე გამოგვეყო. ახლა ვფიქრობ, რომ ეს არ უნდა გაგვეკეთებინა."**

ისეთი სოფლის ამბები, როგორიც გუმბათია, გარე სამყაროსათვის თითქმის უცნობია. თავად სოფლის მაცხოვრებლებიც ვერ დაიკვეხნიან იმით, რომ ბევრი რამ იციან იმის შესახებ, თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. წალკის რაიონის ბევრი სოფელი სრულ ინფორმაციულ ვაკუუმში ცხოვრობს. ინტერნეტისა და უმაღლესი ტექნიკის საუკუნეში ამ ხალხისათვის ტელევიზორი დიდ ფუფუნებად ითვლება. წალკელებისათვის სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ გახდა შესაძლებელი ქართული ტელევიზიის ყურება. ბევრი ჩინოვნიკი, ალბათ, ვერც იფიქრებდა, რომ მიყრუებული სოფლის მკვიდრნი უსამართლობის წინააღმდეგ გასალაშქრებლად რკინის ქალამანს ჩაიცვამდნენ და რაიონის ფარგლებს გარეთ გაიტანდნენ თავიანთი გაჭირვების ამბავს. კიდევ უფრო წარმოუდგენელი იყო ამ ამბის ფინალი - გადამდგარი გამგებელი და საკრებულო.

# საქართველოში, რასაც გინდა, იმას ილაპარაკებ ხალხის სახელით

სოფო ბუკია

*ასლან აბაშიძე და აჭარა წლევანდელი პოლიტიკური ზაფხულის მთავარ თემად იქცნენ. თუ ნადარეიშვილის მომხრე ათასობით დევნილს აჭარის ხელისუფალი აფხაზეთის საკითხებში პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის პოსტისთვის შეუფერებლად მიაჩნია, სხვანი მის ვიცე-პრეზიდენტობაზე ოცნებობენ.*

საქართველოს პრეზიდენტი კიდევ ერთ წერილს მიიღებს. ამჯერად შევარდნაძეს მიმართვას პოლიტიკური გაერთიანება "ერთიანი საქართველოს" წევრები გაუგზავნიან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურისთვის ვიცე-პრეზიდენტის პოსტის შემოღებას მოსთხოვენ. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული მიმართვის ტექსტის თანახმად, ასლან აბაშიძის საკურატორო სფეროში დსთ-სთან ურთიერთობისა და ქვეყნის თავდაცვის საკითხებიც უნდა შევიდეს.

"ერთიანი საქართველოს" წევრები, რომელთა დევიზია **"Россия – наш добрый сосед, верный друг и духовный брат"**, მიიჩნევენ, რომ ასლან აბაშიძე საქართველოში ერთადერთი საქმიანი და უნარიანი კაცი, კარგი ორგანიზატორია და მის მიერ არჩეული პოლიტიკური კურსი საქართველოს გადაარჩენს. **"ფიცს ვდებ ერის წინაშე, რომ ბატონი ასლანი შეძლებს ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანას, ოღონდ თუ ხელს არავინ შეუშლის. ასლან აბაშიძის პროგრამა ის არის, რაც ქართველ კაცს სჭირდება, რაც რუსეთისა და სხვა ცივილიზებული ქვეყნების პროგრამაცაა,"** - დარწმუნებულია ავთანდილ მარგიანი.

კოდორის ხეობაში პრეზიდენტის რწმუნებული ემზარ კვიციანი მიიჩნევს, რომ აჭარა საკმაოდ შეზღუდულია ცენტრის მიერ და მას და მის ხელისუფალს უფრო მეტი გასაქანი უნდა ჰქონდეს, ვიდრე დღეს აქვს.

თუ ავთანდილ მარგიანის "ნამუსიან სიტყვას" დავუჯერებთ, თავად ასლან აბაშიძემ საკუთარი შესაძლო "გავიცეპრეზიდენტების" შესახებ არაფერი იცის. მას ამას ხვალ შეატყობინებენ, როცა აღნიშნული მიმართვა უკვე პრეზიდენტი შევარდნაძის მაგიდაზე იდება. **"ბატონი ასლანისთვის ამის წინასწარ შეტყობინება არ ვიკადრეთ. ის საქართველოს ღირსეული ჯარისკაცია და რასაც ხალხი შესთავაზებს, ყველაფერს დათანხმდება,"** - დარწმუნებულია "ერთიანი საქართველოს" თავმჯდომარე.

"ერთიანი საქართველო" შევარდნაძეს სახელმწიფო მოწყობის ახალ მოდელს სთავაზობს, რომლის მიხედვით ავტონომიური რესპუბლიკების მეთაურები ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე დაინიშნებიან. **"დღეს ამ პოსტისთვის მხოლოდ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკაა მზად. ხვალ და ზეგ მსგავსი რამ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშიც გახდება შესაძლებელი".**

გუშინდელი შეხვედრის მონაწილეები რუსეთთან ორმაგი მოქალაქეობის შემოღებას, სავიზო რეჟიმის გაუქმებასა და რუსულისთვის საერთაშორისო ურთიერთობის ენის სტატუსის მინიჭებას ითხოვენ. ამ მიზნით მათ უკვე 347 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს. "ერთიანი საქართველო" ამ პროცესს გააგრძელებს და, როცა რუსეთის მოქალაქეობას დანატრებულთა რიცხვი ორ მილიონს მიაღწევს, ხელმოწერებს ბროშურად გამოსცემენ და საქართველოს პრეზიდენტსა და მის რუს კოლეგას გაუგზავნიან.

საქართველოს "რუსთა კავშირის" თავმჯდომარე იური დიაჩკოვი აცხადებს, რომ პრეზიდენტ პუტინს წერილობით უკვე შეატყობინა საქართველოს მილიონზე მეტი ყოფილი მოქალაქის სურვილი, მიიღონ ორმაგი მოქალაქეობა და თუ ქართული მხარე თანახმა იქნება, პუტინიც არ გაგვაწბილებს.

აი ასე, საქართველოში, რასაც გინდა, იმას ილაპარაკებ ხალხის სახელით.

გამომცემელი: რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი-დავით მაღრაძე, ლიტერატურა-მალხაზ ხარბედია, სამყარო-ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი-ნიკოლოზ რურუა, სტილი-ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა-ზაზა ფაჩუაშვილი. **ფოტო:** ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, ირაკლი ბილაშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, მზია შომახია. ჯუანშერ ტიკარაძე. რეკლამა-ზურაბ ჯაოშვილი.

# ხელისუფლება "ფოთოლს" იხსნის...

პირველი გვერდიდან

ეს სხდომები ყოველთვის წააგავდა კომპარტიის ყრილობებს, თვითკრიტიკის დასაშვები დოზით, და ყოველთვის ბადებდა "მხიარულად დარჩენილი კრების" და ხალხისთვის "ნაჩუქარი" უფასო სანახაობის ნაცნობ შთაბეჭდილებას.

თუმცა, უკანასკნელ წლებში სამთავრობო სხდომების უკვე დამკვიდრებული ტრადიცია ცხადყოფს, რომ სანახაობის სცენარისტებს ფანტაზია დაუჩლუნგდათ, რეჟისორი კი თანდათან კარგავს პროფესიულ გენიალობას და წლიდან წლამდე უკვე დაშტამპულ მხატვრულ ხერხებსა და მეთოდებს იყენებს.

ეს ის შემთხვევაა, როცა ყოველი ახალი სპექტაკლის შეფასებისას, მიუხედავად უეცარი ეფექტისა, უნდა გახსოვდეს, რომ გაქვს ნანახი წინამორბედი...

"წინამორბედი" მთავრობის სხდომების ისტორიას ჩვენ დღეს 1998 წლიდან გავიხსენებთ. მთავრობის ის სხდომა, უდავოდ იმსახურებდა მაყურებლის სერიოზულ ყურადღებას.

მაშინ, გარკვეული ეკონომიკური აღმასვლის შემდეგ, საქართველოში უკვე დაწყებული იყო სერიოზული საფინანსო კრიზისი და უკვე გარღვეული გახლდათ ბიუჯეტი.

მაშინ იმ სხდომას სახელმწიფო მინისტრის და მთელი მთავრობის გადადგომა მოჰყვა.

მაშინ ხელისუფლებამ აღიარა, რომ ვერ ახერხებდა მართვას.

სიმართლე რომ ითქვას, როგორი დამოკიდებულებაც უნდა ჰქონდეს ადამიანს მაშინდელი სახელმწიფო მინისტრის, ნიკო ლეკიშვილის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ფიგურისადმი, მაშინ მისი გადადგომა საქართველოს ბოლოდროინდელ პოლიტიკურ ისტორიაში მეტ-ნაკლებად ლამაზ ჟესტად ჩაიწერა.

ამ პერიოდზე მოდის მიხეილ ჭკუასელის ცნობილი ინიციატივა, როცა იგი საგადასახადო ამნისტიაზე ალაპარაკდა.

მიუხედავად იმისა, რომ ეს დოქტრინა ძალიან ცუდად შემოუბრუნდა მინისტრ ჭკუასელს და ქვეყანასაც; მიუხედავად იმისა, რომ მას აშკარად ემჩნეოდა ახალგაზრდული გულუბრყვილობის დამღა; მაშინ საქართველოს მთავრობის სხდომაზე მაინც, ხელისუფლებამ საზოგადოება "სანახაობის" ღირსი გახადა.

მაშინ, ყოველ შემთხვევაში გარედან მაყურებლისთვის, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მთავრობაში მართლაც არსებობდნენ ადამიანები, რომელთაც სიტუაციის შეცვლის უნარი თუ არა, სურვილი მაინც გააჩნდათ.

უკვე ნახევარი წლის შემდეგ (არჩევნების წელი გახლდათ), ხელისუფლებამ, არჩევნების დამფინანსებელი მსხვილ-მსხვილი ბიზნესმენების გულის მოსაგებად, ზამთრის გაფართოებული სხდომა ფალსიფიკაციასთან ბრძოლის თემას მიუძღვნა.

1999 წელს ფალსიფიკაციასთან ბრძოლის წელიც შეარქვეს.

ფალსიფიკაციასთან ბრძოლის დროშა ამ სხდომიდან შემდეგმაც გადაიბარა, მომავალ წელს კი მთავრობა უკვე კორუფციას შეებრძოლა.

კორუფციასთან ბრძოლის ლოზუნგი ბოლო წლებში მთავრობის საინფორმაციო აქტივობის წამყვანი ლოზუნგი გახლავთ.

ბოლო დრომდე საქართველოს ხელისუფლება აღიარებდა, რომ კორუფციის მორევში ჩაეფლო და თვითკრიტიკითა და, დროდადრო, მთავრობის წევრთა ნაწილის ცვლით, საზოგადოებას აძლევდა იმ საზრდოს, რომელსაც მისთვის პურიც უნდა ჩაენაცვლებინა, სოციალური დაცვაც, ხელფასიც, დაკარგული თუ დაბომბილი ტერიტორიების ტკივილი და ბოლმაც, ბოლოსდაბოლოს - შებღალული ეროვნული სიამაყეც.

ამის სანაცვლოდ ქართულ საზოგადოებას ეძლეოდა სანახაობა, მოჩვენებითი მაინც - სტაბილურობა და სიტყვის ის თავისუფლება, რომელმაც ქვეყანას თავის დროზე ევროსაბჭოს კარებიც შეაღებინა და საქართველოს მოსახლეობას, სხვა პოსტსაბჭოთებთან შედარებით, საკუთარი დემოკრატიით ტკბობაც განაცდევინა. მიუხედავად იმისა, რომ მითს ქართული დემოკრატიის შესახებ (გაიხსენეთ ანეგდოტი - "ჩვენ, კახელი ჯენტლმენები...") ვერასოდეს უმყარებდა საფუძველს ქართული დემოკრატიული არჩევნების ტრადიცია, სიტყვის თავისუფლება ყოველთვის იყო ის ლეღვის ფოთოლი, რომლითაც საქართველოს ხელისუფლება თავის "არადემოკრატიულ" არსს იფარავდა.

როცა ილუზორული სტაბილურობა ისტორიას ჩაბარდა; როცა საქართველო სულ უფრო აქტიურად იმკვიდრებს იმ ქვეყნის სახელს, სადაც რელიგიური ექსტრემიზმი თუ ადამიანთა გატაცება არსებობის ნორმაა; ახლა, როცა ქართული დემოკრატია საერთაშორისო სარბიელზეც კარგავს თავის თავდაპირველ მომხიბვლაობას, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს ხელისუფლება საზოგადოებას საბოლოოდ ემიჯნება, სიტყვის თავისუფლებას უკვე ხმამაღლა ემუქრება და ნიღაბს (თუ ფოთოლს) იხდის.

2002 წლის მთავრობის სხდომაზე დღევანდელი საქართველოს (!) მთავრობა ეკონომიკურ წინსვლაზე საუბრობდა, საქართველოს პროკურატურა კი ხაზს უსვამდა საზოგადოების მოთხოვნას - **"დაისაჯონ დემაგოგები და პროვოკატორები!"**



ნუგზარ გაბრიჩიძე

ბესო გულაშვილის ფოტო

მიუხედავად იმისა, რომ, სხდომის დამსწრეთაგან, მსგავსი ტენდენციები საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ მაინც გააკიცხა; მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, თითქოს, არ გაიზიარა გენერალური პროკურორის განწყობა და პოზიცია, მსგავსი მეთოდები უკვე საკმარისი აღარ აღმოჩნდა ხელისუფლების რეალური მიზნების შესანიღბად.

თუმცა, ხელისუფლების რეალურ მიზნებზე საუბარი ბოლო ხანებში სულ უფრო ძნელი ხდება, თუნდაც იმიტომ, რომ იგი პოზიციებს საოცრად არათანამიმდევრულად იცვლის და ურთიერთგამომრიცხავ ნაბიჯებს დგამს.

მთავრობის გაფართოებულ სხდომას ტონს პროკურორის გამოსვლა აძლევდა და პარლამენტის თავმჯდომარის პროტესტი შეკრებილ საზოგადოებაში დისონანსურად ჟღერდა.

ამავე პოზიციას ამყარებდა იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული ის კანონპროექტი, რომელიც, წინასწარი მონაცემებით, პარლამენტის განხილვის საგნად შემოდგომაზე უნდა იქცეს. მასში ხელისუფლება, სხვა საამო სიახლეებთან ერთად, ცილისწამებისა და შეურაცხყოფის შესაბამის სადამსჯელო ზომებს ამძიმებს.

ამ ფონზე, სახელმწიფო მინისტრსა და "თავისუფლების ინსტიტუტის" შორის თანამშრომლობის პერსპექტივამ აბსოლუტურად საწინააღმდეგო მოლოდინი აღძრა. 8 აგვისტოს მიღწეული შეთანხმების თანახმად, სექტემბერში, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით, განხორციელდება მცდელობა სიტყვის თავისუფლების შესახებ მთავრობასა და არასამთავრობოებს შორის კონსენსუსის მოძებნისა. სახელმწიფო მინისტრმა "თავისუფლების ინსტიტუტს" ამ საქმეში საპარლამენტო მხარდაჭერის უზრუნველყოფაც კი აღუთქვა. მაგრამ ამ შეთანხმებას ძალიან სერიოზული ჩრდილი მიაყენა გივი თარგამაძის პოლიციაში დაკავებამ სწორედ იმ პერიოდში, როცა სახელმწიფო კანცელარიაში ზემოაღნიშნული შეხვედრა მიმდინარეობდა.

ეს, შესაძლოა, ნიშნავდეს, რომ სიტყვის თავისუფლება ისევ ითამაშებს საქართველოში იმ როლს, რომელზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. ანუ ხელისუფლება, ჩანს, "ამ ფოთოლს" ბოლომდე ვერ ელევა. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის თავისუფლება საქართველოში გიჟის თავისუფლების ტოლფასია, ასეთი მიდგომა ხელისუფლების მეტ-ნაკლები კეთილგონიერების საბუთად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა, მეორე მხრივ, ბოლო წლების ტრადიცია სიტყვისა და საქმის დაშორებაზეც მეტყველებს. ამიტომ სექტემბრამდე ამ მიმართულებით კონკრეტული დასკვნების გაკეთება ნაადრევი გახლავთ.

# რუსეთი ენერგეტიკული ბლოკადით გვემუქრება

პირველი გვერდიდან

**ამ შემთხვევაში, საწარმოები ავტომატურად გაჩერდებიან, მოსახლეობა კი ელექტროენერგიაზე გადმოინაცვლებს. ზაფხულში ენერგოსისტემა ამ დაწოლას გაუძლებს. პრობლემა, ალბათ, არ გვექნება, სექტემბრიდან კი რა მოხდება, ვერ გეტყვით, ალბათ, ისევ საშინელება დაიწყება,"** – გვითხრა საქართველოს "ელექტროდისპეჩერიზაციის" გენერალურმა დირექტორმა ბორის კოჟორიძემ.

საქართველოში ბუნებრივი აირის ერთადერთ იმპორტიორის, კომპანია "იტერას" საქართველოს წარმომადგენლობა კატეგორიულად აცხადებს, რომ რაიმე სახის დირექტივა მოსკოვიდან გაზის შეწყვეტის თაობაზე არ მიუღია. **"იტერა" კერძო კომპანიაა და გამორიცხულია, პოლიტიკურ თამაშებში ჩავებათ. თუ რუსეთის ხელისუფლებაში ვინმემ ასეთი გეგმა მართლაც შეიმუშავა, პირველ რიგში, ამაზე მე ავტეხავ ერთ ამბავს - ეს არც "იტერას" ინტერესებში შედის, რადგან ჩვენ გაზის გაყიდვითა და ბაზრის გაფართოებით ვართ დაინტერესებულნი. ამჯერად, ჩვენ ჩვეულებრივად ვაწვდით "საქგაზს" ბუნებრივ აირს, პარალელურად კი მიმდინარეობს კონსტრუქციული მოლაპარაკებები საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან, დაგროვილი ვალების რესტრუქტურიზაციის თაობაზე,"** – გვაცნობა საქართველოში "იტერას" წარმომადგენლობის ხელმძღვანელმა თამაზ პატარიძემ. **"ახლა ვესაუბრე მთავარ ოფისს მოსკოვში, ასეთი ინფორმაცია მათ არ მიუღიათ. "იტერა" გაზის შეწყვეტას არ აპირებდა და არც აპირებს,"** – გვითხრა "იტერას" საქართველოს წარმომადგენლობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა თემურ გაჯიევმა.

რაიმე სახის ოფიციალური ან არაოფიციალური შეტყობინება გაზის შეწყვეტის შესახებ არც "საქგაზსა" და "თბილგაზში" მიუღიათ. **"ამჟამად დედაქალაქს დღე-ღამეში 160 მილიონი კუბური მეტრი ბუნებრივი აირი მიეწოდება, ჩვენ არავის გავუფრთხილებივართ გაზის მოსალოდნელი შეწყვეტის შესახებ,"** – განაცხადა "თბილგაზის" პრეს-სამსახურის უფროსმა ლალი ხუციშვილმა.

ერთ კვირაში თბილისს "იტერა ინტერნეშენელის" დელეგაცია უნდა ეწვიოს, რომელიც, წინასწარი ინფორმაციით, უფლებამოსილია, ქართულ მხარესთან ერთად, "თბილგაზში" ერთობლივი საწარმოს შექმნა იურიდიულად გააფორმოს, ამიტომ "იტერას" ჯგუფის ინტერესებში გაზის გადაკეტვა მართლაც არ უნდა შედიოდეს. მსგავსი დემარშით მათ კიდევ ერთხელ ჩაეშლებათ "თბილგაზის" დაპატრონების გეგმა. სავარაუდოდ, გაზის თემა მთელი სიმწვავით აგვისტოს ბოლოსთვის წამოიწევს, როცა საქართველოს აგვისტოში მოხმარებული გაზის საფასური ექნება გადასახდელი. თუ რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური სიტუაცია იმ დროისთვის ოდნავ მაინც არ დათბა (რაც ნაკლებ სავარაუდოა), ეჭვგარეშეა, რომ ისევ წამოიწევს "იტერასადმი" დაგროვილი 90-მილიონიანი ვალის რესტრუქტურიზაციის თემაც (ამ ვალის დაფარვის გეგმა ქართულმა მხარემ "იტერას" 22 აგვისტოსთვის უნდა წარუდგინოს), რასაც უეჭველად მოჰყვება საქართველოს უგაზოდ დატოვება.

# „იტერა" პარტნიორად სახელმწიფო სტრუქტურას ითხოვს

პირველი გვერდიდან

შვილობილი ორგანიზაციისა და შვილიშვილი საწარმოს, ფინანსური თუ საშუამავლო ფირმის მფლობელია. "იტერას" რუსულ ჯგუფს სააქციო საზოგადოება "იტერა-ჰოლდინგის" ფორმა აქვს, რომელიც ბუნებრივი აირის მოპოვებითა და რეალიზაციით, შავი მეტალურგიით, მშენებლობით, ქიმიური და კვების მრეწველობითაა დაინტერესებული.

ვინაიდან აშშ-ში დარეგისტრირებული "იტერა" რუსული "გაზპრომის" არაოფიციალური შვილობილია, მისი გავლენის სფეროების პერმანენტული ზრდით, რუსეთის ხელისუფლებაში უკმაყოფილონი არიან ის წრეები, რომლებისთვისაც ეს კომპანია დღემდე "კოვბოურად ჩაცმული "კაგებეშნიკების" ფულის სათეთრებელ მანქანად" აღიქმება.

## რა სურს "იტერას"

"იტერა" ქართულ ბაზარზე მას შემდეგ დამკვიდრდა, რაც თურქმენეთმა საქართველოს გაზის პირდაპირი მოწოდება შეუწყვიტა. ბოლო მონაცემებით კი "იტერასთან" ერთად შეიქმნება ერთობლივი საწარმო, რომელშიც "იტერამ" საქართველოს ხელისუფლებას ქართული წილის 50 პროცენტის მიღებაზე საუბარი დაწყებისთანავე შეაწყვეტინა. ჟორბენაძე დათანხმდა "იტერას", დაუთმოს მომავალი საწარმოს საკონტროლო პაკეტი. ქონების განაწილება საქართველოს მხრიდან წილში შესატანი ქონების აუდიტისა და სავარაუდო ინვესტიციების მოცულობის შეფარდების საფუძველზე მოხდება. ქართული მხრიდან "იტერასთან" ერთობლივ საწარმოში "თბილგაზის", "ყაზბეგიგაზის", "დუშეთგაზის", "მარნეულიგაზისა" და სხვა მცირე "გაზების" განკარგულებაში მყოფი ქონება გადავა. საქართველოში "იტერას" წარმომადგენლობის ხელმძღვანელის, თამაზ პატარიძის თქმით, **"იტერას" უნდა, რომ საქმე ჰქონდეს სახელმწიფოსთან და არა "სამკაციან კომპანიასთან".** ამიტომაც საწარმოში საქართველოს მხარე ქონების მართვის სამინისტროს, ანუ თავად სახელმწიფოს სახით იქნება წარმოდგენილი. შესაბამისად, "იტერას" ნებისმიერი წმინდა ეკონომიკური ხასიათის პრეტენზია თავისუფლად გადაინაცვლებს პოლიტიკურ რაკურსში და პირიქით: ნებისმიერი პოლიტიკური ქმედება წმინდა წყლის ეკონომიკური ბერკეტებით იქნება ახსნილი. თუ "იტერა-ჰოლდინგის" დირექტორს, ვალერი ოტჩერცოვს ქართველი ჩინოვნიკები საკმარისად "დაუტკბებიან", "იტერას" ქართული შვილობილის მართვის ფუნქცია სიმბოლურად სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გადაეცემა.

## რა გვინდა ჩვენ?

ბუნებრივი აირი - მეტი არაფერი. რა გზით, რა ხერხებით, ამაზე საუბარი უკვე აღარ არის. ხელისუფლებას პირობების საკარნახოდ უკვე არც დრო ჰყოფნის და არც ეკონომიკური ბერკეტები. ამიტომ "იტერასადმი" წაყენებული მოთხოვნები, როგორც მოსალოდნელი იყო, უფრო სიმბოლურია. "ეი-ი-ესის" მოდელის მსგავსად, გაფორმებული ხელშეკრულების იურიდიული კაზუსები მხოლოდ წლების შემდეგ გამოჩნდება. თავის დროზე, "თბილგაზის" "ჩაწოლამდე" ცოტა ხნით ადრე, ქალაქის გაზის მეურნეობის სავარაუდო ინვესტორისათვის რიგი მოთხოვნების წაყენება იგეგმებოდა. მათ შორის, უმთავრესი იყო ინვესტორის მიერ "თბილგაზის" რეაბილიტაციისა და ტარიფის ზრდის გეგმის შემუშავება, ინვესტიციებისთვის ფინანსური გარანტიებისა და გაზის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფა. ცხადია, რომ ამ მოთხოვნების შესრულება "იტერას" არ გაუჭირდებოდა, თუმცა...

## რა არ გამოვა

"იტერას" დღის წესრიგიდან მოხსნილია "თბილგაზის" პრივატიზების საკითხი. "იტერას" ქართველი წარმომადგენლის, თამაზ პატარიძის განცხადებით, **"იტერას" არ უნდა, დანგრეული "თბილგაზის" პრობლემების მოგვარება მთლიანად თავის თავზე აიღოს. ის ქართულ მხარეს მხოლოდ ერთობლივი საწარმოს შექმნაზე დათანხმდა."** ანუ "თბილგაზი", როგორც თბილისის გაზმომარაგების სისტემა, აღარ იარსებებს. გაზის მოწოდების შეწყვეტის შემთხვევაში კი მოსახლეობის პრეტენზიები ხელისუფლებიდან "იტერასკენ" გადამისამართდება.

## რა გამოვა

"იტერა" გაზგამანაწილებელი კომპანიების რეაბილიტაციას, გამრიცხველიანების სისტემის გაუმჯობესებასა და აბონენტთა რაოდენობის გაზრდას აპირებს. თავის დროზე დედაქალაქის გაზმომარაგების სისტემა დაბალი, არარენტაბელური ტარიფით მუშაობამ დაანგრია, "თბილგაზის" სისტემაში გაბატონებული ქაოსის გამო კი ტარიფის ზრდა არ მოხერხდა. ამის გათვალისწინებით, "იტერა," პირველ რიგში, ახალ სატარიფო პოლიტიკას შეიმუშავებს.

**"წინასწარი მონაცემებით, "იტერა" ითხოვს არა ტარიფის გაზრდას, არამედ ისეთი პირობების შექმნას, როგორიცაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგალითად, შეღავათიან საბაჟო რეჟიმს",** - განაცხადა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრმა დავით მირცხულავამ. პარალელისთვის: "ტაჰალმა" ქართულ მხარეს გაზის სამომხმარებლო ტარიფის თითქმის ორჯერ გაზრდა (ერთ კუბურ მეტრზე 27 თეთრიდან 50 თეთრამდე) მოსთხოვა, რითაც, პრინციპში, მოლაპარაკების პროცესი ჩაშალა. შეგახსენებთ, რომ "იტერასთან" მოლაპარაკება "ტაჰალთან" ხელშეკრულების პირობების შეთანხმების პარალელურად მიმდინარეობდა.

თუმცა, "იტერას" საქართველოსთან დაკავშირებით სხვა, შორს მიმავალი გეგმებიც აქვს. ამ კომპანიის პრეზიდენტმა იგორ მაკაროვმა საქართველოს სახელმწიფო მინისტრს მისთვის სააქციო საზოგადოება "აზოტის" პირდაპირი მიყიდვის წესით გადაცემა მოსთხოვა, რის სანაცვლოდაც ის საქართველოს მთავრობას 20 მილიონი დოლარის ოდენობის დავალიანებას გაუქვითავს.

ინფორმაციისთვის: ის მილიონნახევარი დოლარი, რომელიც ამ ორიოდე თვის წინ ქალაქის მერიამ, "ქუდზე კაცის დაძახებით" "იტერას" შეუგროვა, მხოლოდ წინა თვის გადასახადი იყო. "იტერა" ხელისუფლებასთან საუბარს ერთი კვირის შემდეგ წამოიწყებს. იქამდე კი, სანამ მოლაპარაკებები სასტარტო ეტაპიდან დაიძვრება, "იტერასადმი" სახელისუფლებო დავალიანება კიდევ უფრო მოიმატებს.

# „ძველები„ გააქტიურდნენ

### თბილისისა და მისი ბიუჯეტის დათმობა ძველ საკრებულოს არ სურს

თამარ მჭედლიშვილი

*რამდენიმე დღეში თბილისის წინა მოწვევის საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ზურაბ გუდავაძე იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელს შეიტანს. საქმე ის გახლავთ, რომ ძველი მოწვევის საკრებულომ, რომელიც არა და არ აპირებს დაშლას, ივლისის თვეში რამდენიმე ნორმატიული აქტი მიიღო, მაგრამ იუსტიციის სამინისტრომ ეს აქტები რეგისტრაციაში არ გაატარა.*

იუსტიციის სამინისტროს პოზიცია ცალსახაა – ძველი მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილება 20 ივნისს შეუწყდა. შესაბამისად, ივლისში მიღებული გადაწყვეტილებები უკანონოა. თუმცა, "ძველებს" ამის გაგონება არ სურთ და საკუთარ ნორმატიულ აქტებს დიდის გულმოდგინებით იცავენ. მეტიც: ძველმა საკრებულომ მტკიცედ გადაწყვიტა - ისინი მაშინ დაიშლებიან, როცა ახალი საკრებულო ამოქმედდება. სხვათა შორის, ასეთ განცხადებებს ისინი კარგა ხანია, აკეთებენ. დღემდე პოლიტიკური სპექტრი მათ თავგამოდებას საკმაოდ მშვიდად ხვდებოდა, რადგან ცოტანი თუ ვარაუდობდნენ, რომ ახალი საკრებულოს ირგვლივ შექმნილი ვითარება, განმუხტვის მაგიერ, უფრო დაიძაბებოდა.

თუკი სასამართლო "ძველების" სარჩელს დააკმაყოფილებს, ამით ავტომატურად ცნობს მათ უფლებამოსილებას. აქედან გამომდინარე, ცესკოსაც შეეძლება, ბიულეტენები საკმაოდ მშვიდად და აუღელვებლად თვალოს, რადგან სწრაფად მოქმედების აუცილებლობა აღარ იარსებებს.

ერთი სიტყვით, თბილისი კვლავ დიდმა გაუგებრობამ მოიცვა. თუკი ძველი საკრებულოს წევრთა ლოგიკით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ, მომავალი საპარლამენტო არჩევნებისას წარმოქმნილი ოდნავი სირთულეებისთანავე, ამ მოწვევის პარლამენტსაც შეეძლება, სასამართლოს ძალით უფლებამოსილების გაიგრძელოს, რომ აღარაფერი ვთქვათ თავად პრეზიდენტზე.

ეს უკვე ჩიხია. ძნელი სათქმელია, აცნობიერებენ თუ არა ძველი საკრებულოს წევრები შექმნილი ვითარების სრულ აბსურდულობას. თუმცა, მათი არგუმენტები (რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს) სწორედ კანონს ეყრდნობა. უფრო სწორად, თვითმმართველობის შესახებ კანონის იმ მუხლს, რომლის თანახმადაც, ერთი მხრივ, მათ უფლებამოსილება 20 ივნისს შეუწყდათ, მეორე მხრივ კი, იგივე უფლებამოსილება ახალი საკრებულოს პირველივე შეკრების დროს წყდება.

და კიდევ: რამდენიმე კვირის წინ "24 საათთან" საუბარში ძველი მოწვევის საკრებულოს ერთ-ერთმა წევრმა, ირაკლი ქავთარაძემ ასეთი რამ განაცხადა:

**"მოხდა ისე, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 20 ივნისამდე არ დანიშნა სხდომა, სასამართლოში ერთმანეთის მიყოლებით შევიდა სარჩელები. ყველაფერი აირია. თანაც, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღება არავის სურს. ცესკო კიდევ დიდხანს ვერ დანიშნავს სხდომას. ჩვენ გადაწყვეტილება აქედან გამომდინარე მივიღეთ... თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ მიდის საუბრები "წყალკანალის," სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზებაზე. ამ პირობებში ნამდვილად არ შეიძლება, საკრებულო არ ფუნქციონირებდეს".** და კიდევ: **"ყველა პარტიაში საკმაოდ დაძაბული ვითარებაა – გინდ გამარჯვებულში, გინდ დამარცხებულში. ყველა ხვდება, რომ საკრებულოში ვერაფერს გააკეთებენ, ვერ შეცვლიან ქალაქის ბიუჯეტს, რადგან ნახევარი თანხა უკვე გახარჯულია. საერთოდ, საკრებულოს არჩევნები იყო რეპეტიცია საპარლამენტო არჩევნების წინ. პარტიებმა დაინახეს თავიანთი შესაძლებლობები, ახლა ყველა ცდილობს, თავიდან აიცილოს თბილისის პრობლემები, რადგან ვერავინ ვერაფერს გააკეთებს. ეს ხელს აძლევს ხელისუფლებას, ეს აწყობს ყველა პარტიის ინტერესებშია. დამერწმუნეთ, საკრებულოს არარსებობის პირობებში, ძალიან ადვილად შეიძლება სტრატეგიული ობიექტების პრივატიზება ისე, რომ პასუხი ვერავინ ვერავის მოსთხოვოს".**

თუმცა, პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, "სოციალისტი" **ზაქარია ქუცნაშვილი** აცხადებს: **"მინდა დაგარწმუნოთ, რომ ჩვენი კანონმდებლობით საკრებულოს პრივატიზების პროცესთან არანაირი შეხება არ აქვს. უბრალოდ, საკრებულოს შეუძლია, ატეხოს ხმაური. შექმნილ ვითარებაში ეს პარლამენტმაც შეიძლება გააკეთოს".**

ასე რომ, ძველი საკრებულოს მოტივაცია უკვე ნაკლებდამაჯერებლად ჟღერს. შესაბამისად, მათი ყველა ქმედება პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდება და, ალბათ, შესანიშნავად ჯდება საერთო სცენარში, რომელსაც, პირობითად, "თბილისში მაქსიმალური დაძაბულობის შექმნა" ეწოდება.

# რუსული პრესის პათოსი მგზავრებსაც გადაედოთ

პირველი გვერდიდან

წერს გაზეთი. პუბლიკაციის ვრცელი ისტორიული ექსკურსი შევარდნაძე-ელცინ-პუტინის რთულ და წინააღმდეგობრივ ურთიერთობებზეა აგებული და რუსულ პუბლიკას კიდევ ერთხელ შეახსენებს, რაოდენ მზაკვრული მიზნები ამოძრავებს "თეთრ მელას", "მისტერ დიახ"-ს და ა.შ. გამოთქმულია სინანული იმის გამოც, რომ, წელიწადნახევრის წინათ, პუტინმა შევარდნაძე არ გამოიჭირა პანკისის ხეობაში მოკალათებულ ბოევიკებზე ნათქვამ ტყუილში, რაც მერე თბილისმა თვითონვე აღიარა. გაზეთი სვამს რიტორიკულ შეკითხვასაც - მაინც რაში სჭირდება საქართველოს რუსეთის გალიზიანება?

"ჩვენს წინაშეა განსაკუთრებული ტიპის პოსტსაბჭოთა დიპლომატია - აუდიტორიის გათვალისწინებით, ამტკიცო განსხვავებული და საპირისპირო რამ," - ასკვნის ავტორი ალექსანდრ საბოვი.

პროპაგანდისტული ომის ფონზე უკიდურესად დაიძაბა ვითარება საქართველო-რუსეთის საჰაერო დერეფანშიც. მოსკოვიდან თბილისში გასაფრენად მომზადებული ქართველობა, ბოლო დღეებში, "აირზენას" ბილეთებს სალაროებში აბარებს და "აეროფლოტის" რეისებს უფრო ენდობა. 8 აგვისტოს ინციდენტმა კი ცხადყო, რომ დღეიდან არც რუსეთის ავიახაზებია დაზღვეული საჰაერო სკანდალისაგან, რომელიც დღითიდღე პოლიტიკურ შეფერილობას ღებულობს. ვნუკოვოსა და შერემეტიევოში ღამის ორ საათზე უნდა მიხვიდე თბილისში გასაფრენად. ღამისთევასთან ერთად, არავინ იცის, ვინ, როდის და რომელ დერეფანში იფრენს, ან საიდან რომელი სასწავლო რაკეტაა დამიზნებული სამგზავრო ავიალაინერზე. თანაც ეს ხდება საზაფხულო არდადეგების მიწურულს, როცა მოსკოვ-თბილისს შორის გაცხოველებული მიმოსვლაა. ამიტომ უკმაყოფილოთა რიცხვი მატულობს და დღეს ვნუკოვოს ქართული ავიახაზების წარმომადგენლობას მოსკოვში, საქართველოს საკონსულოს მსგავსად, მეტად ცხელი დღეები უდგას. რუსეთის მოქალაქეობამიღებული ქართველები თუ მკვიდრი მოსკოველები თვითმფრინავს, ვლადიკავკაზზე გავლით, მატარებლით მგზავრობას ამჯობინებენ, მაგრამ ბოლო დღეებში რკინიგზაზე ბილეთები აღარ იშოვება. მოსკოვში ჩვენი თანამემამულეები ამტკიცებენ, რომ ასეთი უთავბოლობა ხელოვნურადაა შექმნილი სახალხო მღელვარების პროვოცირების მიზნით. სხვათა შორის, იგივე აზრს იზიარებენ მოსკოვის ორივე აეროპორტის აბსოლუტურად უდანაშაულო თანამშრომლებიც, რომლებიც შეწუხებული მგზავრების გინებას მოთმინებით იტანენ. ამ დღეებში აეროპორტების ვესტიბიულებში საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების გვარებსაც ხშირად გაიგონებთ მეტად უხერხულ კონტექსტში.

## WorldCom-ში ახალი, 3.3-მილიარდიანი დარღვევები აღმოაჩინეს

ახლახან გაკოტრებული კომპანია WorldCom-ის თანამშრომლებმა საბუთებში კიდევ 3.3-მილიარდი დოლარის ოდენობის ფალსიფიცირების ფაქტი აღმოაჩინეს. ამის გათვალისწინებით, ივნისში გამოვლენილი დარღვევების მოცულობასთან ერთად, WorldCom-ის მაქინაციების მასშტაბები 7.15 მილიარდ დოლარად არის შეფასებული.

ახალი დარღვევები 1999-2000 წლების სააღრიცხვო წიგნების რევიზიისას დაფიქსირდა. ამასთან, მაქინაციების დიდი ნაწილი 2000 წელს განხორციელდა. თაღლითობის დამატებითი ფაქტების გამოვლენის გამო, WorldCom-ის ხელმძღვანელობა აპირებს, კვლავ წარუდგინოს საზოგადოებას ანგარიში თავისი საქმიანობის შესახებ. ივლისში WorldCom-ი ამერიკის ისტორიაში ყველაზე მსხვილი ბანკროტი გახდა. მისი ქონების საერთო ღირებულება 107 მილიარდ დოლარად იყო შეფასებული. მისმა ვალებმა კი 41 მილიარდი დოლარი შეადგინა.

## BMW კვლავ მოგებაშია

BMW-ს ავტომობილების გაყიდვების მოცულობის ზრდამ კონცერნის მოგების ზრდაც გამოიწვია: კომპანიის ხელმძღვანელობის მონაცემებით, გადასახადების გადახდამდე მიღებული მოგება მეორე კვარტალში 2.5 პროცენტით გაიზარდა და 1.02 მილიარდი ევრო (990 მილიარდი დოლარი) შეადგინა.

ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფირმის ავტომობილების მწარმოებელმა ქვედანაყოფმა აჩვენა: მისი მოგება თითქმის ცხრა პროცენტით (958 მილიონ ევრომდე) გაიზარდა.

ასეთი შედეგებით BMW, უპირველეს ყოვლისა, New Mini-სა და BMW-ს მეშვიდე სერიის მოდელებს უნდა უმადლოდეს, რომლებიც მომხმარებელმა ძალიან კარგად მიიღო.

წლის ბოლომდე BMW მილიონზე მეტი ავტომობილის გაყიდვას გეგმავს.

## შეიძლება, ოპეკი მარტივ მამრავლებად დაიშალოს

თორნიკე შარაშენიძე

როგორც ჩანს, ნავთობის ექსპორტიორ ქვეყანათა ორგანიზაცია (ოპეკი) თანდათანობით კარგავს თავის გავლენას და, ერთი მიზნით გაერთიანებულ ორგანიზაციაზე უფრო, რაღაც ეკლექტურ ნაკრებს ემსგავსება. ამას მოწმობს ბოლოდროინდელი მონაცემები, რომელთა მიხედვითაც ოპეკის წევრებს შორის ერთსულოვნება, პრაქტიკულად, აღარ არსებობს და ორგანიზაციის წევრები უკვე სერიოზულად არღვევენ მათ მიერვე დაწესებულ კვოტებსა და შეზღუდვებს ნავთობმოპოვებაზე. მოკლედ რომ ვთქვათ, ოპეკის არსებობას დღესდღეობით აზრი აქვს დაკარგული.

საკონსულტაციო ფირმა "პეტროლოჯისტიკსი," რომელიც ოპეკის პორტებიდან გამავალი ტანკერების აღრიცხვას აწარმოებს, იუწყება, რომ, თუ ჯერ კიდევ წლის დასაწყისში ოპეკი 70 პროცენტით მისდევდა დაწესებულ კვოტებს, ახლა ეს მაჩვენებელი 63 პროცენტზე ჩამოვიდა. დამრღვევთა შორის გამორჩეული ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, ნიგერიასა და ალჟირს უჭირავთ. თუმცა, კვოტას საგრძნობლად აჭარბებს მსოფლიოში ნავთობის ერთ-ერთი უდიდესი მომპოვებელი საუდის არაბეთიც. "პეტროლოჯისტიკსის" მონაცემებს ადასტურებს "როიტერიც." ამ უკანასკნელის ცნობით, არა მხოლოდ ნიგერია, ალჟირი და საუდეთი, არამედ ოპეკის ყველა წევრი აჭარბებს კვოტებს. კერძოდ, მხოლოდ ივნისში ორგანიზაციამ დაწესებულზე 9 პროცენტით მეტი ნავთობი მოიპოვა.

ამ დარღვევებს რამდენიმე სერიოზული მიზეზი აქვს: ჯერ ერთი, ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზარზე საკმაოდ მაღალია და კვოტები გვარიან შემოსავალს აკარგვინებს ოპეკის წევრებს, რომლებიც მნიშვნელოვნად არიან საწვავის ექსპორტზე დამოკიდებულნი – არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოპეკის ზოგიერთი ქვეყანა სერიოზულ ფინანსურ პრობლემებს განიცდის და კვოტების დაცვა მათთვის ლამის კატასტროფის ტოლფასია; გარდა ამისა, ყველა შიშობს, რომ აშშ აასრულებს თავის მუქარას და თავს დაესხმის ერაყს, რაც რეგიონში დიდ არეულობას გამოიწვევს, ამიტომაც ყველა ცდილობს, იქამდე დიდი რაოდენობით ნავთობი გაყიდოს; და ბოლოს, ოპეკის ხელმძღვანელობის სხდომა შემოდგომაზეა დანიშნული, ორგანიზაციის ბევრი წევრი კი მიიჩნევს, რომ იქამდე გულხელდაკრეფილი ჯდომა არაფრით არ შეიძლება, მით უმეტეს, როცა რუსეთი ნელ-ნელა ზრდის ნავთობმოპოვებას და აძლიერებს თავის გავლენას ბაზარზე.

ასეთი ვითარებაა ორგანიზაციაში და თუკი მისმა ხელმძღვანელობამ გადამჭრელ ნაბიჯებს არ მიმართა, მთელი ეს არეულობა მხოლოდ ოპეკისათვისვე იქნება საზიანო. რუსეთისა თუ სხვა არაოპეკელების მზარდი გავლენის წინააღმდეგ ბრძოლა ერთობლივი ქმედებებით უნდა განხორციელდეს. თუ ოპეკის ქვეყნებმა ასე განაგრძეს კვოტების თვითნებური დარღვევა, ამას, შეიძლება, ნავთობის ფასების მკვეთრი დაცემა მოჰყვეს, რაც მათ შემოსავალსაც დასცემს. ამის შემდეგ კი ორგანიზაციას უკვე ნავთობის მოპოვების შემცირება მოუწევს. ეს კი რუსეთისათვის კიდევ ერთი კოზირის მიცემას ნიშნავს – როგორც კი ოპეკი ნავთობმოპოვებას შეამცირებს, რუსეთი, საპირისპიროდ, მაშინვე გაზრდის, რათა ორგანიზაციის მიერ გამოთავისუფლებული ბაზრის ნაწილი დაიკავოს და კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი გავლენა.

თუკი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა ვერ შეძლებს თავისი წევრებისათვის ამ მარტივი ჭეშმარიტების ახსნას, მაშინ არაა გამორიცხული, ოპეკის დაშლის მოწმენი გავხდეთ. თუ მართლაც ასე მოხდა, მაშინ ორგანიზაციას პირველი, ალბათ, ნიგერია დატოვებს, რომელსაც საკმაო ხანია, აქეთკენ უბიძგებს ვაშინგტონი. ამ უკანასკნელს 11 სექტემბრის შემდეგ წამოწყებულმა ანტიტერორისტულმა სამხედრო ოპერაციამ გვარიანად გაუფუჭა ურთიერთობა არაბულ ქვეყნებთან და ნავთობმომარაგების საკითხში მათ იმედად ვეღარ იქნება. აშშ-ს ახალი, საიმედო პარტნიორი სჭირდება, ნავთობის დიდი რეზერვებით და ასეთად სწორედ ნიგერია ესახება. მაგრამ საამისოდ ამ ქვეყანამ ოპეკი უნდა დატოვოს, რათა კვოტებით არ იყოს შეზღუდული.

**ოპეკის წევრთა კვოტები და დე ფაქტო ნავთობმოპოვება ივნისში (მლნ. ბარელი დღეში)**

"როიტერის" მონაცემები:

| ქვეყანა | მოპოვება | კვოტა |
|---|---|---|
| ალჟირი | 0.88 | 0.693 |
| ინდონეზია | 1,1 | 1.125 |
| ირანი | 3.39 | 3.186 |
| კუვეიტი | 1.91 | 1.741 |
| ლიბია | 1.32 | 1.62 |
| ნიგერია | 1.92 | 1.787 |
| კატარი | 0.64 | 0.592 |
| საუდის არაბეთი | 7.65 | 7.053 |
| არაბეთის გაერთიანებული საემიროები | 1.98 | 1.894 |
| ვენესუელა | 2.77 | 2.497 |

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2002 წლის 4 - 10 აგვისტოს მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | €uro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.654 | 0.6338 | 0.0054 |
| US$ | 1.529 | | 0.9691 | 0.0083 |
| €uro | 1.5779 | 1.0319 | | 0.0085 |
| ¥en | 184.74 | 120.84 | 117.06 | |

2002 წლის 10 აგვისტოდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.1146 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3361 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.4467 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1800 ლარი |
| თურქული ლირა | 1 000 000 | 1.3350 ლარი |
| იაპონური იენი | 10 | 0.1807 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0690 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4456 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3855 ლარი |
| უკრაინული გრივნა | 10 | 4.0908 ლარი |

## პურის ახალი გადასახადი კვლავ „გაერთიანებული დემოკრატების" ყურადღების ცენტრშია

### საგადასახადო დეპარტამენტი პარლამენტში საკითხის განხილვამდე მცირე მეწარმეებს აღარ შეაწუხებს

მაია ურუშაძე

*პურის წარმოებაზე შემოღებულ ახალ გადასახადებთან დაკავშირებით გუშინ პარლამენტში მცირე მეწარმეები და "გაერთიანებულ დემოკრატები," ფინანსთა მინისტრის მოადგილესთან, ლევან ჩრდილელთან და საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარესთან, იასე ზაუტაშვილთან ერთად, მსჯელობდნენ.*

ფრაქცია „დემოკრატის" წევრი მიხეილ მაჭავარიანი აცხადებს, რომ საგადასახადო შემოსავლების დეპარტამენტის არგუმენტი, რის საფუძველზეც პარლამენტმა საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანას დაუჭირა მხარი, არარეალურია და სახელმწიფო ამ გადასახადით კონტრაბანდას ვერ შეებრძოლება.

**"ეს პროექტი სამი პრინციპით იყო მოტივირებული: კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლით; ყველა მეწარმის თანაბარ პირობებში ჩაყენებითა და გადამხდელსა და გადასახადების ამკრეფს შორის გარიგების ფაქტორის მოშლით. თავის დროზე ეს გადაწყვეტილება მსხვილ მეწარმეთა ლობირებით იქნა მიღებული და, როგორც გაირკვა, არასწორად,"** – აცხადებს მაჭავარიანი. მისი აზრით, თუ 1997 წელს საქართველოში 433 ათასი ტონა ლეგალური ხორბალი და ფქვილი დაფიქსირდა, კონტრაბანდასთან ბრძოლა ახლაც შეიძლება და ამისთვის საგადასახადო ბერკეტების ამოქმედება აუცილებელი არ არის. მაჭავარიანის აზრით, **"პურის მეწარმეთათვის ახალი გადასახადის შემოღებას ფისკალური ეფექტი არ ექნება. საბოლოოდ, მსხვილი მეწარმეები გადაიხდიან იმაზე ნაკლებს, ვიდრე ახლა იხდიან, ხოლო მცირე და საშუალო მეწარმეები გაკოტრდებიან. შედეგად, არც საბიუჯეტო შემოსავლები მოიმატებს."**


მიხეილ მაჭავარიანი


ლევან ჩრდილელი

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ლევან ჩრდილელი აცხადებს, რომ თუ ახალი პროექტი პურპროდუქტების წარმოების ლეგალიზების იდეას მოემსახურება, ის მას მხარს დაუჭერს. მისი განცხადებით, ქვეყანა, რომელსაც აქვს დაუცველი და გაუკონტროლებელი ტერიტორიები, იძულებულია, კონტრაბანდას ეკონომიკური და საგადასახადო ბერკეტებით ებრძოლოს. **"არ შეიძლება, საბაჟო შენს ორ ტერიტორიას შორის დააყენო, ამის გამო კი ცხინვალიდან კონტრაბანდას ვერ შეაჩერებ. ამიტომაც მომხმარებელი საგადასახადო პოლიტიკით უნდა აიძულო, არ იყიდოს იაფი, მაგრამ განუბაჟებელი საქონელი. ამ ცვლილებების შემდეგაც მცირე წარმოებას 2,5-ჯერ შეღავათიანი გადასახადი უწესდება, ვიდრე მსხვილ მეწარმეებს. მიმაჩნია, რომ ამ გადასახადის გადახდა მხოლოდ მათ გაუჭირდებათ, ვინც აქამდე გადასახადს მალავდა და 1000-ის ნაცვლად 20 ლარს იხდიდა,"** – ამბობს ჩრდილელი.

პარლამენტარ ზურაბ ცქიტიშვილის აზრით, საგადასახადო ცვლილებებში პირველი შეცდომა ის გახლდათ, რომ პროექტი მარტო გადასახადების ლეგალიზების სულისკვეთებით იყო გაჟღენთილი და მისი დამუშავების პროცესში მეწარმეების ინტერესები "სულ დაავიწყდათ". **"უსამართლო გადაწყვეტილება, რომელიც პარლამენტმა აღმასრულებელი ხელისუფლების წარდგინებით მიიღო, უნდა გამოვასწოროთ. მთავარი პრობლემა - ხორბლის კონტრაბანდაა და თუ ეს მოგვარდა, მეწარმეთა პრობლემაც ავტომატურად მოიხსნება,"** – განაცხადა მან.

როგორც გუშინ შეთანხმდნენ, ფრაქცია „დემოკრატი," მცირე მეწარმეებთან და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად, საგადასახადო კოდექსში შესატან ახალ ცვლილებებზე მუშაობას შეუდგება, რათა სამი სექტემბრის სესიისთვის საკითხის საპარლამენტო მსჯელობის საგნად ქცევა მოასწროს. საგადასახადო დეპარტამენტი კი პურის მცხობელებს გაუთავებელი ვიზიტებით თავს მანამ არ მოაბეზრებს, სანამ აღნიშნულ საკითხს ნათელი საბოლოოდ არ მოეფინება და პარლამენტი მცირე მეწარმეებისათვის მისაღებ საბოლოო გადაწყვეტილებას არ დაამტკიცებს.

მცირე მეწარმეები მიიჩნევენ, რომ **"ამ ეტაპზე მეტის გაკეთება არ შეიძლება".** როგორც "პურის მცხობელთა გილდიის" წევრი ვახტანგ ლომაიშვილი აცხადებს, **"მცირე მეწარმეებს ფინანსთა სამინისტროც უნდა დაეხმაროს. გადასახადების გადახდით ჩვენც ვართ დაინტერესებულნი, რადგან დამალული გადასახადი არავის არ აძლევს ხელს."**

## 1200 ლარი გაკოტრების თავიდან ასაცილებლად

სოფო კვინტრაძე

**"ამ თონეში ოცი პური ეტევა ერთ გამოცხობაზე. დღეში, დაახლოებით, 80 პურს ვაცხობთ. დღესასწაულებზე - უფრო მეტს. თუმცა, ხშირად ყველა არ იყიდება. გუშინ, მაგალითად, 63 პური დაგვრჩა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე ზარალზე ვმუშაობთ,"** - მოგვითხრობს თამაზ გოგოლაშვილი.

გოგოლაშვილების ექვსსულიანი ოჯახი საბურთალოზე, გაგარინის მესამე შესახვევში ცხოვრობს. ოჯახის ყველა წევრი უმუშევარია. 1996 წელს თამაზ გოგოლაშვილმა ავტოფარეხში თონე გახსნა და შეშაზე პურის გამოცხობას მიჰყო ხელი. ამჟამად იქ სამი თონე დგას, რომელთაგან მხოლოდ ორი ფუნქციონირებს. თონეების ისტორიას თამაზ გოგოლაშვილი ასე იხსენებს:

**"როცა გადავწყვიტეთ ამ საქმის დაწყება, თონეები ჩამოვიტანე კახეთიდან. შემდეგ მივედი საგადასახადოში და ვითხოვე, ხარჯებში გაეტარებინათ. მაგრამ იცით, რა მომთხოვეს? საბუთი მოგვიტანეო. რა საბუთი უნდა გამომერთმია კახელი გლეხისთვის, რომელმაც ეს თონეები დაამზადა?"**


*"სასწაულებიც რომ მოვახდინოთ, 1200 ლარს მაინც ვერ გადავიხდით"*

თამაზ გოგოლაშვილისა და ადგილობრივი საგადასახადო უწყების ურთიერთობა ამით არ დამთავრებულა. რეგისტრირებული მეწარმე ყოველთვიურად იხდიდა რამდენიმენაირ გადასახადს, თუმცა, როგორც თამაზ გოგოლაშვილი აცხადებს, **"საგადასახადოში როცა მივდივარ, ლამის გავგიჟდე. დღემდე ვერ გამიგია, რატომ ვიხდი საგზაო გადასახადს."**

მიუხედავად ამისა, გოგოლაშვილები შოთის პურს ყოველდღიურად აცხობენ და გასაყიდად საბურთალოს ბაზარზე გააქვთ. თუმცა, ახლა მათი შემოსავლის ერთადერთ წყაროს – ფარეხში გახსნილ თონეს გაკოტრება დაემუქრა. საგადასახადო ინსპექტორებმა, რომლებიც გოგოლაშვილებთან შემოწმებაზე იმყოფებოდნენ, წარმოება აღწერეს და თითოეულ თონეზე, ახალი მოთხოვნების თანახმად, 400 ლარი ყოველთვიური ფიქსირებული გადასახადი დაუწესეს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახმა თვეში 1200 ლარი უნდა გადაუხადოს სახელმწიფო ბიუჯეტს. გადაუხდელობის შემთხვევაში მათი საქმიანობა უკანონოდ გამოცხადდება და გოგოლაშვილების ე.წ. წარმოებას დახურავენ. გაკოტრების საფრთხე სავსებით რეალურია, იმიტომ, რომ **"რაც არ უნდა შეუსვენებლად ვიმუშაოთ, სასწაულებიც რომ მოვახდინოთ, თვეში 1200 ლარს მაინც ვერანაირად ვერ გადავიხდით, ეს აბსურდია,"** – აცხადებს თამაზ გოგოლაშვილი.

გოგოლაშვილების თონეს "24 საათი" საღამოს ექვს საათზე ესტუმრა. პურის ცხობა უკვე კარგა ხნის დამთავრებული იყო, თუმცა თონესთან ისევ ეწყო რამდენიმე დღის გაუყიდავი შოთები.

## ვის სურდა „ელექტროკავშირის" ყიდვა?

პირველი გვერდიდან

*"საქართველოს ბანკიც" შედიოდა. თუმცა, კონსორციუმმა თავისი მისია ბოლომდე ვერ შეასრულა – ტენდერის ვადებში ინვესტორის მოძიება ვერ მოხერხდა, ხოლო ქონების მართვის მინისტრმა "კომერცბანკს" ვადის გაგრძელებაზე უარი უთხრა.*

2002 წლის 15 იანვარს "კომერცბანკის" წარმომადგენლებმა, მაიკლ ნორტმა და ალექსეი სოკოლოვმა სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრს, სოლომონ პავლიაშვილს წერილი გაუგზავნეს, რომელშიც "ელექტროკავშირისა" და "საქართველოს ტელეკომის" წინასაპრივატიზაციო პროცესში ჩატარებული სამუშაოები აღწერეს. წერილში დასახელებულია ის კომპანიები და საფინანსო ინსტიტუტები, რომლებმაც მზადყოფნა გამოთქვეს, მონაწილეობა მიეღოთ "ელექტროკავშირის" პრივატიზების პროცესში. ამონარიდი "კომერცბანკის" მიერ სოლომონ პავლიაშვილისთვის 15 იანვარს გაგზავნილი წერილიდან:

**"პირველი შემოთავაზება უნდა ყოფილიყო "საქართველოს ელექტროკავშირისა" და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისგან" (EBRD) შემდგარი კონსორციუმისგან. კომპანიის მენეჯმენტის მიერ აქციების გამოსასყიდ სახსრებს იძლეოდა "გერმანიის საინვესტიციო კომპანია" (DeG). მოსალოდნელი იყო, რომ აქციების გამოსყიდვის შემდეგ კომპანია მოაწერდა ხელს მენეჯმენტ კონტრაქტს "ტელენორთან". დაგეგმილი ალიანსის ჩამოყალიბება ვერ დასრულდა ტენდერის დასრულებამდე (2001 წლის 15 ნოემბერი), რადგან პროექტის დამფინანსებელთა (EBRD, DeG) ძირითადი მოთხოვნები ვერ დაკმაყოფილდა "ტელენორის" მიერ ამ დროისთვის.**

**თუმცა, რამდენიმე დღის წინ "ტელენორმა" შეგვატყობინა, რომ მათ შეძლეს დამატებითი პოტენციური პარტნიორის მოძებნა "საქართველოს ელექტროკავშირის" აქციების შესასყიდად. ეს იქნება ისრაელის ერთ-ერთი უდიდესი ჰოლდინგური კომპანია – "ისრაელ კორპ." ჩვენ წერილი მივიღეთ ასევე "მეტრომედიასგან," რომელიც ადასტურებს თავის ინტერესს "ტელენორის" საინვესტიციო კონსორციუმში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ეს ფაქტი ახალ შესაძლებლობებს ქმნის მხარეებს შორის შეთანხმების მისაღწევად.**

**მეორე პოტენციური შეთავაზება უნდა ყოფილიყო ჰოლანდიური ფონდიდან – "გეით შტიხტიხ კაუკაზუს". ამ ინვესტორმა მოამზადა და გამოაგზავნა სატენდერო შეთავაზება "საქართველოს ელექტროკავშირის" აქციების შესასყიდად, თუმცა ამ შეთავაზების დროული მიღება ვერ მოხერხდა".**

ზემოთქმულის გათვალისწინებით, "ელექტროკავშირის" კონტრაქტში "ტელენორის" ისეთ საეჭვო პარტნიორთან ერთად გამოჩენა, როგორიც "სელფორდია", მეტად გასაკვირია. მით უმეტეს, საეჭვოა "ელექტროკავშირის" მიერ "სელფორდისთვის" 200-ათასიანი ბიზნეს-გეგმის შედგენის დაფინანსებისთვის მიმართვა.

ქართულ სატელეკომუნიკაციო კომპანიას დიდი ხნის და სერიოზული ბიზნეს-ურთიერთობები ჰქონდა "კომერცბანკის" კონსორციუმის მონაწილე "საქართველოს ბანკთან", რომელსაც "ელექტროკავშირის" განვითარების პროგრამაც კი აქვს შედგენილი. უფრო მეტიც, ამ პროგრამის ფარგლებში, ბანკს უკვე ორი მსხვილი საგარანტიო წერილი აქვს გაცემული "ელექტროკავშირზე". პირველი მათგანი, 660 ათასი დოლარის ოდენობით, "საქართველოს ბანკმა" "ელექტროკავშირს" შარშან მისცა ფოთში ხუთიათას აბონენტზე გათვლილი სატელეფონო სადგურის შესაძენად. ეს გარანტია "ელექტროკავშირმა" წელს მაისში, საკუთარი სახსრებით, პირნათლად დაფარა. რაც შეეხება მეორე, დაახლოებით, ორი მილიონი დოლარის ოდენობის გარანტიას, იგი "ელექტროკავშირის" სააღრიცხვო და საბილინგო სისტემების მოსაწესრიგებლად "ერიქსონ ნიკოლა-ტესლას" ფირმის პროგრამული უზრუნველყოფისა და აპარატურის შეძენას მოხმარდა. პროექტის პრეზენტაცია ივნისში მოეწყო, ხოლო საგარანტიო წერილის ვადა ორი წლით განისაზღვრება და ის უკვე ამოქმედებულია. "საქართველოს ბანკთან" ასეთი ნაყოფიერი და ხელსაყრელი თანამშრომლობის გათვალისწინებით, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, რატომ არ მიმართა "ელექტროკავშირმა," ბიზნეს-გეგმის შედგენის დასაფინანსებლად, 200 ათასი დოლარის საგარანტიო წერილის გაცემის თხოვნით, საქართველოს ბანკს, მით უმეტეს, რომ ბანკის საგარანტიო მომსახურების საპროცენტო განაკვეთები იდენტურია ოფშორული "სელფორდის" საპროცენტო განაკვეთებისა. ამით ქარწყლდება კიდევ ერთი მითი იმის შესახებ, რომ "სელფორდის" კონტრაქტში ჩართვა მის მიერ "ელექტროკავშირისთვის," ქართულ ბანკებთან შედარებით, დაბალი საპროცენტო განაკვეთით კრედიტის მიცემითაც აიხსნება.

ცალკე საუბრის თემაა ჰოლანდიური ფონდის, "გეით შტიხტიხ კაუკაზუსის" მონაწილეობის საკითხი "ელექტროკავშირის" პრივატიზების პროცესში. "24 საათის" ინფორმაციით, ფონდმა სატენდერო კომისიას დროულად ვერ მიაწოდა შესაბამისი დოკუმენტაცია. მაშინ ინფორმირებულ წრეებში ფონდის საეჭვო წარმომავლობასა და მის გავლენიან ქართულ კლანებთან კავშირზე საუბრობდნენ. ტენდერის ჩაშლის შემდეგ ჰოლანდიური ფონდის კვალი იკარგება.

კიდევ ერთი საეჭვო ეპიზოდი "ელექტროკავშირის" ისტორიაში. რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფო მინისტრთან გამართულ თათბირზე არაერთმა ქართველმა თანამდებობის პირმა აღნიშნა, რომ "ტელენორის" მიერ მომზადებული "ელექტროკავშირის" განვითარების ბიზნეს-გეგმა საბოლოო დასკვნისათვის მსოფლიო ბანკს გაეგზავნება. გარდა ამისა, ითქვა ისიც, რომ პროცესის მიმდინარეობა შეთანხმებულია ამ საერთაშორისო ორგანიზაციასთან. მსოფლიო ბანკში "24 საათს" განუცხადეს, რომ ეს ორგანიზაცია ტექნიკურ დახმარებასა და კონსულტაციებს უწევდა საქართველოს მთავრობას, კერძოდ, ქონების მართვის სამინისტროს, სახელმწიფოს კუთვნილი ტელეკომუნიკაციური ობიექტების პრივატიზების პროცესში. თუმცა, ბანკის წარმომადგენლებმა იქვე დასძინეს, რომ არ ადასტურებენ ქართულ მედიაში გავრცელებულ განცხადებებს, თითქოს მსოფლიო ბანკი ოდესმე ჩართული ყოფილიყოს ბიზნეს-ურთიერთობებში "ელექტროკავშირს", "ტელენორსა" და სხვა კომპანიებს შორის.

## ნოვოროსიისკში სტიქია მძვინვარებს - მსხვერპლმა, შეიძლება, რამდენიმე ათეულს მიაღწიოს

წყალდიდობის ზონაში მოხვედრილ ნოვოროსიისკის სოფლებს გუშინ თავს სმერჩიც დაატყდა, რომლის რადიუსიც 200 მეტრია, ხოლო სიმაღლე სამ კილომეტრს აღწევს. დასახლებებში – შიროკაია ბალკა, დიურსო და აბრაუ-დიურსო – წყალსატევის დამბის რღვევის შედეგად წყლის დიდმა ნაკადებმა იწყო დენა. ნოვოროსიისკისაკენ მიმავალი გზა გადაკეტილია და მთლიანად შეწყვეტილია სატრნასპორტო მიმოსვლა. სოჭისკენ მიმავალი ხუთი სამგზავრო მატარებელი ტალახის ნაკადების "ტყვეობაში" მოექცა.

უკვე დადასტურებულია, რომ 23 ადამიანი დაიღუპა და კიდევ რამდენიმე უგზო-უკვლოდაა დაკარგული. თუმცა, ეს რიცხვი ჯერჯერობით მხოლოდ პირობითია, რადგან დაღუპულთა რაოდენობამ, შეიძლება, რამდენიმე ათეულს მიაღწიოს. მსხვერპლს ვერც დამსვენებლები გადაურჩნენ. ზოგიერთი მონაცემის მიხედვით, გუშინ წყალსატევიდან გადმოსულმა წყალმა დამსვენებელთა კარვები სულ რამდენიმე წუთში წალეკა. კარვების საზაფხულო დასახლებაში, დაახლოებით, 300 ადამიანი ისვენებდა.

დაიწყო ნოვოროსიისკიდან და ახლომდებარე სოფლებიდან მოსახლეობის ევაკუაცია. უკვე გაიყვანეს, დაახლოებით, 600-მდე ადამიანი. პოლიცია ცდილობდა, დასახლებებიდან პირველ რიგში, გაეყვანა ასობით ბავშვი, რომლებიც საზაფხულო ბანაკებში ისვენებდნენ, მაგრამ, სმერჩის გამო, ჯერჯერობით სამაშველო ოპერაციის განხორციელება ვერ მოხერხდა.

ბოლო დღეების წყალდიდობა 7 აგვისტოს შემდეგ გადაუღებელმა კოკისპირულმა წვიმამ გამოიწვია, რის შედეგად ადიდდა მთის მდინარეები, ზღვისპირა ტბები კი ნაპირებიდან გადმოვიდა და სოფლები და კურორტები დატბორა. ნოვოროსიისკს, მეზობელ სოფლებთან ერთად, წყლისა და ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. წყალდიდობას რკინიგზის ხაზების დაზიანება მოჰყვა და სარკინიგზო მიმოსვლა შეწყდა, რის გამოც სამხრეთის კურორტებზე დასასვენებლად ჩასულ ათასობით ტურისტს ღამის თევა რკინიგზის სადგურებსა და ჯარისკაცთა ყაზარმებში უხდება.

პრეზიდენტმა პუტინმა რუსეთის საგანგებო ვითარებების მინისტრს პირადად დაავალა უმოკლეს ხანში სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენა და წყალდიდობის შედეგების გამოსწორება. სამაშველო სამუშაოებში შავი ზღვის ფლოტი, არმია და რკინიგზელები მონაწილეობენ. პუტინის ბრძანებების შესრულება არც ისე იოლი იქნება, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სინოპტიკოსები კოკისპირული წვიმების გაგრძელებას კიდევ ორი-სამი დღის განმავლობაში ვარაუდობენ. მზადყოფნაა გამოცხადებული კრასნოდარის დასავლეთ რაიონებში, რომლებიც ყირიმის მახლობლად მდებარეობს.

ბოლო ორი თვის განმავლობაში რუსეთის სამხრეთში ეს სტიქიის მეორე შემოტევაა. ივნისში კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებსა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში მომხდარმა წყალდიდობამ 70 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. წინა წყალდიდობის დროს პრეზიდენტმა პუტინმა პასუხისმგებლობა იმ ოფიციალურ პირებს დააკისრა, რომლებმაც ვერ შეძლეს მოსახლეობის დროულად გაფრთხილება მოსალოდნელი სტიქიური უბედურების თაობაზე.






## ნიაზოვმა სიცოცხლის ბოლომდე პრეზიდენტად დარჩენაზე უარი განაცხადა

თურქმენეთის პრეზიდენტმა, საფარმურატ ნიაზოვმა უარი განაცხადა თავისი საპრეზიდენტო უფლებამოსილების სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელებაზე. მისი თქმით, ის თავის ფუნქციებს ორი წლის წინ მიღებული კონსტიტუციის შესაბამისად შეასრულებს. ამჟამინდელი პრეზიდენტის უფლებამოსილების ვადა განსაზღვრული არ არის. ნიაზოვის განცხადებით, ის არჩევნების თემას 2008 წელს განიხილავს.

გარდა ამისა, თურქმენეთის პრეზიდენტმა უარი თქვა მისთვის თურქმენეთის საუკეთესო მწერლის ტიტულისა (ლექსების კრებულისათვის – "დაე, იბედნიეროს ჩემმა თურქმენმა ხალხმა") და მესამე ხარისხის ორდენის – "ალტინ ასირის" ("ოქროს საუკუნე") მინიჭებაზე.

ნიაზოვი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წინაშე კიდევ ერთი ინიციატივით წარსდგა. მისი განცხადებით, თურქმენეთის სახელმწიფოს ჩინოვნიკები დაინიშნებიან მხოლოდ მას შემდეგ, რაც წინაპრების მესამე თაობამდე მათი ჩამომავლობის შემოწმება მოხდება. თურქმენეთის სახელმწიფოს მეთაურის თქმით, ქვეყანაში არ არსებობს კადრების აღზრდისა და შერჩევის გამოკვეთილი სისტემა, რისი მიზეზითაც ბოლო პერიოდში ყოფილი ჩინოვნიკების წინააღმდეგ 130-ზე მეტი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. პრეზიდენტის ინიციატივით, თითოეული მაღალჩინოსნის საქმიანობას ქვეყნის სპეცსამსახური გააკონტროლებს.

## იარაღით ვაჭრობის მოცულობით ამერიკა ჯერ კიდევ უსწრებს რუსეთს

შეერთებული შტატების კონგრესის კვლევითმა ცენტრმა გასულ კვირას წარადგინა მსოფლიოში იარაღით ვაჭრობის სტატისტიკური ანალიზი. იარაღით ვაჭრობის მოცულობით პირველ ადგილზე კვლავინდებურად ამერიკელები არიან, რომლებმაც 2001 წელს, დაახლოებით, 12 მილიარდი დოლარის შეიარაღება გაყიდეს. რუსეთი იარაღის მეორე უმსხვილესი ექსპორტიორია, რომლის შემოსავალმაც თითქმის 6 მილიარდ დოლარს მიაღწია. მესამე ადგილზე გასულმა საფრანგეთმა 2.6 მილიარდი დოლარის იარაღი გაყიდა. სამივე ქვეყნის შეიარაღების საერთო ექსპორტმა, დაახლოებით, 21 მილიარდი დოლარი შეადგინა, რაც მსოფლიო მოცულობის 80 პროცენტს შეადგენს.

მკვლევარები ყურადღებას ამახვილებენ, 2000 წელთან შედარებით, იარაღით ვაჭრობის მოცულობის მკვეთრ შემცირებაზე (ვაჭრობა 40 მილიარდიდან 26 მილიარდ დოლარამდე დაეცა). ექსპერტები ამ შემცირებას მსოფლიოს ბევრ რეგიონში, უპირველეს ყოვლისა, აზიაში 90-იანი წლების ბოლოს მომხდარ ეკონომიკურ კრიზისს მიაწერენ. ეკონომიკის დაცემის გამო აზიის ქვეყნები უპირატესობას არა ახლის შეძენას, არამედ არსებული იარაღის მოდერნიზაციას ანიჭებენ.

ვაშინგტონელი ანალიტიკოსების აზრით, ახლო აღმოსავლეთის, აზიისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში ეკონომიკის ზრდამ უახლოეს წლებში, შეიძლება, იარაღით ვაჭრობის მოცულობის ზრდა გამოიწვიოს.

## კასპიის ზღვაზე აქტიური სამხედრო მანევრები დაიწყო

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის 60 გემი, 30 თვითმფრინავი და 10 ათასამდე სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს ბოლო 10 წლის განმავლობაში უდიდეს საზღვაო მანევრებში, რომელიც კასპიის ზღვის შუა ნაწილში დაიწყო. მანევრებს წინ უძღოდა ერთკვირიანი თეორიული მომზადება, რომელიც ოფიცრებმა კასპიის ფლოტილიის შტაბში, ასტრახანში გაიარეს.

რუსეთის გარდა, მანევრებში მონაწილეობას მიიღებენ ყაზახეთი და აზერბაიჯანიც. პირველი ოთხი გამანადგურებელი "სუ-27"-ით იქნება წარმოდგენილი, მეორე კი - რამდენიმე სამხედრო ხომალდით. მანევრებში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს თურქმენეთმა და ირანმა.

მანევრების ოფიციალური მიზანი ტერორიზმთან ბრძოლისთვის მზადყოფნა და კასპიის ზღვაში ნავთობის მოპოვების ნორმალური პირობების უზრუნველყოფაა. ანალიტიკოსები თავიდანვე მიუთითებდნენ, რომ მანევრები საეჭვოდ მოყვა აპრილში კასპიის მონაპირე ქვეყნების სამიტის ჩაშლას, რომელზეც კასპიის ზღვის გაყოფის საკითხი უნდა გადაეწყვიტათ.

ავსტრიული გაზეთი "დი პრესსე" მიუთითებს, რომ ახლანდელი სამხედრო მანევრები კასპიის ზღვის რეგიონში რუსეთის გააქტიურების ერთ-ერთი ნიშანია. ავღანეთში ომის დაწყების შემდეგ ცენტრალურ აზიაში ამერიკელთა მომძლავრებას რუსებმა უკვე მეორე სამხედრო მანევრებით უპასუხეს. პირველი ზაფხულის დასაწყისში ჩატარდა რუსეთის, ყირგიზეთის, ყაზახეთისა და ტაჯიკეთის მონაწილეობით. მოსალოდნელია, რომ რუსეთი უახლოეს ხანში ყირგიზეთში "C-300" ტიპის რაკეტსაწინააღმდეგო სისტემებს განალაგებს. მეტიც, ივლისში პრეზიდენტმა პუტინმა ცენტრალური აზიის ქვეყნებს შესთავაზა, რომ რუსეთი ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრის დაცვას საკუთარ თავზე აიღებს.

ამჟამად მიმდინარე მანევრებში ყველაზე საინტერესოა აზერბაიჯანის პოზიცია. ამ ქვეყნის მთავარი ინტერესი კასპიის ზღვის რეგიონში ენერგეტიკული რესურსების მშვიდობიანი ათვისება და თავისი "კუთვნილი" საზღვაო აკვატორიის შენარჩუნებაა. მას ამ მიზნების მიღწევაში ხელს უშლიან ირანი და თურქმენეთი, რომლებიც აზერბაიჯანს ნავთობის რამდენიმე საბადოს ედავებიან. თუ ავღანეთის ომის დროს ბაქო მთელ იმედებს შეერთებულ შტატებზე ამყარებდა, ახლა სერიოზული ნაბიჯები გადადგა რუსეთთან დაახლოებისაკენ. ანალიტიკოსები მიუთითებენ, რომ რუსეთის მიერ "კუნთების თამაში" კასპიის ზღვაზე ირანისა და თურქმენეთის სიჯიუტის გასატეხადაა მიმართული, რაც, უპირველეს ყოვლისა, სწორედ აზერბაიჯანის ინტერესებს ემსახურება.

თუ რუსეთის სამხედრო მანევრები თავის პოლიტიკურ მიზანს მიაღწევს და ირანსა და თურქმენეთს კასპიის ზღვის გაყოფის რუსულ-აზერბაიჯანულ პროექტზე დაიყოლიებს, მაშინ ეს ბაქოსა და მოსკოვს შორის ბოლო ხანს გაუმჯობესებული ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებას მოასწავებს.

## აშშ-ს კონგრესის უმრავლესობის ლიდერი ერაყზე თავდასხმის წინააღმდეგია

ამერიკის კონგრესის უმრავლესობის ლიდერმა, დიკ არმეიმ განაცხადა, რომ ეწინააღმდეგება აშშ-ს არმიის ერაყში შეჭრას, ამ უკანასკნელის მხრიდან რაიმე პროვოკაციული ქმედების განხორციელების გარეშე. მისი თქმით, იმ შემთხვევაში, თუ აშშ შეეცდება, სადამ ჰუსენის წინააღმდეგ რაიმე საბაბის გარეშე ომი დაიწყოს, ვაშინგტონი სხვა სახელმწიფოების მხარადჭერას დაკარგავს.

პარალელურად, ვაშინგტონში მიმდინარეობს ერაყის ოპოზიციური დაჯგუფებების ლიდერთა ვიზიტი, რომლებიც აშშ-ს ადმინისტრაციასთან მოლაპარაკებებს მართავენ. მათი წარმომადგენლის განცხადებით, ისინი შეეცდებიან, დაარწმუნონ აშშ-ს ხელისუფლება ჰუსიენის წინალმდეგ საბრძოლო ოპერაციების დაწყების აუცილებლობაში. ერაყელი ოპოზიციონერის თქმით, ამერიკის შეიარაღებულ ძალებს ერაყის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის არ უნდა შეეშინდეთ. ოპოზიციის წარმომადგენელთა აზრით, ერაყის პრეზიდენტის პოსტზე ახალი კანდიდატურის შერჩევის გარეშე, აშშ-მა სადამის წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა დაიწყოს.

იმავდროულად, პარასკევს ერაყის ერთ-ერთმა სულიერმა ლიდერმა, შეიხ აბდულ-გაფურ ალ-ქაისმა მსოფლიოს ყველა მუსლიმს ამერიკული საფრთხის წინააღმდეგ გაერთიანებისა და ერაყის მხარდაჭერისკენ მოუწოდა. "ამერიკის სამიზნეს არა მარტო ერაყი, არამედ ისლამი წარმოადგენს... ეს არის ომი ისლამის წინააღმდეგ," – განაცხადა შეიხმა ბაღდადის დიდი იმამის მეჩეთში გამოსვლისას. მისი თქმით, "მუსლიმებმა სატანის ამ აგრესიას თავიანთი ძალა, თანამშრომლობა და სოლიდარობა უნდა დაუპირისპირონ". შეიხის განცხადებით, ერაყელი ხალხი ერთ მუშტადაა შეკრული და მხარს უჭერს პრეზიდენტ სადამ ჰუსეინს. "სადამი არის ერაყი და ერაყი არის სადამი," – აღნიშნა შეიხმა.

## პალესტინის დელეგაცია ვაშინგტონში შეხვედრებს მართავს

ვაშინგტონში პალესტინის დელეგაცია შეხვდა აშშ-ს სახელმწიფო მდივანს, კოლინ პაუელს და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველს, კონდოლიზა რაისს. პალესტინის დელეგაციაში შედიან პალესტინის ადგილობრივი თვითმმართველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი საიბ არიქათი, შინაგან საქმეთა მინისტრი აბდელ-რეზაქ იახია და ეკონომიკის მინისტრი მახერ ალ-მასრი. შეხვედრების დროს საუბარი შეეხო პალესტინის ავტონომიაში რეფორმების მიმდინარეობის პროცესს და პალესტინის მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევის აუცილებლობას. შეხვედრის შემდეგ კოლინ პაუელმა განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში ახლო აღმოსავლეთში გაემგზავრება გაერო-ს წარმომადგენელი ჰუმანიტარულ საკითხებში ქეთრინ ბერტინი. თავის მხრივ, პალესტინის შინაგან საქმეთა მინისტრმა, აბდელ-რეზაქ იახიამ აღნიშნა, რომ პალესტინის ხელისუფლება ახლო აღმოსავლეთში სისხლის ღვრის შესაჩერებლად შესაძლებლობის მაქსიმუმს აკეთებს. "შურისძიების პოლიტიკა პალესტინის ხელისუფლებას ხელს უშლის, საკუთარი ძალებით დაამყაროს წესრიგი," - განაცხადა მან. მინისტრის თქმით, პალესტინის ხელისუფლებამ არაერთხელ მიმართა ისრაელს თხოვნით, არ მოახდინოს ძალისმიერი რეაგირება ყველა ტერორისტულ აქტზე. იახიას განცხადებით, პალესტინის ადმინისტრაციის წარმომადგენლები რეგულარულად ატარებენ შეხვედრებს "ჰამასისა" და "ისლამური ჯიჰადის" აქტივისტებთან და ცდილობენ, დაარწმუნონ ისინი მშვიდობის აუცილებლობაში. "მე არ შემიძლია არანაირი გარანტიის მოცემა. მორიგი ტერორისტული აქტი ნებისმიერ მომენტშია მოსალოდნელი," – განაცხადა იახიამ.

პალესტინის დელეგაცია ვაშინგტონში კიდევ რამდენიმე დღეს დარჩება. შაბათს დაგეგმილია მათი შეხვედრა ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს დირექტორთან, ჯორჯ ტენეტთან.



## რუსეთ-სომხეთის სამხედრო სწავლებები

სომხეთის არმავირის რაიონში, მარშალ ბაგრამიანის სახელობის პოლიგონზე დასრულდა რუსეთ-სომხეთის რიგით მესამე სამხედრო სწავლებები, რომლის ძირითადი ნაწილი სამეთაურო-საშტაბო და ტაქტიკურ მეცადინეობებს დაეთმო. სწავლებების დროს გამოიყენეს ახალი ნაღმსაწინააღმდეგო ჭურვი "ზმეი გორინიჩი", აგრეთვე საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი "იგლა". სწავლება საჰაერო დესანტის გადასხმასაც მოიცავდა.

სომხეთში განლაგებული 102-ე რუსული სამხედრო ბაზის მეთაურმა, ალექსანდრ ტიტოვმა სწავლებები "ოთხიანზე" შეაფასა, ხუთბალიანი სისტემის მიხედვით. სომხეთის თავდაცვის მინისტრის, სერჟ სარქისიანის აზრით, სწავლებები წარმატებით ჩატარდა. სარქისიანმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სამხედრო მოქმედებების ზურგის უზრუნველყოფა წლიდან წლამდე უმჯობესდება.

## ყადიროვი პრეზიდენტობისთვის ემზადება

ჩეჩნეთის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი აჰმად ყადიროვი აპირებს, საკუთარი კანდიდატურა წამოაყენოს ჩეჩნეთის პრეზიდენტის პოსტზე იმ შემთხვევაში, თუ ნოემბერში ჩეჩნეთში დაგეგმილ რეფერენდუმზე მოსახლეობა საპრეზიდენტო მმართველობას დაუჭერს მხარს. ყადიროვი იმედოვნებს, რომ ჩეჩნეთში საპრეზიდენტო ხელისუფლება დამყარდება. "საპარლამენტო მმართველობის შემთხვევაში, პარლამენტი რამდენიმე ნაწილად დაიყოფა და ქვეყანა ხელისუფლების გარეშე დარჩება. ამდენად, მე ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული, რომ ჩეჩნეთი საპრეზიდენტო ქვეყანა გახდება. რესპუბლიკის მეთაურს დიდი უფლებები უნდა ჰქონდეს," – განაცხადა ყადიროვმა. მისი აზრით, ჩეჩნეთში საპრეზიდენტო არჩევნები გაზაფხულზე ან ზაფხულში გაიმართება.

## ავიაშოუზე მომხდარი ტრაგედია თვითმფრინავის გაუმართაობამ გამოიწვია

გამანადგურებელ "სუ-27"-ის პილოტი ვლადიმირ ტოპონარი აცხადებს, რომ 27 ივლისს ლვოვის მახლობლად მომხდარი ტრაგედია თვითმფრინავის გაუმართაობის შედეგი იყო: "გარკვეულ მომენტში თვითმფრინავი უმართავი გახდა," – განაცხადა მან. თვითონ პილოტი, მისივე თქმით, ბოლო წამამდე ცდილობდა თვითმფრინავის შენარჩუნებას და, რაც შეიძლება, ნაკლები მსხვერპლის გამოწვევას.

პილოტის ჩვენება ეწინააღმდეგება უკრაინის თავდაცვის მინისტრის განცხადებას, რომლის მიხედვითაც ტრაგედიის მიზეზი პილოტების თვითნებობა გახდა.

ლვოვის ავიაშოუს ტრაგედიამ 85 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, რომელთაგან ჯერჯერობით მხოლოდ 74 მსხვერპლი ამოიცნეს. დაზარალდა კიდევ 160-მდე ადამიანი. უკრაინის საავადმყოფოებში ჯერ კიდევ გადის მკურნალობას რამდენიმე ათეული კაცი.

## ავღანეთის ქალაქ ჯალალაბადში ძლიერი აფეთქება მოხდა

პარასკევს ავღანეთის ქალაქი ჯალალაბადის მახლობლად, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ოფისთან ძლიერი აფეთქება მოხდა. ჯალალაბადიდან მოსული ინფორმაციის თანახმად, 20 ადამიანი დაიღუპა და 80-მდე დაშავდა. გარდა ამისა, ძლიერ დაზიანდა იმ რაიონში მდებარე 50-მდე შენობა. აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია ავღანეთში გზების რეკონსტრუქციით იყო დაკავებული. ავღანეთის სამხედრო ძალების წარმომადგენლის განცხადებით, ჯერჯერობით დაუდგენელია, თუ ვინ განახორციელა ეს ტერორისტული აქტი.

## დააპატიმრეს „ჰამასის„ ერთ-ერთი ლიდერი

გუშინ დილით ისრაელის სამხედრო ძალებმა მდ. იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქ კალკილიაში ტერორისტული ორგანიზაცია "ჰამასის" ერთ-ერთი ლიდერი – აჰმედ ნაჰმასი და მასთან ერთად მყოფი სამი პალესტინელი ტერორისტი დააპატიმრეს. "იერუსალიმ პოსტის" ინფორმაციის თანახმად, ნაჰმასი კალკილიაში ცხოვრობდა და ისრაელის ტერიტორიაზე ტერორისტული აქტების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობდა. მის სახლში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულია ტერორისტ-კამიკაძის ქამარი, "უზი"-ს ტიპის ავტომატური იარაღი და ასაფეთქებელი მოწყობილობები. დაპატიმრებული ტერორისტები ისრაელის უშიშროების სამსახურს, "შინ ბეტს" გადასცეს.

## ტერაქტი ისლამაბადის ჰოსპიტალში

პაკისტანის დედაქალაქ ისლამაბადთან ახლოს მდებარე ქრისტიანულ ჰოსპიტალზე თავდასხმა მოხდა. ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა საავადმყოფოს ხელყუმბარები ესროლეს. ტერაქტის შედეგად ოთხი ადამიანი, მათ შორის, სამი ექთანი დაიღუპა, ხოლო ოცამდე მძიმედ დაშავდა. ჰოსპიტალის უშიშროების სამსახურის თქმით, ერთ-ერთი თავდამსხმელი ტერორისტი-კამიკაძე იყო, რომელმაც თავი აიფეთქა, ხოლო დანარჩენმა ორმა ტერორისტმა გაქცევა მოახერხა. ტერაქტზე პასუხისმგებლობა ჯერ არავის აუღია. როგორც ვარაუდობენ, ჰოსპიტალზე თავდასხმა რადიკალმა ისლამისტებმა განახორციელეს, რომლებიც პაკისტანის მთავრობის მიერ ანტიტერორისტული ომის მხარდაჭერის წინააღმდეგ გამოდიან.

საველევიზიო რეკლამების კვლევა და მონიტორინგი

ჯორჯიან რისარჩი

ჯორჯიან რისარჩი სატელევიზიო რეკლამების მონიტორინგს აწარმოებს 1997 წლის მაისიდან. ამ პერიოდიდან ჩვენ მოგვეპოვება სრული მონაცემები საქართველოს სატელევიზიო სარეკლამო ბაზრის შესახებ.

- რამდენი სარეკლამო რგოლი იქნა გაშვებული თითოეული სატელევიზიო არხზე ერთი დღის/კვირის/თვის/წლის განმავლობაში
- რამდენი წამი/წუთი/საათი ეჭირა მოცემული არხის ეთერში ერთის მოცემულ შეკვეთის რეკლამას
- როგორი იყო ამ მონაცემთა პროცენტული განაწილება არხებზე რომელ სატელევიზიო გადაცემაში მოხვედრილი რეკლამის მაქსიმალური რაოდენობა (მაღალრეიტინგული გადაცემები)
- რომელ არხზე გავიდა ყველაზე მეტი რეკლამა
- რომელი არხის ეთერში ეჭირავს რეკლამას ყველაზე დიდი დრო და ა.შ.

ეს მონაცემები დაგეხმარებათ სარეკლამო კამპანიის სწორად დაგეგმვასა და წარმართვაში. ჩვენი შეფასების მიღება შესაძლებელია ყოველკვირეულად ან 10 დღეში ერთხელ, ან ყოველთვიურად. ეს შესაძლებლობას ხდის, ოპერატიულად შეცვალოთ სარეკლამო პოლიტიკა და უფრო მიზანი გაზარდოთ იგი.

ჩვენი ტელეფონებია: 25-35-48; (899) 51-19-94

# ინვალიდებმა გარანტია მიიღეს

გუშინ ინვალიდებმა სახელმწიფო მინისტრთან შეხვედრა მოახერხეს. ეს ღონისძიება გასული კვირის სამშაბათს იყო დაგეგმილი, მაგრამ "გაუგებრობა" მოხდა, კანცელარიამ გაავრცელა ინფორმაცია, ინვალიდები შეხვედრაზე არ მოვიდნენო. სინამდვილეში კი კანცელარიის შენობამდე მისული ინვალიდები უკან გაუბრუნებიათ, სახელმწიფო მინისტრს თათბირი აქვს და თქვენთვის არ სცალიაო. შეგახსენებთ, რომ წინა კვირის პარასკევს ავთანდილ ჯორბენაძემ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს ინვალიდთა პრობლემების მოგვარება დაავალა და მათთვის დაწესებული შეღავათების აღსადგენად საგადასახადო კოდექსში შესატანი ცვლილებების მომზადება სამშაბათამდე მოსთხოვა. სამშაბათს ვერშემდგარმა შეხვედრამ კი ინვალიდები დააეჭვა, სახელმწიფო მინისტრმა ისევ მოგვატყუა და ხელისუფლება არაფერსაც არ გაგვიკეთებსო. თუმცა, გუშინ ავთანდილ ჯორბენაძემ მათთვის მოიცალა და შეეცადა, ეჭვი გაექარწყლებინა.

ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო მინისტრს ინვალიდთათვის შეღავათების დაბრუნების მექანიზმი წარუდგინა, ანუ ინვალიდები გადასახადებს კი გადაიხდიან, მაგრამ შემდეგ სახელმწიფო ამ თანხას უკანვე, პროგრამების სახით, დაუბრუნებს. მაგრამ არის ერთი პრობლემა - ინვალიდები ბიუჯეტში გადასახადების სახით გადახდილ თანხას დათქმულ ვადაში მიიღებენ თუ არა. თუმცა, სახელმწიფო მინისტრმა მათ დროული დაფინანსების გარანტია მისცა. რაც შეეხება ინვალიდთა ლიგის პროგრამას, "საბიუჯეტო შემოსავლების აღრიცხვიანობის შესახებ", ეკონომიკის სამინისტრომ იგი მოიწონა. ავთანდილ ჯორბენაძემ სამინისტროს 2 კვირის ვადა მისცა, რომ პროგრამა, სპეციალისტებთან ერთად, საფუძვლიანად კიდევ ერთხელ შეესწავლათ.

*"24 საათი"*

# ხეების დამცველებს მაჭავარიანის იმედიღა აქვთ

ქეთი ქადაგიშვილი

ჯავახეთის ქუჩის მცხოვრებლები და აღმასრულებელი ბიუროს თანამშრომლები ერთმანეთს კიდევ ერთხელ შეეტაკნენ. წინა ჩხუბისგან განსხვავებით, აღმასრულებლებს ამჯერად არავინ უცემიათ, თუმცა ხელკეტებით შეიარაღებულნი კი იყვნენ. პოლიციელებს იმედი ჰქონდათ, რომ ამჯერად შეტაკება მამაკაცებთან მოუწევდათ, მაგრამ ქალებმა წინდახედულება გამოიჩინეს და აღმასრულებლებს თვითონ დახვდნენ. პოლიციელთა ლანძღვა-გინება მათ ვაჟკაცურად აიტანეს და ეზოში სავაჭრო ობიექტის მშენებლობა დროებით კვლავ შეაჩერეს. მოსახლეობას, ერთადერთი, რაიონის დეპუტატის, მიხეილ მაჭავარიანის იმედი აქვს, რომელიც მათ მშენებლობის უკანონობის დამადასტურებელ საბუთს შეპირდა.

"24 საათი" ამ ქუჩის მცხოვრებთა გასაჭირზე ადრეც წერდა. შეგახსენებთ, რომ მოქალაქეებმა ჯენერაშვილმა და კორძაძემ ჯავახეთის ქუჩის მე-8 და მე-10 კორპუსებს შორის ეზოში სავაჭრო ობიექტის აშენება ჯერ კიდევ შარშან, ნოემბერში სცადეს, მაგრამ მოსახლეობამ გაარკვია, რომ მათი პროექტი მერიის გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტთან შეთანხმებული არ იყო და მშენებლობა შეაჩერებინეს. კორძაძემ და ჯენერაშვილმა ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს ძალით, კომიტეტის ხელმძღვანელობას პროექტი შეათანხმებინეს. ამჯერად, მათ ყველა საბუთი წესრიგში აქვთ: ტერიტორია იყიდეს და არქიტექტურის საქალაქო სამსახურმა პროექტიც დაუმტკიცა. თუმცა, მოსახლეობა ამ მშენებლობას მაინც უკანონოდ მიიჩნევს. "მშენებლებმა ჩვენს მიერ დარგული და მოვლილი 12 ნაძვი მოჭრეს, მათ ამისი უფლება არ ჰქონდათ, რადგან ეს ადგილი გამწვანებულ ტერიტორიად მიიჩნევა", – აცხადებს მოსახლეობა. მართლაც, როგორც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის თავმჯდომარემ, ზურაბ ადამიამ გვითხრა, ისინი ჯავახეთის ქუჩაზე სავაჭრო ობიექტის მშენებლობის პროექტს იმ პირობით დათანხმდნენ, რომ მშენებლები ხეებს არათუ მოჭრიან, არც კი დააზიანებენ.

კორძაძე და ჯენერაშვილი კი მოსახლეობის დაჯარიმებას იქით აპირებენ. ისინი ჯავახეთის ქუჩის მცხოვრებლებს, მშენებლობის შეჩერებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, 7000 ლარს სთხოვენ. რამდენიმე დღის წინათ, მშენებლების საჩივრის საფუძველზე, ისანი-სამგორის რაოინულმა სასამართლომ ჯავახეთის ქუჩის რამდენიმე მობინადრეს პირობა ჩამოართვა, თუ სავაჭრო ობიექტის მშენებლობის უკანონობა არ დადასტურდა, მაშინ ისინი მშენებლებს ხელს აღარ შეუშლიან. მოქალაქეებს ისღა დარჩენიათ, რომ მშენებლობის უკანონობა როგორმე დაამტკიცონ. ამ დღეებში მოსახლეობა ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში სარჩელის შეტანას აპირებს.

# თბილისის ზღვის ამბები...

თამარ მაისურაძე

აქაურობა ხალხს ძალიან მოსწონს. ამბობენ, ასეთი კარგი დასასვენებელი პირობები თბილისში არსად არისო... ასე აფასებენ თბილისელები თბილისის ზღვას და არც არის გასაკვირი, რადგან აქ არჩევანი დიდია. "იახტკლუბი", "აკვა-პარკი" თუ ჩვეულებრივი "პლაჟი" მთელი ზაფხულის განმავლობაში ელის დამსვენებელს.

თბილისის ზღვის მოყვარული საზოგადოება რამდენიმე ნაწილად იყოფა. "აკვა-პარკს" თავისი კლიენტები ჰყავს, "იახტკლუბშიც" საზოგადოების ერთი და იგივე ნაწილი იყრის თავს. "პლაჟზე" კი, ძირითადად, ის ხალხია, ვისი ფინანსური შესაძლებლობებიც ვერც პირველის და ვერც მეორეს ტარიფებს ვერ სწვდება. "იახტკლუბის" გემბანზე შესასვლელად 10 ლარი უნდა გადაიხადო და შეგიძლია, მთელი დღე იქ გაატარო. როგორც "იახტკლუბის" ერთი უფროსის, ფელიქს მაისურაძისგან შევიტყვეთ, კლუბს ეს სახელი პირობითად ჰქვია. პირობითად - იმ ხალხისთვის, ვისაც იახტა თავად არ ჰყავს, მაგრამ სურს გასეირნება. "კლუბში 20 კერძო იახტაა, თუმცა, მათგან მხოლოდ ერთი ქირავდება, ისიც - ხანდახან. "იახტების მეპატრონეები, ძირითადად, ყოფილი აფროსნები არიან", – გვითხრა ფელიქს მაისურაძემ. იახტებისგან განსხვავებით, შეიძლება წყლის თხილამურებისა და "სკუტერის" ქირაობა. თხილამურებში - საათში 1 ლარი, ხოლო "სკუტერში" 3 ლარი უნდა გადაიხადოთ. საბოლოო ჯამში, "იახტკლუბის" მთელი დატვირთვა გემბანზეა, რადგან უმეტესობა გასარუჯად იქ მიდის.

"აკვა-პარკში", "იახტკლუბის" გემბანისგან განსხვავებით, ცოტა ხალხია. ამას, ზამთრის სეზონისთვის განკუთვნილი "აკვა-პარკის" ხელმძღვანელობა სავსებით ნორმალურად მიიჩნევს. "აქ ხალხი ზამთარში მოდის. ჩვენთან, ერთდროულად, 200 კაცს შეუძლია ყოფნა. აქ არის როგორც დიდი აუზი, ასევე - პატარა, და კიდევ - "ლიაგუშატნიკი". არის ბარ-რესტორანიც, ჩოგბურთის, ბილიარდის მაგიდები, ჯაკუზი, საუნა... ერთი სიტყვით, ყველანაირი პირობა და მაღალი მომსახურებაა", – გვითხრა საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა დათო გოგოლაძემ. ეს ყველაფერი, დღეში 24 ლარი ღირს. გადაიხდი ამ ფასს და ბარ-რესტორნისა და საუნის გარდა, ყველაფრით ისარგებლებ.

ევროპის სტანდარტების დონის პარკში, როგორც თავად ამბობენ, ჩვენი გაჭირვებული სოციალური ფენისთვისაც არის შეღავათები. ეს იმაში გამოიხატება, რომ, თუ იქ შესვლის მსურველს 24 ლარის გადახდის საშუალება არ აქვს, შეუძლია იგივე სიამოვნება 1 საათის განმავლობაში 7 ლარად მიიღოს. დათო გოგოლაძის თქმით, სპეციალურად ჩატარებულმა სოციალურმა კვლევამ აჩვენა, რომ "აკვა-პარკში" ყველა სოციალური სპექტრის წარმომადგენლები დადიან. დილით სავარჯიშოდ და გასაკაჟებლად, ძირითადად, ისინი დადიან, ვინც მუშაობს. შუადღისას მოდიან ერთსაათიანი, შეჭირვებული კლიენტები, საღამოს კი დასასვენებლად ამოდის თბილისის ელიტური საზოგადოება.

და ბოლოს, ყველასათვის უფასო თბილისის ზღვის "პლაჟი". იგი რამდენიმე ნაწილად არის დაყოფილი. აქა-იქ არის ბარები, რომლის ფასებიც, ზემოთ ნახსენებ გემბანთან და "აკვა-პარკთან" შედარებით, მიზერულია. თბილისის ზღვაზე დამსვენებელთა ბოლო, მესამე კატეგორია, ძირითადად, "მარშუტკებით" დადის. კუს ტბის დღის კლიენტების მსგავსად, ისინიც საკუთარი საგზლით დადიან, რადგან, მიუხედავად მიზერული ფასებისა, ბარში შესვლა მათთვის მაინც ძვირი სიამოვნებაა და სანაპიროს შებინდებისთანავე ტოვებენ. ბოლო "მარშუტკის" წამოსვლის შემდეგ იქ გვიანობამდე მხოლოდ თბილისის ელიტა რჩება.



*ღია კაფე თბილისის ზღვაზე*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

# გარემოს დამცველებმა „კასტელი-საქართველოს" ვერ აჯობეს

ნანა ქადაგიშვილი

ყოფილი ელექტროშემდუღებელი ქარხნის საამქრომ, რომელიც თურქებმა აამუშავეს (შპს "ნეიშნლ-მეტალი"), ფონიჭალის მაცხოვრებლები, ბოლო დროს, ძალზე შეაშფოთა. მოსახლეობამ გარემოს დამცველებს შესჩივლა, ქარხნის გამონაბოლქვმა თავის ტკივილი, კანზე გამონაყარი და ქავილი გაგვიჩინაო. მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტმა, ჯერჯერობით, მხოლოდ ის გაარკვია, რომ აღნიშნულ შპს-ს გარემოს დაცვითი ნებართვა არ აქვს. გარემოს დამცველებს საწარმოს შემოწმებაც სურთ, თუმცა, ეს მხოლოდ მათ ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. წელს, 5 თვის განმავლობაში, კომიტეტმა სასამართლოებს 41 საწარმოს შემოწმების ნებართვა მოსთხოვა, მაგრამ მხოლოდ 20 შუამდგომლობა დაკმაყოფილდა.

სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონმა საწარმოთა კონტროლის მექანიზმები მაკონტროლებელთა მექრთამეობის შესამცირებლად გაამკაცრა, თუმცა, საბოლოოდ ისე გამოვიდა, რომ საწარმოები თითქმის აღარ მოწმდება, რადგან მაკონტროლებელს სასამართლოდან საწარმოს შემოწმების ნებართვის მიღება ძალზე უჭირს. "სასამართლო სხვადასხვა რამეს იმიზეზებს და ჩვენს შუამდგომლობებს იშვიათად აკმაყოფილებს. მაგალითად, მოსახლეობის საჩივრის საფუძველზე, 20 მაისს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს ბახტრიონის ქუჩაზე მდებარე პურის საცხობის შემოწმების ნებართვა ვთხოვეთ. იქაური მცხოვრებნი ჩიოდნენ, გამონაბოლქვი გვაწუხებსო. სასამართლომ კი გვიპასუხა, შუამდგომლობის დასაკმაყოფილებლად კანონიერი საფუძველი არ არსებობსო. არადა, მოქალაქეები ჩვენ გვსაყვედურობენ, საწარმოსთან შეკრულები ხართ და ამიტომაც არ ამოწმებთო", – გვითხრა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის თამვჯდომარის მოადგილემ თემურ ყვავილაშვილმა.

დანარჩენი 21 საწარმოდან, რომელთა შემოწმებაზეც კომიტეტმა სასამართლოებისგან უარი მიიღო, შპს "კასტელი-საქართველოს" გამოვარჩევთ. ამ საწარმოს კომიტეტმა სათანადო დოკუმენტების წარდგენა მოსთხოვა და მისგან ვერაფერი რომ ვერ მიიღო, ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში მის შესამოწმებლად შუამდგომლობა შეიტანა. სასამართლომ მისი მოთხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ "კასტელი-საქართველოს" ხელმძღვანელობამ ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა და პროცესი მოიგო. საოლქომ რაიონული სასამართლოს ბრძანება გააუქმა. "ისანი-სამგორის რაიონულმა სასამართლომ საწარმოს შემოწმებაზე ნებართვა სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონის დარღვევით გასცა, რადგან პროცესს არც მაკონტროლებელი ორგანოსა და არც საწარმოს წარმომადგენლები არ ესწრებოდნენ. ამასთან, მოსამართლემ ადმინისტრაციული კოდექსიც დაარღვია, მაკონტროლებელმა შუამდგომლობა 14 ივნისს შეიტანა, მოსამართლეს მისი მოთხოვნა 24 საათის განმავლობაში უნდა დაეკმაყოფილებინა, მან კი ბრძანება, დაგვიანებით, 20 ივნისს გამოიტანა", – აცხადებენ საოლქო სასამართლოში.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტი ვარაუდობს, რომ "კასტელი-საქართველოს" გარემოსდაცვითი ნებართვა არ აქვს. რომ ჰქონოდა, ხომ წარმოგვიდგენდაო, ასკვნის. "ამის გარდა, "კასტელი-საქართველოს" მიერ მოხმარებული წყალი წყალსატევში ჩადის და ისიც გასარკვევია, ამ საწარმოს წყლის ჩაშვებაზე ლიმიტი თუ აქვს. თუკი საწარმოს ლიმიტი არ აქვს, ეკოლოგიურ გადასახადს ნორმირებულზე მეტს იხდის", – გვითხრა თემურ ყვავილაშვილმა. საოლქო სასამართლო კი აცხადებს, რომ მისი გადაწყვეტილება გასაჩივრებას არ ექვემდებარება. ვცადეთ, კომენტარი "კასტელი-საქართველოს" ხელმძღვანელობისგანაც მიეღო, მაგრამ მასთან დაკავშირება მაკონტროლებელზე არანაკლებად გაჭირდა.

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის გარდა, სასამართლოების მიმართ პრეტენზიას ყველა მაკონტროლებელი უწყება გამოთქვამს. მოსამართლეები კი მათ იქით ადანაშაულებენ. მაკონტროლებლები საწარმოს შემოწმების მიზეზს ხშირად ნორმალურად ვერ გვისაბუთებენ, სამეწარმეო საქმიანობის შესახებ კანონი კი ამის გარეშე შემოწმების ნებართვის გაცემის უფლებას არ გვაძლევსო, - განგვიცხადეს ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოში.

მკითხველის რეპლიკა

# წითელი ბარათი ქველმოქმედებისთვის

- დაივიწყეთ თბილისის ოპერის თეატრი, დაეტიეთ თქვენს სტამბულში!

ეს ფრაზა რამდენიმე დღის წინ ერთ უადრესატო განცხადება-პროტესტში ამოვიკითხე. განცხადება საქართველოს დამსახურებულ არტისტს, თბილისის ოპერის თეატრის ყოფილ სოლისტს, თბილისისავე კონსერვატორიის ასევე ყოფილ პედაგოგს მარლენ ადამაძეს ეკუთვნის.

იმ ზემოხსენებული ფრაზის ავტორი კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გურამ მელივაა.

განცხადების უადრესატობა მხოლოდ ერთ რამეზე მიგვანიშნებს – კერძოდ, იმაზე, რომ პროტესტი ამთავითვე უყურადღებობისთვის არის განწირული. სხვათა შორის, ესეც იქცა ამ რეპლიკის დაწერის ერთ-ერთ მიზეზად.

ცოლ-ქმარი ადამაძეები ახლახან ჩამოვიდნენ თბილისში, ჯერჯერობით მხოლოდ დროებით. ოპერის თეატრშიც ერთადერთი მიზნით მივიდნენ – უსასყიდლოდ შეეთავაზებინათ თავიანთი სამსახური. კაცმა რომ თქვას, ამას სხვანაირად ქველმოქმედებაც ჰქვია.

ადამაძეები (ნინო ახალგაზრდა ვოკალისტთა კონკურსის ლაურეატია და ამჟამად სტამბულის ოპერის თეატრის სოლისტი გახლავთ) შვიდი წელიწადია, თავიანთ ქალიშვილთან, ირინესთან ერთად (ისიც ვოკალისტია) თურქეთში მოღვაწეობენ.

მელივასა და ადამაძეებს შორის რომ ეს "სასიამოვნო" საუბარი ნამდვილად შედგა და სამხატვრო ხელმძღვანელმა ისინი, რბილად რომ ვთქვათ, ცივი უარით გამოისტუმრა, ფაქტია. სხვა შემთხვევაში განცხადება-პროტესტი თუ ნებისმიერი სხვა საპროტესტო აქტი აზრს დაკარგავდა.

რა ფორმით იყო ნათქვამი ეს "ცივი უარი", ამ შემთხვევაში არსებითი არ არის. მთავარია, რომ სამშობლოში მობრუნებულ თურქეთის თეატრის სოლისტებს უარი უთხრეს მშობლიურ ქალაქში სიმღერაზე.

მე ადამაძეების ადვოკატი არა ვარ. თბილისელ ოპერის მოყვარულთა იმ კატეგორიას ვეკუთვნი, ყოველ მეორე დღეს ოპერის თეატრში რომ იჯდა, ანშლაგებზე კი ამფითეატრის კიბის საფეხურით კმაყოფილდებოდა.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი პროფესია პატივისცემის ღირსია, მაგრამ როცა საქმე თბილისის ოპერის თეატრს ეხება, ჩემთვის, მუსიკის მოყვარულისთვის, ყველაფერი ფალიაშვილის, დოლიძის, სარაჯიშვილის, ქუმსიაშვილის, ინაშვილის, გამრეკელის, ანდღულაძის სახელებით იწყება; როცა ვოკალზე ვლაპარაკობ, ამირანაშვილების, ანჯაფარიძის, ტატიშვილის, ქასრაშვილისა და სოტკილავას სახეები მიდგას თვალწინ, მათ ხმებს ვუსმენ; როცა საოპერო მუსიკაზეა საუბარი, ევგენი მიქელაძე, ოდისეი დიმიტრიადი, ჯანსუღ კახიძე და მათი ხელოვნებაა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი. და სულაც არ არის უმადურობა, რომ მათთან ერთად არ მახსენდება ამ მშვენიერი შენობის არქიტექტორი, მით უფრო არ არის საწყენი, რომ მათ გვერდით ვერა და ვერ მომიაზრებია ამ თეატრის თუნდაც ხელმძღვანელი და თუნდაც სამხატვრო, ბატონი მელივა.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ეტყობა, საქმე ისეა, რომ სწორედ ამ კაცზეა დამოკიდებული მიგრაციისა და ემიგრაციის რეგულირება, თუმცალა, მხოლოდ ვიწრო, მუსიკალური განხრით.

ეჭვი არ მეპარება, არავინ ცდილობს და ვერც მოახერხებს თეატრის სცენაზე ძალით შევარდნას, მაგრამ როცა კაცი ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე (დღევანდელ ვითარებაში!) გთავაზობს საკუთარ ნიჭსა და დროს, უარის თქმა ცოტა ალოგიკური, უხერხული ხომ არ არის?!

დღევანდელი ვითარება შემთხვევით არ მიხსენებია. ორმოცდაათიანი-სამოციანი წლებიდან ოპერა ნელ-ნელა კარგავდა მაყურებელს. ყოველ შემთხვევაში, ჩვენში მაინც შეინიშნებოდა ამგვარი ტენდენცია. კარგად მახსოვს ზურაბ სოტკილავას პირველი სპექტაკლები "ტოსკა" და "სოფლის პატიოსნება". ლა სკალას, გრანდ ოპერის, დიდი თეატრისა და კიდევ ორი-სამი თეატრისა არ ვიცი, მაგრამ სხვა დანარჩენები რომ შურით დაიწვებოდნენ, ეჭვი არ მეპარება. და იცით, რამდენი კაცი იჯდა ხოლმე მაშინ დარბაზში? ორმოცდაათი – არც მეტი, არც ნაკლები. დაახლოებით ასეთი იყო სამოცდაათიანი წლები, წლები, როცა ცისანა ტატიშვილისთანა სანტუცა, დარწმუნებული ვარ, მსოფლიოს არც ერთ თეატრს არ ჰყავდა. და საერთოდ, ბრწყინვალე სოლისტთა ნაკლებობას არასოდეს განიცდიდა ქართული ვოკალური ხელოვნება.

ახლა, როგორ დავიჯერო, რომ დღეს, ნიჭიერ ადამიანთა ამ უსაშველო დაფანტვისა თუ გაფანტვის ფონზე, ისეთი არჩევანი აქვს ოპერის თეატრს, მაპატიეთ, სამხატვრო ხელმძღვანელს, რომ უსახსრობის გამო სამშობლოდან გადახვეწილ საქართველოს მოქალაქეებს უჰონორარო სპექტაკლებსა თუ კონცერტებზე უარს ეუბნება? ეს ხომ იგივეა, თქვენი ფეხი აღარ იყოს საქართველოში და დანარჩენებიც, ვინც ჯერ კიდევ აქა ხართ, სადაც გნებავთ, იქ მიბრძანდითო?!

ისე, ერთი კვიმატი აზრი გამიჩნდა და რომ არ ვკითხო ბატონ მელივას, არ შემიძლია. სტამბულის თეატრიდან მარლენ ადამაძე კი არა, უბრალოდ, იმავე თეატრისა და იმავე რეგალიების სოლისტი რომ სწვეოდა, იმასაც ასე უბოდიშოდ გაისტუმრებდა?

ეეჰ! ვერ არის საქმე კარგად. ფულის დეფიციტს შევეგუეთ, თანდათან ვეგუებით ნიჭიერი ხალხის დეფიციტსაც. როგორც ჩანს, რეალურად განსჯის უნარის, ესე იგი, აზროვნების დეფიციტზეც მიდგა ჯერი. იქნებ ვცდები და თავიდათავი პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ აზროვნების დეფიციტშია?

დაბოლოს. არ შეიძლება, გურამ მელივას მოსმენილი არ ჰქონდეს კონსერვატორიის დიდ დარბაზში წლების წინ სტუდენტთა ძალებით დადგმული "სიყვარულის ნექტარი". მაშინ მარლენ ადამაძე მესამე თუ მეოთხე კურსის სტუდენტი იყო. ბატონო გურამ, გულზე ხელი დაიდეთ და მიპასუხეთ, მას შემდეგ ერთხელ მაინც თუ მოგისმენიათ მსგავსი ნემორინო. როგორც იტყვიან, მეტი შეკითხვები აღარა მაქვს.

ნამდვილად არა ვარ ადამაძეების ადვოკატი. ვერც ქართული ოპერისა და საოპერო ხელოვნების შეუვალ დამცველად გამოვდგები. უბრალოდ, გული მწყდება იმაზე, რომ ხან ზოგიერთი ჩვენგანი, ხანაც ყველანი ერთად სუსტ მეხსიერებასა და ახლომხედველობას ვიჩემებთ, როცა არც თვალს გვაკლია და ბევრი რამეც, ყოველ შემთხვევაში, ის, რაც ხელს გვაძლევს, მშვენივრად გვახსოვს. დანარჩენი კი, მაგალითად, ის, რომ სამხატვრო ხელმძღვანელობა სულაც არ ნიშნავს ქართული ხელოვნების საკუთარი ნება-სურვილით განკარგვას, ვითომ ირაკლი ბათიაშვილი სხვამ უნდა შეგვახსენოს?

## კომენტარი

მკითხველის წერილთან დაკავშირებით ტელეფონით ვესაუბრეთ თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს გურამ მელივას. ჩვენმა სატელეფონო ზარმა ბატონი გურამი გააოცა, რადგან, როგორც მან გვითხრა, უკანასკნელი 15 წელია ადამაძე არ უნახავს. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის ერთადერთი შეხება ადამაძესთან რამდენიმე თვის წინანდელი სატელეფონო საუბრით შემოიფარგლა. ადამაძეს მასთან სტამბოლიდან დაურეკავს თხოვნით, ჩემი ცოლი პრემიერაზე ამღერეთ, ის სტამბოლში მთავარ პარტიას ასრულებს "ბალ-მასკარადშიო". გურამ მელივას უპასუხია, რომ სატელეფონო საუბრით, მოსმენისა და გასინჯვის გარეშე ეს ვერ მოხერხდებოდა, თანაც მაშინ, როცა როლები უკვე გადანაწილებული იყო და, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის თქმით, ყველამ კარგად იცის, რომ ოპერაში ლუკმა-პური დათვლილიაო.

საბედნიეროდ, სატელეფონო საუბარი გაწყდა, - გვითხრა გურამ მელივამ...

# რუსი პოლკოვნიკის მკვლელობას ეჭვმიტანილი არ აღიარებს

სოფიკო ჩხაიძე

პოლიციამ, როგორც ჩანს, მიიღო ის საბუთი, რომელსაც გუშინწინ მთელი ღამე ელოდა და, შესაბამისად, მხოლოდ გუშინ შეძლო, დაკავებული დავით გაზაშვილი რუსი პოლკოვნიკის, რუსეთის მთავრობისა და შეიარაღებული ძალების რწმუნებულის წარმომადგენლობის თანამშრომლის, იგორ ზაიცევის მკვლელობაში ეჭვმიტანილად ეცნო. გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ, გაუჩინარებიდან 10 დღის შემდეგ, ჯიქიას ქუჩაზე ნაპოვნ ზაიცევის გვამზე, ბლაგვი საგნით მიყენებულ დაზიანებებთან ერთად, ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობებიც აღმოაჩინა. ვაკე-საბურთალოს რაიონის პროკურორმა, თამაზ გეთიამ ეს ცნობა უარყო. არადა, ამგვარ აღმოჩენას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეეძლო სამართალდამცველთა მუშაობაში, მით უმეტეს, თუ ჭრილობა იმ იარაღით იქნებოდა მიყენებული, რომელიც გაზაშვილის დის ბინიდან ამოიღეს. მაგრამ, ცეცხლსასროლი ჭრილობების არსებობა უარყოფილია და, შესაბამისად, გუშინაც, ისევე, როგორც გუშინწინ, ერთადერთი, რაშიც სამართალდამცველები დარწმუნებულები იყვნენ, ის გახლდათ, რომ გაზაშვილისთვის იარაღის უკანონოდ ტარება-შენახვისთვის ბრალის წაყენებას შეძლებენ – ამ დანაშაულს თვით დაკავებულიც უპრობლემოდ აღიარებს. გუშინ საღამოს ინფორმაციით, შაბათს, ანუ დღეს, პროკურატურას, შეიძლება, გაუჭირდეს გაზაშვილისთვის ზაიცევის მკვლელობაში ბრალის წარდგენა. თავად ეჭვმიტანილად დაკითხული გაზაშვილი მკვლელობის



თამაზ გეთია — ბესო გულაშვილის ფოტო

ირგვლივ აღიარებით ჩვენებას არ იძლევა.

უკვე ერთმნიშვნელოვნად ცნობილია, რომ დავით გაზაშვილი, რომელიც ორი წლის წინ რუსეთის ჯარების დაჯგუფების შტაბში მსახურობდა და, შესაბამისად, ზაიცევის თანამშრომელიც იყო, მოკლულთან ახლო ურთიერთობაში იმყოფებოდა. ამ ეტაპზე სამართალდამცველები თითქმის გამორიცხავენ მკვლელობის პოლიტიკურ და საქმიან მოტივს და აქცენტს ყოფით ნიადაგზე წარმოშობილ უთანხმოებაზე აკეთებენ. იმასაც ამბობენ, რომ გაზაშვილი მარტო არ მოქმედებდა და მას, სულ ცოტა, ერთი თანამზრახველი მაინც ჰყავდა. სამართალდამცველთა მიერ მოწოდებული ინფორმაციით, მიმდინარეობს აქტიური ღონისძიებები მკვლელობაში სხვა ეჭვმიტანილთა დასაკავებლად. მანამდე კი გაზაშვილი უკვე დაკითხეს ვაკე-საბურთალოსა და რუსეთის სამხედრო პროკურატურების გამომძიებლებმა. როგორც ზემოთ ვთქვით, ეჭვმიტანილი ადვილი გამოსატეხი არ აღმოჩნდა. ამაზე მეტყველებს გამოძიების ფრთხილი კომენტარები და ოჯახის მიერ დაქირავებული ადვოკატის გაზაშვილამდე არმიშვება. აღიარებითი ჩვენების მოპოვების შემთხვევაში ხომ, როგორც წესი, გამოძიება გაცილებით ლმობიერი ხდება ხოლმე.

გუშინ საღამოს ვაკე-საბურთალოს პროკურორს, თენგიზ გეთიას მხოლოდ იმის თქმა შეეძლო, რომ დღეს ისინი გაზაშვილისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების საკითხს დააყენებენ ვაკე-საბურთალოს სასამართლოში, თუმცა კი, საფუძვლად, შეიძლება, მხოლოდ იარაღის ტარება-შენახვისთვის წარდგენილი ბრალი დასახელდეს. გეთიას თქმით, ჩასატარებელია არაერთი საგამოძიებო მოქმედება -- დაკითხვა, ამოცნობა თუ დაპირისპირება. მისივე განცხადებით, გამოძიების საწყის ეტაპზე ძალზე საინტერესო დეტალები იკვეთება.

ქართველი სამართალდამცველების ოპერატიულობით საკმაოდ უკმაყოფილო უნდა იყოს რუსეთის მხარე, რომელსაც, ზაიცევის მკვლელობის მოტივად ყოფითი უთანხმოების დასახელებითა და ეჭვმიტანილის დაკავებით, საქართველოში მიმდინარე ანტირუსულ კამპანიაზე სალაპარაკო კარგი საშუალება გამოეცალა ხელიდან. თუმცა, მათ ფარ-ხმალი მაინც არ დაუყრიათ და რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ქართველ კოლეგებს უკვე გამოუგზავნა საპროტესტო ნოტა, რომლითაც ზაიცევის მკვლელობაზე პასუხისმგებლობას საქართველოს ხელისუფლებას აკისრებს და, გარკვეულწილად, ითუმ-ყალეს მიდამოებში განვითარებულ მოვლენებს უკავშირებს. საპროტესტო ნოტის ადრესატები ამ შეფასებას აბსურდულს უწოდებენ. ამის საპირისპიროდ, რუსეთის სამხედრო პროკურატურასთან თანამშრომლობით კმაყოფილნი არიან ქართველი პოლიციელები. მათი თქმით, რუსეთის სამხედრო პროკურატურა, რომელიც ზაიცევის გაუჩინარებისთანავე ჩაება გამოძიებაში, მნიშვნელოვნად დაეხმარა ქართველ კოლეგებს.

# ზაიცევის მკვლელობამ რუსული ისტერია უფრო გაამძაფრა

რუსიკო ნიკურაძე
*საქ.კორ.მოსკოვში*

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა და მორიგი პროვოკაციული განცხადება რუსი ოფიცრის, იგორ ზაიცევის მკვლელობას დაუკავშირა.

**"რუსეთმა არაერთგზის მიაქცია ქართული მხარის ყურადღება იმას, რომ რუსი ოფიცრის გაუჩინარების ფაქტს საქართველოს ტერიტორიაზე საერთაშორისო ტერორისტებისა და ბოევიკთა აგრესიული აქციების ფონზე ჰქონდა ადგილი, რასაც ხმაურიანი ანტირუსული კამპანიაც თან ახლდა და ამაში ოფიციალური პირებიც მონაწილეობდნენ. ამიტომ მომხდარზე მთელი პასუხისმგებლობა საქართველოს ხელისუფლებას ეკისრება,"** - ნათქვამია რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

რუსეთის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის სამხედრო ექსპერტის აზრით, ეს კრიმინალური დანაშაულია. **"რუსი სამხედროს მკვლელობა თბილისში სწორედ იმ კატეგორიის კრიმინალთა ნახელავია, ვისაც ოფიციალური ხელისუფლება საკუთარი პროპაგანდისტული მიზნებისათვის იყენებს. შეიძლება, დანაშაულის ჩამდენი ზაიცევის კოლეგაა, რამდენადაც ნებისმიერ დანაშაულზე კაცი ხელმოკლეობის მიზეზით მიდის. არავისთვის საიდუმლო არ არის, თუ როგორი ხელფასები აქვთ რუს ოფიცრებს თბილისში,"** - განუცხადა 24 საათს რუსმა ექსპერტმა.

საერთო ფერხულშია ჩაბმული რუსული პრესა. **"საქართველო-რუსეთს შორის მორიგი დაძაბულობის ესკალაციას ნებისმიერი დასაშვები თუ დაუშვებელი მეთოდებით ეწევიან საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციები, რომელთა წარმომადგენლები თბილისში თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში და ისინი საკუთარ მოქმედებებს სპეცსამსახურებს არ უთანხმებენ,"** - წერს "კრასნაია ზვეზდა".

რუსეთის ტელევიზიის მესამე არხზე, რუსი ოფიცრის მკვლელობის ჩეჩენური ხელწერა ლამის დასტურებულად წარმოაჩინა პოლიტოლოგმა ნიკონოვმა: **"თბილისი ყველანაირად შეეცდება მოსკოვთან მისასვლელი გზების მოჭრას. ეჭვიც არ მეპარება, რომ მსგავს დანაშაულებს დაინტერესებული სტრუქტურები გეგმავენ და ზაიცევის მკვლელობა წმინდა პოლიტიკური და შეკვეთილი აქციაა."** მოსკოვში მყოფი საქართველოს თავდაცვის ექს-მინისტრი თენგიზ კიტოვანი რუსეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში აცხადებს, რომ **"ზაიცევის მკვლელობა საქართველოს ხელისუფლების მიერ დაქირავებული ჩეჩენი ტერორისტების ხელითაა ჩადენილი და რუსეთ-საქართველოს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებას ისახავს მიზნად".**

# რუსეთის მოქალაქეები ქართულ მართლმსაჯულებას არ ენდობიან

პირველი გვერდიდან

საოლქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაკავებულთა დამცველების შუამდგომლობა სამთვიანი პატიმრობის გაუქმების შესახებ, არც რუსეთის საკონსულოს პირველი მდივნის იური ადამოვის პირადი თავდებობა და პატიმართა გირაოთი გათავისუფლების მოთხოვნა გაითვალისწინა და ძალაში დატოვა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება.

დაკავებულები რომ ნამდვილად რუსეთის მოქალაქეები არიან და სტავროპოლის ძალოვან უწყებებში მუშაობენ, წინასწარი გამოძიების დაწყებისას ეჭვს ბადებდა. თუმცა, რუსულმა მხარემ, რომელიც თავიდან უარყოფდა ტიჩკოვის, უგრიუმოვისა და ბლინოვის შინაგან საქმეთა სამმართველოში მუშაობას, ამ უწყებაში მათი თანამშრომლობა მოგვიანებით დაადასტურა. აქედან გამომდინარე, თავდაპირველი ეჭვი, რომ საქართველოში უვიზოდ შემოსულ რუსეთის მოქალაქეებს დაკავებისას ყალბი საბუთები ჰქონდათ, არ მართლდება.

რამდენიმე დღის წინ სპეციალურად გამართულ ბრიფინგზე უშიშროების მინისტრმა, ვალერი ხაბურძანიამ საქართველო-რუსეთის საზღვრის უვიზოდ გადმოკვეთის მიზეზად რამდენიმე ვერსია დაასახელა, რომლებიც ნარკოტიკებსა და მანქანებით ვაჭრობას უკავშირდებოდა. თუმცა, გამოძიების ამ ეტაპზე ზუსტად დადგენილი არ არის, რა მიზეზითა და სურვილით დასეირნობდნენ მიხაილ ტიჩკოვი, იური უგრიუმოვი და ვლადიმირ ბლინოვი ახმეტაში.

ბრალდებულებმა აღიარეს დანაშაული, თუმცა, თავდაპირველად ურთიერთგამომრიცხავ, წინააღმდეგობრივ ჩვენებებს იძლეოდნენ. ერთი ამბობდა, რომ საქართველოში ხაჭაპურის საჭმელად მოდიოდა; მეორე – მშობლების საფლავის მოსანახულებლად; მესამე კი - მანქანის წასაყვანად, რომელიც ერთი წლის წინ



*განსასჯელები სასამართლო პროცესზე* — გოგიტა ბუხაიძის ფოტო

სტავროპოლში შეიძინა, შემდეგ კი პანკისში დატოვა. დახურულ პროცესზე კი სამივე ბრალდებულმა მოსამართლეს ერთნაირი ჩვენება მისცა – მათ არაფერი იცოდნენ სავიზო რეჟიმის შესახებ; ეგონათ, უპრობლემოდ გადმოვიდოდნენ საქართველოში და პანკისში დატოვებულ მიხაილ ტიჩკოვის საკუთარ მანქანას – “ნისან-პატრულს” წაიყვანდნენ სტავროპოლში.

როგორც გაირკვა, ვლადიმირ ბლინოვი ქართველია. მისი ნამდვილი გვარია სიჭინავა. რამდენიმე წლის წინ საქართველოდან რუსეთში სასწავლებლად წასულს პრობლემები შექმნია და გვარიც სწორედ მაშინ გადაუკეთებია. ქართველობაზე დებს თავს მიხაილ ტიჩკოვიც, რომლის დედა და და თეთრი წყაროში ცხოვრობენ. როგორც მათ გამოძიებას განუცხადეს, ადრეც ხშირად გადმოსულან საზღვარზე და არანაირი პრობლემა არ შექმნიათ.

ისევე, როგორც წინასწარმა გამოძიებამ, სასამართლომაც ვერ გაარკვია, მართლაც ეკუთვნის თუ არა “ნისან-პატრული” ტიჩკოვს და, საერთოდ, არის თუ არა იგი პანკისის ხეობაში, სოფელ დუისში. ბრალდებულების დამცველებმა გუშინ სასამართლოს ამ სადავო ავტომანქანის ადგილმდებარეობისა და მისი მფლობელის შესახებ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოუდგინეს, რაც მოსამართლემ ჭეშმარიტ მტკიცებულებებად არ ჩათვალა და ბათილად ცნო. სასამართლომ მტკიცებულებად არ მიიღო და ბათილად ცნო, აგრეთვე, ავტომანქანის მინდობილობა, რომელიც დაკავებულმა ტიჩკოვმა უშიშროების თანამშრომლებს გადასცა.

ერთი სიტყვით, საოლქოს მოსამართლემ მთლიანად უსაფუძვლოდ მიიჩნია ადვოკატების შუამდგომლობა აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის შესახებ, დაეთანხმა ვაკე-საბურთალოს რაიონის კოლეგა მოსამართლეს, საზღვრის დამრღვევი პიროვნებები სერიოზულ შესასწავლ ობიექტებად მიჩნევა და ჭეშმარიტების დადგენა გამოძიებას მიანდო. სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

უშიშროების საგამოძიებო ნაწილის მთავარმა გამომძიებელმა, რომელიც დახურულ პროცესზე ბრალმდებლის ფუნქციას ასრულებდა, ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ საქმეში უკვე ახალი გარემოებებია აღმოჩენილი, რომელთა გამხელისგან მან, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით თავი შეიკავა. თუმცა, არ დაუმალავს, რომ საქმეში ბევრი საეჭვო დეტალია და, შესაძლოა, გამოძიებამ ბრალდებულები უფრო მძიმე დანაშაულშიც ამხილოს.

# ტრაგედია რიკოთზე



გუშინ, დაახლოებით გამთენიისას, რიკოთის უღელტეხილზე, გვირაბიდან 4 კილომეტრში ხარაგაულის რაიონის ტერიტორიაზე, ტრაგედია დატრიალდა.

"წითელი ხიდიდან" ბათუმში მიმავალ მიკროავტობუსს ზესტაფონიდან თბილისის მიმართულებით მიმავალი "ლაზის" ტიპის სამგზავრო ავტობუსი დაეჯახა. შეჯახების შედეგად მიკროავტობუსი ხევში გადავარდა.

ამ შემთხვევამ შვიდი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ათი ადამიანი დაშავდა. მათ შორის ოთხნი მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. დაშავებულნი ზესტაფონისა და ხაშურის რაიონულ საავადმყოფოებში გადაიყვანეს. საბედნიეროდ, მიკროავტობუსში არ იყვნენ ბავშვები.

შემთხვევის ადგილზე გავიდა საგანგებო სიტუაციებისა და სამოქალაქო თავდაცვის იმერეთის სამხარეო შტაბის სამაშველო რაზმი, რომელთაც ხევიდან დაღუპულთა გვამები ამოიტანეს და ზესტაფონის პროზექტურაში გადაასვენეს.

მოგვიანებით, სურამის საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში მყოფი კიდევ ორი ადამიანი გარდაიცვალა. ოთხი მძიმედ დაშავებული თბილისში ჩამოიყვანეს, დანარჩენი სამი ხაშურის საავადმყოფოშია. როგორც გვატყობინებენ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ავტოავარიის მიზეზები გუშინ ცნობილი არ იყო. მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.



# თავდაცვა თუ განზრახ მკვლელობა?

თათია დავითაშვილი

რუსი სამართალდამცველების მიერ მკვლელობისათვის ძებნილი გიორგი მიჩიტაშვილი პოლიციამ ორი დღის წინ გორში დააკავა.

მიჩიტაშვილს ჩრდილოეთ ოსეთის პრიგოროდნის რაიონის პოლიცია ორი წელია, ეძებს. 2000 წლის 20 აგვისტოს მან ვლადიკავკაზის გარეუბანში, არხონკაში ადგილობრივი მცხოვრები, ვინმე გიორგი კოცური მოკლა.

მიჩიტაშვილი ერთხელ უკვე ნასამართლევია. მან ხულიგნობისათვის სასჯელი რუსეთში მოიხადა და, როგორც თავად ყვება, გათავისუფლების შემდეგ ბიზნესს მიჰყო ხელი – ჩრდილოეთ ოსეთიდან გორში თხევადი გაზი შემოჰქონდა. ერთხელაც, ერთ-ერთი ბიზნეს-ტურისას, საქართველოში მომავალ გზაზე მეწყერი ჩამოწოლილა, რამაც მიჩიტაშვილი, თავის მეგობრებთან ერთად, აიძულა ღამე არხონკაში გაეთია. ღამით იგი ქუჩაში გასულა, სადაც რამდენიმე პირი დაედევნა. სწორედ მათ შორის იყო გიორგი კოცურიც, რომელმაც მიჩიტაშვილისთვის ფულის გამოძალვა სცადა, თანაც დააყოლა, ვიცი შენი ბიზნესის შესახებ და დარწმუნებული ვარ, ფულიც გექნებაო. მიჩიტაშვილმა გამომძალველს წინააღმდეგობა გაუწია და გაიქცა კიდეც, თუმცა დადევნებულებმა იგი დაიჭირეს და კოცურმა დანა მოუქნია. როგორც მიჩიტაშვილი ამბობს, მან მოახერხა, მოქნეული დანა კოცურისთვის წაერთმია და თავად მისთვის მიეყენებინა სასიკვდილო ჭრილობა.

გიორგი მიჩიტაშვილი მკვლელობის ადგილიდან მიიმალა. პრიგოროდნის პროკურატურამ კი სისხლის სამართლის საქმე თავდაცვის კი არა, განზრახ მკვლელობის მუხლით აღძრა.

დღეს ქართველი სამართალდამცველები ფიქრობენ, რომ მიჩიტაშვილის წინააღმდეგ აღძრული საქმე პრიგოროდნიდან გამოითხოვონ და დაკავებული ძებნილი ქართული კანონმდებლობით გაასამართლონ.

# პანკისში ინგუში მკვლელი იმალება

ერთი კვირის წინათ პანკისის ხეობაში მომხდარი მკვლელობის გამოძიებაში სიახლეა. თუ აქამდე სამართალდამცველები ირწმუნებოდნენ, მკვლელობაში ჩეჩნების ხელი ურევიაო და მათი ვინაობის დაახლოებით ცოდნასაც იჩემებდნენ, ახლა დადგინდა, რომ მკვლელი ეროვნებით ინგუშია, ვინმე ჯანდულა. პოლიციის ინფორმაციით, იგი ახლაც პანკისის ხეობაში იმყოფება. მან გაიოზ გამრეკელაშვილი ცოლ-შვილის თვალწინ მოკლა.

გამრეკელაშვილების მთელი ოჯახი, ნათესავ ქალთან ერთად, ომალოში მიემართებოდა სტუმრად. გზაში, სოფელ ხალაწყლის მიდამოებში, წამოწეული ტაქსის მგზავრებმა საჭესთან მჯდომ გამრეკელაშვილს ანიშნეს, მანქანა გზიდან გადაეყენებინა. გამრეკელაშვილი მათ არ დაემორჩილა. მაშინ უკან მომავალი ტაქსი მის მანქანას წამოეწია და შიგ მჯდომმა ბოროტმოქმედმა გამრეკელაშვილის მანქანას ავტომატის ჯერი მიაყოლა. სროლის შედეგად თავში დაჭრილი გამრეკელაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა.

ახმეტის რაიონის პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.

გამოძიებამ მკვლელის ვინაობა თვითმხილველების ჩვენებებზე დაყრდნობით დაადგინა. ამჟამად ცდილობენ, პანკისში დამალული ინგუში მკვლელი დააკავონ.

# ბაზრობაზე ჰეროინიც იყიდება

თბილისურ ბაზრობებზე ყველაფრის ყიდვა შეიძლება, უბრალოდ, ეგაა, ყველაფრის გაყიდვის ნებას კანონი არ იძლევა. სწორედ ასეთი კანონდამრღვევი გამყიდველი დააკავა პოლიციამ ლილოს ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე. 53 წლის თელაველ ევგენია მარტიროსოვას ახლა უკვე სამართალდამცველებისთვის მოუწევს თავისი საქონლის წარმომავლობის დასახელება. მას, არც მეტი, არც ნაკლები, 9,6 გრ. ჰეროინი აღმოაჩნდა. ნარკოტიკი ქალს უკვე სარეალიზაციოდ ჰქონდა გამზადებული.

# დისკუსია თემაზე: რას გვპირდება ახალი საგადასახადო კოდექსის პროექტი


გია ჯანდიერი


ოთარ ზოიძე


კახა დამენია


ზაზა რუხაძე


ნუგზარ ჩინჩალაძე

იური ლობოდინის ფოტოები

*საქართველოს ეკონომიკა უმძიმეს კრიზისს განიცდის, რისი მიზეზი მოქმედი საგადასახადო კოდექსიცაა, რომელიც, ბოლოდროინდელი ცვლილებების გამო, საბოლოოდ დამახინჯდა. შედეგად, ლეგალური ბიზნესი კვდება, ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები კი დღითიდღე მცირდება.*

*მოქმედი კოდექსი საგადასახადო ადმინისტრაციის უსაზღვრო ბატონობას აკანონებს და მას შესაძლებლობებს უქმნის, ნებისმიერი ხერხით დაჩაგროს გადამხდელი. პროექტის შესაბამისად, საგადასახადო ადმინისტრაციისა და გადამხდელის ურთიერთობა პარტნიორობისა და თანაზომიერი ურთიერთპასუხისმგებლობის პრინციპს ეფუძნება. ახალი პროექტის მიხედვით, საგადასახადო ადმინისტრაცია მკაცრ ჩარჩოებშია მოქცეული. აქ დეტალურადაა აღწერილი გადამხდელისა და საგადასახადო ადმინისტრაციის ურთიერთობის წესები. საგადასახადო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს არ ექნებათ შესაძლებლობა, გასცდნენ იმ ვალდებულებებს, რომლებიც კოდექსის პროექტით არის დადგენილი.*

*პროექტის მიხედვით, გადამხდელის საქმიანობის შემოწმება დაიშვება მხოლოდ მისი თანხმობით ან სათანადოდ არგუმენტირებული სარჩელის საფუძველზე, რაც გადამხდელს თავიდან აცილებს გაუთავებელ "ვიზიტებს", რომელსაც, როგორც წესი, გამოძალვის მიზანი აქვს. ვინაიდან შემოწმების შედეგად გადამხდელის მიერ გაღებული ხარჯები და შემოწმებით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება, საგადასახადო ადმინისტრაციას გადამხდელის ხშირი "შეწუხების" ხალისიც დაეკარგება.*

*დღეს არსებული ორ ათეულზე მეტი გადასახადიდან პროექტით რჩება ოთხი გადასახადი: ა) ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საშემოსავლო; ბ) დამატებული ღირებულების; გ) ქონების (მოიცავს მიწის, უძრავი ქონების, იურიდიულ პირთა ქონებისა და რეგისტრაციას დაქვემდებარებული სხვა მოძრავი ქონების გადასახადს) გადასახადები და დ) აქციზი.*

*საშემოსავლო და დამატებული ღირებულების გადასახადების განაკვეთები შემცირებულია. ქონების გადასახადში შემოღებულია გადასახადის ზედა ზღვარი და ამ ფარგლებში ოდენობის დადგენის უფლება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ენიჭება. ამ გადასახადით ადგილობრივი თვითმმართველობა პირდაპირაა დამოკიდებული ადამიანების მიერ მის ტერიტორიაზე მიღებულ შემოსავლებზე, მათ შესაძლებლობებზე, რაც თვითმმართველობას აძლევს სტიმულს, შეარჩიოს ისეთი საგადასახადო განაკვეთები, რომელიც არც გადამხდელს დაჩაგრავს და არც თვითმმართველობის საქმიანობას ჩაშლის.*

*ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადში შემოღებულია ინდივიდუალური (10 პროცენტი, გამოქვითვების უფლების გარეშე) და საოჯახო დაბეგვრის (15 პროცენტი, გამოქვითვების უფლებით) რეჟიმები. გამოქვითვები ეხება ოჯახის წევრთა საარსებო მინიმუმს, მკურნალობის, განათლების, დაზღვევის, საყოფაცხოვრებო კრედიტების და ა.შ. ხარჯებს.*

*დამატებული ღირებულების გადასახადში მოხსნილია ჩათვლის მექანიზმი (შესაბამისად - მკაცრი აღრიცხვის ანგარიშ-ფაქტურის საჭიროება). ყველა გადამხდელი ამ გადასახადს მხოლოდ მის მიერ დამატებული ახალი ღირებულებიდან იხდის, ხოლო განაკვეთი ამ ღირებულების 15 პროცენტია (არსებული 20-ის ნაცვლად).*

*პროექტით უარყოფილია გადასახადების მთელი რიგი, მათ შორის, სოციალური გადასახადი, რადგან სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსება უნდა მოხდეს ბიუჯეტიდან, სხვა გადასახადების ხარჯზე. ეს უფრო ეფექტურად უზრუნველყოფს პენსიების გაცემას. სხვა თუ არაფერი, სპეციალური გადასახადების არსებობა, კორუფციის გარდა, არაფერს იძლევა და პენსიონერებიც თითქმის ვერაფერს იღებენ.*

*დისკუსიაში მონაწილეობენ: ოთარ ზოიძე - საქართველოს ნოტარიუსთა პალატის გამგეობის თავმჯდომარე; გია ჯანდიერი - ფონდის, "ღია საზოგადოება - საქართველოს" პროექტის კოორდინატორი; ნუგზარ ჩინჩალაძე - ბიზნესმენი; კახა დამენია – "ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" კოორდინატორი; ზაზა რუხაძე – "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" გამგეობის თავმჯდომარე.*

**"24 საათი":** რა აუცილებლობით იყო გამოწვეული ახალი საგადასახადო კანონმდებლობის მომზადება? თქვენს პროექტს ჰქონდა პოლიტიკური მხარდაჭერა როგორც პრეზიდენტისა და სახელმწიფო მინისტრის, ასევე საპარლამენტო ფრაქცია "მრეწველების" მხრიდან, რომლებიც აცხადებენ, რომ ეს პროექტი მათი ფინანსური მონაწილეობით არის შექმნილი.

**ოთარ ზოიძე:** ეს კოდექსი თავიდან ბოლომდე დამოუკიდებელ სპეციალისტთა ჯგუფმა დაამუშავა. საბოლოო სახე პროექტს მისცა შვიდკაციანმა ჯგუფმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ გია ჯანდიერი, ოთარ ზოიძე, ირაკლი შავიშვილი, ნიკო ორველაშვილი, აკაკი ჩარგეიშვილი, კონსტანტინე გორბატკოვი და შოტლანდიელი გადასახადმცოდნე, ფილოსოფოსი სტივენ ტაპერი, რომლის მონაწილეობითაც ამჟამად მიმდინარეობს რეფორმა რუსეთში. საწყის ეტაპზე ექსპერტთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. ეს კოდექსი პოლიტიკურად აბსოლუტურად ნეიტრალური პიროვნებების დაწერილია და მიმაჩნია, რომ ეს არის ის, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება განვითარების ამ ეტაპზე.

ჩვენი კოდექსის უმთავრესი პრინციპი ადამიანის უფლებებისა და თავისუფალი შრომის უფლების ხელშეუვალობაა, რაც საქართველოში ყოველდღიურად ირღვევა. ასევე მნიშვნელოვანია რესურსების თავისუფალი განკარგვის უფლებაც. გარდა ამისა, დღევანდელი საგადასახადო სისტემის სერიოზული ნაკლია ის, რომ შეუძლებელია ბიზნესის დაგეგმვა. ჩვენ შემოგვაქვს სიახლე, რომ ყველა საგადასახადო ცვლილება, რაც სახელმწიფომ უნდა მიიღოს, მოხდეს ახალი საბიუჯეტო წლიდან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრინციპია გადასახადის გადამხდელის კეთილსინდისიერების პრეზუმპცია. ჩვენი აზრით, ბიზნესის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ბიზნესისადმი კანონმდებლობის დამოკიდებულებაა. კანონმდებლობა აპრიორულად თვლის, რომ ბიზნესმენი კანონდამრღვევია და მან თავისი უდანაშაულობა სასამართლოში უნდა ამტკიცოს. ანუ ჯერ ხდება ჯარიმა-საურავის დარიცხვა და სასამართლოს შემდეგ გამოაქვს სათანადო გადაწყვეტილება. ჩვენს პროექტში ეს პრინციპი წესისა და რიგის დაცვითაა დალაგებული. ანუ ითვლება, რომ გადასახადის გადამხდელი კეთილსინდისიერია და ის ასრულებს ვალდებულებებს, სანამ კოდექსით დადგენილი წესით არ უმტკიცდება დანაშაული.

**გია ჯანდიერი:** ჩვენი კოდექსის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი ადამიანის უფლებების ნორმების დაცვაა. ადამიანის ეკონომიკურ უფლებებზე, რაც არის ერთ-ერთი მთავარი უფლება, ყურადღება ნაკლებად მახვილდება. რატომ დავაყენეთ ადამიანის უფლებები ყველაფერზე მაღლა? იმიტომ, რომ დღეს სახელმწიფო ჩამოყალიბების ეტაპზეა და თუ ხელისუფლება ამ უფლებების დაცვას არ უზრუნველყოფს, სახელმწიფო ვერ შეიქმნება. ჩვენთვის მთავარი მიზანია ისიც, რომ ყველა კანონმა, რომელიც საქართველოში მიიღება, უზრუნველყოს საქართველოს ეკონომიკის ზრდა. ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, ვთქვათ, ბიუჯეტის შევსება. მესამე – ჩრდილოვანი სექტორის, ბიზნესის ლეგალიზაციაა. გვჯერა, რომ ჩვენი პროექტის ამოქმედებით ეს პროცესი ადგილიდან დაიძვრება. გარდა ამისა, მოსალოდნელია, რომ ის პატიოსანი ადამიანები, რომლებსაც დღევანდელ გარემოში ბიზნეს-საქმიანობა უჭირთ, კვლავ დავაბრუნოთ ბიზნესში.

ამ კოდექსში მძლავრი ანტიკორუფციული მოდელია ჩადებული, რომლის მიხედვით მეწარმეს მოტივაცია არ ექნება, დამალოს შემოსავლები და გადაიხადოს ქრთამი, რადგან მექრთამეობა – რისკიანია. ამიტომ, როდესაც ჩვენ ვიწყებდით პროექტზე მუშაობას, შევთანხმდით იმ ზოგად პრინციპებზე, რომელსაც შემდეგ ჩვენი კოდექსი დაეფუძნა.

თქვენ ახსენეთ საგადასახადო კონცეფციის განხილვა, რომელსაც პრეზიდენტიც დაესწრო. ამ განხილვაზე არავის გამოუთქვამს შენიშვნები კონცეფციის ზოგადი პრინციპების მიმართ. ჩვენ ვქმნით ახალ სახელმწიფოს, სადაც უმჯობესია, დავეყრდნოთ დღევანდელ მიღწევებს და არა გუშინდელ დღეს, თუნდაც წარმატებული სახელმწიფოებისა. ჩვენ შევქმენით კოდექსის პროექტი არა როგორც იდეალი ან დოგმა. აქ ბევრია დეტალი, რომელსაც დამუშავება სჭირდება, თუმცა ჩვენი მიზანია, რომ მუშაობა დროულად დასრულდეს, რადგანაც თუ უახლოეს ექვს თვეში არ მოხდება ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება და საგადასახადო გარემოს რადიკალური ცვლილება, მაშინ ჩვენ 2,5 წელი ისევ ისეთსავე მდგომარეობაში დავრჩებით, როგორშიც დღეს ვართ. ეს კი დიდ ხიფათს უქმნის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთში წარმატებით მიმდინარეობს ეკონომიკის ლიბერალიზაცია. დიდი შიში გვაქვს იმისა, რომ საქართველოდან რუსეთში წავა არა მარტო ხალხი, არამედ ქართული ინვესტიციებიც (აღარაფერს ვამბობ უცხოურზე), რადგან დიდი სხვაობა იქნება საქართველოსა და რუსეთის ეკონომიკურ სივრცეებს შორის.

**კახა დამენია:** პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ ახალი საგადასახადო კოდექსის მიღება არ შეიძლება, პანაცეად ჩაითვალოს. დღევანდელ საგადასახადო კოდექსზე უარესი დოკუმენტი არ არსებობს და მთელი ქვეყნის დაქცევის საწყისად სწორედ საგადასახადო კოდექსი მოაქვთ. აქედან გამომდინარე, ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების იდეა აბსოლუტურად მისაღებია. ყოველივე ის, თუ რა გარემოში ვართ, რა ინსპექცია გვყავს, რა პრობლემები გვაქვს ხარჯვით ნაწილში, კომპლექსურად უნდა იყოს გააზრებული.

რა შეიძლება ამ კოდექსის მიღების ან არმიღების რისკ-ფაქტორები იყოს? მთავარი პრობლემაა ის, თუ რამდენად მზად არის დღევანდელი ხელისუფლება, მიიღოს კომპლექსური გადაწყვეტილება ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით. გავიხსენებ საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბების წინა ისტორიას საქართველოში. 1997 წელს თითქოს მოხდა საგადასახადო პოლიტიკის რეფორმა, შეიქმნა საგადასახადო კოდექსი, მაგრამ იმ დროს არავის უზრუნია იმაზე, რომ საგადასახადო ადმინისტრირების რეფორმა მოეხდინა. 2000 წლამდე ხდებოდა კოდექსის მორგება იმ უმსგავსო ადმინისტრირებაზე, რაც გაგვაჩნდა. შემდეგ თითქოს დაიწყო რეფორმა საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფისკენ, ჩატარდა კონკურსი, თუმცა მაშინაც მხოლოდ საკადრო გადაწყვეტილებებზე გამახვილდა ყურადღება, პოლიტიკა კი არ შეიცვალა. თანაც, ეს მარტო საგადასახადო სფეროს არ შეეხება. ამის ნათელი მაგალითია სასამართლო რეფორმა, როდესაც, პროკურატურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმირების პროცესის დაგვიანებასთან ერთად, სასამართლო რეფორმამ უარყოფითი შედეგი გვაჩვენა. ასე ხდება რეფორმების დისკრედიტაცია საქართველოს მოსახლეობის წინაშე. ამ შემთხვევაში, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ახალი კოდექსის მიღებით განხორციელდეს მთელი წყება რეფორმებისა. ჩვენ – ხელისუფლებაც და საზოგადოებაც, მზად უნდა ვიყოთ, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში გადასახადების შემცირება საბიუჯეტო შემოსავლების კლებას გამოიწვევს. უბრალოდ, მეშინია, რომ დღევანდელი ხელისუფლება მზად არ არის ამისათვის და ის ვერ აუხსნის ხალხს, ეს ერთი წელი მაცალეთ და შემდეგ გამოსწორდება ყველაფერიო, რადგან ნდობის ფაქტორი ამოწურული აქვს.

**ზაზა რუხაძე:** ახალი კოდექსის ამოქმედებას სჭირდება, მინიმუმ, "კანონი საგადასახადო ადმინისტრაციის შესახებ", საბიუჯეტო კოდექსი და "კანონი ხაზინის შესახებ". ეს არის აუცილებელი მინიმუმი იმ ნორმატიული აქტებისა, რომლებმაც ახალ საგადასახადო კოდექსთან ერთად უნდა იმუშაოს.

ცოტა რამ პოლიტიკურ ნებაზე. მოგეხსენებათ, რომ ნორმატიულ აქტებს იღებს სახელმწიფო. ამდენად, თუ მას პოლიტიკური ნება არ ექნა, არაფერიც არ გამოვა. რაც შეეხება შემოსავლებს, მე არ ვარ ისე პესიმისტურად განწყობილი, რომ გადასახადების შემცირებით საბიუჯეტო შემოსავლების შემცირების მეშინოდეს: მომავალში ხომ მატების დიდი ალბათობა იქნება. დღეს გადასახადებს იხდის მეწარმეთა მცირე ნაწილი და გადასახადების შემცირებით გადამხდელთა რაოდენობა გაიზრდება, რადგან არალეგალური სექტორი ლეგალურში გადმოვა. თანაც, ბევრისთვის შინაგანად მიუღებელია, აწარმოოს ბიზნესი და დამალოს შემოსავალი, რის გაკეთებასაც ადგილობრივ ბიზნესმენებს საგადასახადო კოდექსი აიძულებს. რამდენი ადამიანია საქართველოში, რომელიც, როდესაც საგზაო ინსპექტორი აჩერებს, არ იძლევა ქრთამს და იხდის ჯარიმას. ასეთ ბიზნესმენთა დიდი ნაწილი დღეს საზღვარგარეთ საქმიანობს.

**კახა დამენია:** შენ გრძელვადიანი პერსპექტივა ახსენე. მოკლევადიან პერსპექტივაში არა მგონია, ეს ვადა რამდენიმე თვე იყოს. დღეს მოქმედი საგადასახადო კოდექსი არავის სჭირდება. ამდენად, ახალმა კოდექსმა შემდეგი ევოლუცია უნდა გაიაროს – ის მისაღები უნდა გახდეს ხალხისთვის. მერე უნდა დაინერგოს, ამუშავდეს, რის შემდეგაც მოგვცემს ეფექტს. ვფიქრობ, ერთი საბიუჯეტო წელი ნამდვილად დასჭირდება, რომ ახალმა კოდექსმა გაიაროს ადაპტირება და ნორმალური მუშაობა დაიწყოს. ამიტომ, თუ ამ გადაწყვეტილებას მივიღებთ და საგადასახადო კანონმდებლობას შევცვლით, ამისათვის მზად უნდა ვიყოთ.

**ნუგზარ ჩინჩალაძე:** დღეს ბიზნესის დაწყება ათიდან რვა ქვეყანაში, ნორმალურ ქვეყნებშიც კი, უამრავ პრობლემასთანაა დაკავშირებული. ჩვენთან არსებული ბარიერები იძულებულს გხდის, ან ბიზნესს დაანებო თავი, ან არა და მოძებნო გზები, რომლებიც არ ჯდება კანონის ჩარჩოებში. მაგალითად, მიდიხარ და ფართს ქირაობ, იხდი ორგვარ გადასახადს – ერთს, რომელსაც ქაღალდზე აფიქსირებ და ამის მიხედვით უხდი სახელმწიფოს გადასახადს და მეორეს, რომელსაც რეალურად იხდი. ეს ისეა აწყობილი მთელ ქვეყანაში, რომ ამის დარღვევა წარმოუდგენელია. უფრო ფართო მასშტაბით რომ შევხედოთ, ეს ახალი კოდექსი, ეს პრინციპები, რაც ჩვენს მიერ არის შემუშავებული, მისაღებია. თუმცა, დავეთანხმები კახა დამენიას, რომ თუ პარალელურად სხვა ღონისძიებები არ გატარდება, რეფორმას ამ კოდექსითაც სახელი გაუტყდება. მით უმეტეს, როდესაც ვუყურებ, რა ხალხია დღეს ხელისუფლებაში, ძალიან მეშინია, რომ კოდექსზე მუშაობა წყლის ნაყვა არ გამოვიდეს.

აქ ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მეწარმე და ინსპექტორი თანხმდებიან ერთმანეთთან და მათ საგადასახადო კოდექსი საერთოდ არ სჭირდებათ. ეს ასე არ არის. როდესაც მცოდნე ინსპექტორი და მცოდნე მეწარმე ერთმანეთს ხვდებიან, იქ ქრთამის ოდენობა იმის მიხედვით დგინდება, თუ რამდენ დარღვევას იპოვის ინსპექტორი. თუ იქნება კარგად ჩამოყალიბებული კანონი, ლავირება გაძნელდება და დარღვევებიც ერთმნიშვნელოვანი იქნება. დღევანდელი კანონმდებლობის პირობებში შეუძლებელია, ისე შეადგინო შენი ანგარიშგება, რომ ვერაფერში გამოგიჭირონ. არსებობს ორგანიზაციებში შიდა ინსტრუქციები, რომელთა მიხედვითაც ახალ და ახალ მითითებებს გაძლევენ. ცხადია, იძულებული ხარ, ირბინო და გაასწორო ყველაფერი. ამ სირბილში კი ახალ და ახალ შეცდომებსაც დაუშვებ და ინსპექტორსაც შემოდავებისთვის მეტი საბაბი ექნება.

**ოთარ ზოიძე:** ამის გამო ვეცადეთ, რომ კოდექსი მაქსიმალურად გასაგები ენით ყოფილიყო დაწერილი.

**ნუგზარ ჩინჩალაძე:** ის, რომ მეწარმე იხდის გადასახადს და ეს არ არის ხარკი, ნათლად ჩანს ახალ კოდექსში. გადასახადს გადამხდელი უხდის სახელმწიფოს გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად. საუბარი აღარ არის იმაზე, რომ სახელმწიფო არაფერს აკეთებს მეწარმის დასაცავად. კოდექსში რაღაცნაირად უნდა აისახოს ის, რომ მეწარმე ყალბისმქმნელისაგან მაინც დავიცვათ. დღეს კოტრდება ის, ვინც ყველა გადასახადს იხდის. თუ ამის მსგავსი საკითხები არ გადაწყდა, ახალი კოდექსი აზრს დაკარგავს.

**ოთარ ზოიძე:** საგადასახადო ტვირთის შემცირება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის მასშტაბებს თავისთავად ამცირებს.

**ნუგზარ ჩინჩალაძე:** გეთანხმებით, მაგრამ პარალელურად უნდა მოხდეს საგადასახადო ადმინისტრირების სრულყოფაც. გადასახადი ათი პროცენტიდან ხუთ პროცენტამდეც რომ შევამციროთ, ეს კეთილსინდისიერ მეწარმეს გარკვეულ თანხას დაუზოგავს, მაგრამ ის მაინც არაკონკურენტულ პირობებში იქნება, თუ მის გვერდით არგადამხდელი კომპანიები იქნებიან. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ საგადასახადო ინსპექტორსაც შეეძლოს თავის შენახვა. ამიტომ საგასადასახადო უწყებას ეკონომიკური დაინტერესებაც უნდა ჰქონდეს.

**კახა დამენია:** რიგითი ინსპექტორის ხელფასი სამასი ლარია. ჩინის მომატებასთან ერთად, ეს თანხაც იზრდება. ეს ხელფასები, საქართველოს მასშტაბებიდან გამომდინარე, დიდია. ალბათ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მხოლოდ ანაზღაურების პრობლემა არ დგას. ამიტომაც საუბარი უფრო ახალი მენტალიტეტის ჩამოყალიბებას შეეხება.

**ნუგზარ ჩინჩალაძე:** თუ ბიზნესმენებს ექნებათ პატიოსნად მუშაობის პირობები, მათი 70-80 პროცენტი არ მოისურვებს ქრთამის გადახდას. შესაბამისად, ინსპექტორსაც არ ექნება ქრთამის აღების საშუალება. ამასთან, ინსპექტორის ანაზღაურება 300 ლარი კი არა, გაცილებით მეტი უნდა იყოს. 300 ლარით დღეს საქართველოში ცხოვრება შეუძლებელია. ეს კვერცხსა და ქათამივით არის, მაგრამ კვერცხიც ხომ არსებობს და ქათამიც?

**გია ჯანდიერი:** მაგალითად მოვიტან პარტნიორობის პრინციპს სახელმწიფოსა და მეწარმეს შორის. ჩვენ კოდექსში ჩავდეთ ის, რომ "სახელმწიფოს" აღარ ვეძახით "ადმინისტრაციას". სახელმწიფო არის საზოგადოება, რომელიც ქვეყნის ტერიტორიაზე ცხოვრობს. ამ საზოგადოებამ დაიქირავა ადამიანთა ჯგუფი, ადმინისტრაცია, რომელიც მათ მიერ დავალებულ ფუნქციებს ასრულებს. პარტნიორობა მოქალაქეებსა და ადმინისტრაციას შორის ჩვენ ასე გავშიფრეთ – მოქალაქე კისრულობს გადასახადის გადახდას, რომ არსებობდეს ეს ადმინისტრაცია, რათა მან ეს ფუნქციები შეასრულოს. ადმინისტრაცია კი, თავის მხრივ, კისრულობს იმ ვალდებულებების შესრულებას, რომლებიც კონსტიტუციით აქვს დავალებული.

**ოთარ ზოიძე:** რაც შეეხება ვალდებულებებს, გადასახადის გადამხდელის კეთილსინდისიერების პრინციპიდან და ჩემი საქმიანობისა და ბინადრობის ადგილის ხელშეუხებლობიდან გამომდინარე, სახელმწიფო ადმინისტრაციას არა აქვს უფლება, ჩემთან ჩემი ნებართვის გარეშე შემოვიდეს. მაგალითად, საგადასახადო მიგზავნის მოთხოვნას და მატყობინებს, რომ მე რაღაც დავარღვიე. მე თუ ვეთანხმები, მაშინ ვიხდი, თუ არა და, იქნება დავა. თუ მე ვუთანხმდები, ის მოდის და ადგილზე მამოწმებს. შედეგად, გადასახადის გადამხდელის ნებაყოფლობითი განხილვა ყოველნაირად არის სტიმულირებული. ასე რომ, საგადასახადო ადმინისტრაციის "გეგმიური ვიზიტი" წელიწადში ერთხელ ამ კოდექსით აბსოლუტურად გამორიცხულია. სამაგიეროდ, მეტი დატვირთვა ექნება ანალიტიკურ სამსახურს. საგადასახადო ადმინისტრაციაში იმუშავებენ ადამიანები, რომელთაც აქვთ ანალიტიკური აზროვნების უნარი.

**კახა დამენია:** მე არ ვფიქრობ, რომ კოდექსში ამ კონკრეტული ჩანაწერით დიდი ეფექტი მივიღოთ. რაღაც არა მგონია, ამის წაკითხვის შემდეგ დაფიქრდეს ხელისუფლება, მაგალითად, პოლიცია და სხვა სტრუქტურები. ეს მოვალეობები სახელმწიფო სტრუქტურებს ხომ შესაბამისი კანონებით ახლაც აქვთ დაკისრებული. თუმცა, ამ ჩანაწერის გაჩენა წმინდა ფორმალური თვალსაზრისით არის მნიშვნელოვანი. რაც შეეხება პრაქტიკულ მხარეს, ეჭვი მეპარება, ამან თვალსაჩინო შედეგი მოგვცეს.

**ოთარ ზოიძე:** პირდაპირ ვიტყვი, რომ ჩვენი საგადასახადო კოდექსი მკაცრ ადმინისტრირებას ითვალისწინებს. ეს მკაცრი ადმინისტრირება, მძიმე საგადასახადო ტვირთის პირობებში, შედეგს არ მოგვცემს, რადგან გაიზრდება არალეგალური ეკონომიკის წილი. შეუძლებელია, გადამხდელს გადაახდევინო იმაზე მეტი, ვიდრე რეალურად შეუძლია. მე ნოტარიუსი ვარ და ვიტყვი, რომ ნოტარიუსთა შემოსავლის 51 პროცენტი იბეგრება. ასეთი საგადასახადო ტვირთის პირობებში ქვეყანა ვერ განვითარდება და ბიუჯეტის შევსების პრობლემა მუდმივად იქნება.

*"24 საათი" კვლავაც გაარძელებს დისკუსიას ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით. დისკუსია მიჰყავდათ მაია ურუშაძესა და გიორგი კალანდაძეს.*


სექტემბრიდან რუსთავი 2 იწყებს ახალ შოუს – „ხალხის პირისპირ". ეს არის ტელევიქტორინა, რომლისთვისაც თქვენ, მაყურებლები შეადგენთ კითხვებს და მოიგებთ ფულს, თუ თქვენი შეკითხვა ჩაჭრის სტუდიაში მოწვეულ კონკურსანტს.




მაშ ასე, შეავსეთ ბლანკი, ამოჭერით და გამოგვიგზავნეთ, შეკითხვების მიღება უფასოა. (გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოყვანილ წესებს და ინსტრუქციებს).

ინსტრუქცია კითხვის შედგენისათვის:

შეკითხვის ტექსტი:

პასუხის ტექსტი:

სახელი და გვარი:

ბინის მისამართი:

საფოსტო ინდექსი:

სამსახურის ტელეფონის ნომერი:

ბინის ტელეფონის ნომერი:

მობილური ტელეფონის ნომერი:

www.24hours.ge 24 B

# კოკა იგნატოვი - "მზე შიგნიდანაც ხომ ანათებს?"

არსებობს ქვეყნისა და ადამიანის თავგადასავალი კედელზე ანუ მონუმენტური, დეკორატიული ფრესკები თავისი სიმბოლო-ნიშნებით, მითოსითა და რეალობით, ლეგენდებითა და ყოფითობით.

არსებობს თავად კედელი - სუფთა ფურცელი, რომლისაც ხელოვანთა უმეტესობას ეშინია. მონუმენტალისტი მხატვრისათვის **"კედელი არის შიშიც, ჟინიც, ვნებაც, სივრცის დაპყრობის სურვილიც, რომელიც კი ავისრულე, მაგრამ ბევრი დაიკარგა, ჩემი პირველი ფრესკა, "ბერიკაობა" კინოს სახლში დაიწვა, ცხინვალში, გაგრასა და ბიჭვინთაში კი არის შემორჩენილი, მაგრამ იქ აღარ ჩაგვესვლება. ფუნიკულიორის "ფიროსმანის გახსენება", რომელსაც ჩემი სიცოცხლის ნაწილი შევალიე, მოუვლელია და დაუცველი. გამოდის, რომ ბედი არ მქონია მონუმენტურ მხატვრობაში" - კოკა იგნატოვი**

იგნატოვები მეცხრამეტე საუკუნის 60-იანი წლებიდან გამოჩნდნენ საქართველოში, ბანკირებისა და სამხედროების შთამომავალმა უღალატა ტრადიციას და მხატვარი გახდა, მუშაობდა ყველა ჟანრში - ფერწერა, გრაფიკა, წიგნის ილუსტრაციები, თეატრალური ფერწერა, დეკორაციები, კოსტიუმების ესკიზები და სივრცეში - ფრესკულ-მონუმენტურ მხატვრობაში. **"საეკლესიო მხატვრობაზე არასოდეს მიფიქრია. ჩემი მხრიდან ეს ამ მხატვრობის დამიწება იქნებოდა. საეკლესიო ფერწერა ზეხელოვნებაა, ყინწვისს რომ ნახავ კაცი და ატენის ფრესკებს, როგორღა უნდა გაბედო ამ ჟანრში მუშაობა? და თუ მაინც გაბედავ, უნდა იყო მთლიანად რელიგიური და ეკლესიური, მაშინ ხელიც მომარჯვებული გექნება და ფერიც შენსკენ იქნება."**

## საუბრის ფრაგმენტი

- ერთხელ, ჰემინგუეის ჰკითხეს, თუ ვისგან ისწავლა წერა. მან დაასახელა არა მწერლები, არამედ მხატვრები, თქვენ უამრავი წიგნის ილუსტრაცია გააკეთეთ, ვისგან ისწავლეთ ხატვა?

**- მაგაზე არ მიფიქრია, მაგრამ ალბათ, დიდი კავშირია წაკითხულსა და დახატულს შორის. მე ფოლკნერი მიყვარს თავისი იოკნაპატოფათი, უმბერტო ეკო და რაც მთავარია, ბავშვობიდან მოდის ის ფოლკლორი, ზღაპარი თუ მითოსი, რომელზეც გავიზარდე. არასოდეს ვიგონებ ამბავს, არც მუზეუმებსა და არქივებში დავდივარ, ყველა ფრესკა ინტუიტიურადაა შექმნილი, ყოველგვარი მასალის გარეშე, რაც შიგნით იყო ჩემში, ის გადმოვიდა კედელზე.**

- მხატვარი ქმნის დროს, თუ პირიქით, დრო ქმნის მხატვარს?

**- არიან მხატვრები, რომლებიც თავად ქმნიან დროს და ისეთი მხატვრებიც არიან, კონკრეტულ დროსთან ერთად რომ ქრებიან. მე პირველი კატეგორია უფრო მიყვარს თავისი სიძლიერისა და სიმყარის გამო.**

- რატომ ხატავთ?

**- მინდა, რომ საგანი თუ მოვლენა, ქალაქი ან ადამიანი ჩემი თვალით დაინახოთ, და თუ მე მიყვარს ეს ქვეყანა, ქალაქი, ვაშლი თუ ქალი, მინდა თქვენც შეგაყვაროთ, ესაა მხატვრის მოვალეობაცა და მოთხოვნილებაც, აბა ფიროსმანი მართლა დოქი ღვინისთვის კი არ მუშაობდა...**

- ერთხელ, "ფიროსმანის გახსენების" შესახებ თქვით: ვეცადე, ამ ნახატში მზე მომეშინაურებინაო...

**- ვეცადე, მაგრამ გამოვიდა რამე?! თუმცა, მზე შიგნიდანაც ხომ ანათებს?**


კოკა იგნატოვი


ტრიპტიხი "ჩემი საქართველო" 1967 წელი

# თეატრალური და მუსიკალური ვნებები ედინბურგში

### სახელოვანი ფესტივალი ოფიციალურად 11 აგვისტოს, ვაგნერის "პარსიფალით" გაიხსნება

დავით ბუხრიკიძე

ნებისმიერი თეატრალისათვის ედინბურგის საერთაშორისო ფესტივალი, რომელშიც თეატრი, ოპერა, ცეკვა და მუსიკა თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, ყოველთვის განსაკუთრებულსა და ხარისხოვანს ნიშნავს. მიუხედავად უკვე მოთელილი ევროპული საფესტივალო სივრცისა, ედინბურგი დღემდე თავისებურ მითოლოგიად რჩება. როგორც, მაგალითად, კანის ფესტივალი, რომლის შესახებაც ხარისხოვანი კინოს მოდარაჯენი ტელევიზორში ნანახითა და სხვების მონაყოლით თუ მსჯელობენ. ავინიონისა და ედინბურგის ფესტივალები მეორე მსოფლიო ომისშემდგომი ევროპისათვის სულის მოთქმას და საზაფხულო თერაპიას ჰგავდა. ორივე 1947 წელს დაარსადა, ორივეს კბილებით იცავდნენ თეატრზე თავგადაკლული ადამიანები : ედინბურგს – ბრწინვალე ორგანიზატორი და პროდიუსერი რიჩარდ დე მარკო, ავინიონს – სახელოვანი რეჟისორი და მსახიობი ჟან ვილარი.

წლების განმავლობაში ედინბურგის ფესტივალი გაიზარდა, "გაბევრდა" და ევროპის ერთ-ერთ უდიდეს კულტურულ მოვლენად იქცა. მართალია, მას მოგებისა და ფულის სუნიც აუვიდა, მაგრამ დიდი ხელოვნება ფულსა და მსხვერპლს ერთდროულად ითხოვს. 60-იანი წლების რევოლუციური შემოტევა ედინბურგმა, ავინიონისაგან განსხვავებით, ნაკლებად მტკივნეულად გადაიტანა. პირველ რიგში იმიტომ, რომ ზედმეტად აკადემიური ავინიონისაგან გაერჩიათ, იქ უკვე არსებობდა "ფრინჯი", ანუ პარალელური ფესტივალი, სადაც ოფიციალური პროგრამისაგან განსხვავებით ექსპერიმენტულ ახირებებსა და პოლიტიკურ "თავგასულობას" მკაფიოდ თანამედროვე ფორმა ჰქონდა.

უკვე 80-იან წლებისათვის ედინბურგი ევროპულ სოციალურ-კულტურულ მოვლენად იქცა, სადაც პოლიტკორექტულობა და მრავალფეროვნება "ბუნებრივი გადარჩევის" შედეგად ჩამოყალიბდა. "რკინის ფარდის" პირობებში განვითარებული სოციალიზმიდან თეატრის ედინბურგს ჩასვლა და მისგან დროებით თავდახსნა პრივილეგია იყო. თავის დროზე ჩვენებურებს საკმაოდ გაუმართლათ. თუმცა, რუსთაველის თეატრისა და მიხეილ თუმანიშვილის სახელობის რენომე იმდენად მაღალი იყო, რომ დამატებით "ჩაწყობებს" ან პრივილეგიებს ქართული თეატრი არ საჭიროებდა.

80-იანი წლების დასაწყისში ედინბურგში გაიბრწყინა სტურუას კარნავალურმა "კავკასიური ცარცის წრემ". 1987 წელს ედინბურგში მიხეილ თუმანიშვილის მითოლოგიურად შერაცხულმა "დონ-ჟუანმა" ჩაალწია. კრიტიკოსთა აღფრთოვანება იმდენად დიდი იყო, რომ "ესემბლი რუმში" შეკრებილმა პუბლიკამ აღფრთოვანება ორმოცწუთიანი ტაშით გამოხატა. სხვათა შორის, საიტში www. eif.co.uk, სადაც ედინბურგის ფესტივალის ისტორიაში "ესემბლი რუმის" ოცი საუკეთესო სპექტაკლის ფოტოებია შენახული, წააწყდებით ზურაბ ყიფშიძისა (დონ-ჟუანი) და ამირან ამირანაშვილის (სგანარელი) ფოტოს.

შემდგომი "გამყინვარება" იმით უნდა აიხსნას, რომ ქართულ თეატრს კრიზისი დაუდგა. თითქმის ათწლეულის განმავლობაში, თუ არ ჩავთვლით რევაზ გაბრიაძის მარიონეტებისა და მიხეილ თუმანიშვილის "ზაფხულის ღამის სიზმარის" ეპიზოდურ გაბრწყინებას, ქართველებს იქ თითქმის არაფერი წარმოუდგენიათ, თუმცა, ეს მძიმე ეკონომიკური სიტუაციის ბრალიც იყო. 1997 წელს ედინბურგში დავით დოიაშვილის "მეფე ლირი" "ფრინჯის" პროგრამაში შედიოდა, თუმცა უწინდელი აღფრთოვანება მას არ მოჰყოლია. შედარებით უკეთესი გამოდგა მარჯანიშვილელთა შარშანდელი ტურნე, როდესაც თემურ ჩხეიძის პოლიტიზირებული "ანტიგონე" (ჟან ანუის მიხედვით) ედინბურგში თერთმეტჯერ დადგეს. ხოლო, გაზეთმა "სკოტსმენმა" სპექტაკლს ხუთი ვარსკვლავი მიანიჭა. "ავი ენები" კი ამბობენ, რომ დარბაზში ძალიან ცოტა მაყურებელი იჯდა, რომელთა უმრავლესობას კრიტიკოსები შეადგენდნენო. ასეა თუ ისე, ოთარ მეღვინეთუხუცესის თამაშმა და თემურ ჩხეიძის რეჟისურამ ედინბურგში გარკვეული კვალი დატოვა.

რაც შეეხება წლევანდელ ჭრელსა და მრავალფეროვან პროგრამას, ფესტივალი 11 აგვისტოს ოფიციალურად გაიხსნება "როიალ თეატრში" წარმოდგენილი ვაგნერის "პარსიფალით" – რეჟისორი პეტერ შტაინი, დირიჟორი კლაუდიო აბადო. დიდ ინტერესს იწვევს აგრეთვე სტრავინსკის ოპერა "ოიდიპოს მეფე", რომელიც ექს-ენ-პროვანსის ფესტივალის დაკვეთით შეიქმნა და რომელსაც შოტლანდიის სამეფო ოპერაში წარმოადგენენ (დირიჟორი, ფრანსუა ჟირარი). თეატრალები სულმოუთქმელად ელიან თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი რეჟისორის ლუკა ბონდის მიერ დადგმულ ვაგნერის ოპერებს, "ზიგფრიდსა" და "რაინის ოქროს".

დრამატული თეატრების პროგრამა, ცხადია, უფრო მრავალფეროვანი და ქაოსურია. დიდი ინტერესით ელიან დუგლას მაქსველის ახალ სპექტაკლს, რომელშიც "აირონ თეატრის" ვარსკვლავები თამაშობენ. ვენის "ბურგ თეატრი" შილერის "მარიამ სტიუარტს" უჩვენებს მაყურებელს; ხოლო, კანადელი ფრანგი ელის ზანდვიკი - შექსპირის "მაკბეტის" ავანგარდისტულ ვერსიას. დენის მარლო კი მივიწყებულ სიმბოლისტს, მორის მეტერლინკს გააცოცხლებს. ფესტივალის სენსაციად შეიძლება იქცეს სიუზენ სარანდონისა და ტიმ რობინსის დუეტი ენ ნელსონის დადგმაში "ბიჭები", რომელსაც სახელოვანი ვარსკვლავები "ფრინჯის" პროგრამით წარმოადგენენ.

როგორც ჩანს, არც თანამედროვე ცეკვა იქნება დაჩაგრული. აკადემიური საბალეტო გაბღენძილობის გვერდით (ფლანდრიის სამეფო ოპერის საცეკვაო დასი) ედინბურგში თანამედროვე ქორეოგრაფიის ოსტატებიც გაირჯებიან: ბელგიელი იან ფაბრი, ფრანგი ემიო გრეკო, ინგლისელი სვენ ლენკი, და იაპონელი საბურო ტეშიგავარა. კლასიკური კონცერტების დანაკლისს კი პუბლიკა ლიონის ოპერის ნაციონალური ორკესტრითა და ლოს ანჟელესის ფილარმონიული ორკესტრით შეივსებს. არ დაივიწყოთ მოსკოვის რადიოს სიმფონიური ორკესტრიც. კლასიკური მუსიკის მოყვარულები გერმანიიდან ჩამოსულ საფორტეპიანო ტრიოში ახალგაზრდა, ნიჭიერ ქართველ მევიოლინეს, ელისაბედ ბათიაშვილსაც აღმოაჩენენ. ვარსკვლავებს რაც შეეხებათ – ედინბურგში იმღერებენ კონტრალტო, ანა ლარსონი, მეცო-სოპრანო, ვესელინა კაზაროვა და პერსპექტიული ტენორი, მარიუს ბრენშიუ. ცხადია, უნდა აღვნიშნოთ თანამედროვეობის უდიდესი მუსიკოსები - მევიოლინე დიმიტრი სიტკოვეცკი და სახელგანთქმული პიანისტი მარტა არგერიხი.






ედინბურგი 2002

ბასა ჯანიკაშვილის სვეტი

# სიტყვა

არადა, რა კარგი სიტყვა მქონდა მოფიქრებული! გამოვიდოდი სცენაზე და პროჟექტორებით განათებულ მიკროფონთან წარბშეუხრელად დავდგებოდი. ამაყი და ამავდროულად მოკრძალებული მზერით თვალს გადავავლებდი სავსე დარბაზს და სანამ კრინტს დავძრავდი, მცირე პაუზას გავაკეთებდი: ხელში დავიჭერდი პრიზს, ბრინჯაოს სახაზავს, ჯერ შევათვალიერებდი, სიმძიმეს ვიგრძნობდი და მეცოდინებოდა, რომ უამრავი მზერაა ჩემსკენ მომართული, რომ ყოველ ჩემს მოძრაობას ათიათასობით თვალი აღიქვამდა, როგორც საოცრად მომხიბვლელს და მიმზიდველს. თუ შეიძლება მოძრაობა იყოს ასეთი.

გამარჯვებული ვიდგებოდი ბრინჯაოს სახაზავის პრიზით ხელში და ვიგრძნობდი იმ საოცარი მაგიური ძალის ხიბლს, რომელიც გამარჯვებულებს სდევთ ხოლმე თან. ამ მცირე პაუზაში, პრიზის მიღებასა და სიტყვას შორის რომ მექნებოდა, ყურს არ დავუგდებდი სიჩუმეს, ათასობით ადამიანი რომ გამოსცემდა. დავიხრებოდი მიკროფონთან, წამიერად შევყოვნდებოდი და ვიტყოდი - დიდი მადლობა! შემდეგ ამაყად წელში გავიმართებოდი და დაველოდებოდი მქუხარე ტაშს.

ბრინჯაოს სახაზავით ხელში, კიდევ ერთხელ დავიხრებოდი მიკროფონისკენ ახალი სიტყვებისთვის და ახლა უკვე მე დავუცდიდი ხალხს, რომელიც ჩემგან მადლობის გარდა რაიმე ორიგინალურს ელოდებოდა.

ვიტყოდი - მადლობთ! და ჩემს სიტყვაში იქნებოდა ცოტა თავმდაბლობა, რადგან ამ პრიზს მივუძღვნიდი ყველა იმ კონკურსანტს, რომელიც ჩემთან ერთად მონაწილეობას იღებდა კომერციული სამშენებლო ფირმის მიერ ჩატარებულ ტენდერში სახელწოდებით "ვაშენოთ ახალი ქალაქი". ავხსნიდი, რომ ჩემი გამარჯვება არ ნიშნავს, რომ საუკეთესო ვარ, რომ ეს ბედის საჩუქარია, რომ დღეს მე გამიმართლა და ხვალ კი მათაც გაუმართლებთ, რომ სინამდვილეში ამ პრიზს ვუძღვნი ყველა მონაწილეს, იმ ადამიანებს, ვინც ახლა დარბაზში ზის და მე მიცქერს, ბრინჯაოს სახაზავიანს ხელში.

ეს თქვენ გეძღვნებათ-თქო, არქიტექტორებო-თქო - ვიტყოდი და ზედმეტში რომ არ გადავჭრილიყავი და ზომიერი ფორმით მიმენიშნებინა, რომ პრიზი მაინც მე მოვიგე და არა მათ, ვიტყოდი ათასობით კაცის გასაგონად - ახლა კი ყველანი მივდივართ ჩემთან-თქო - და საბოლოოდ დავიხევდი უკან მიკროფონთან და გაიცინებდა ყველა, დასცხებდა ტაში, კიდევ ერთხელ დავხრიდი თავს და მარჯვენა ხელში, ჭეშმარიტი ოლიმპიელივით ავწევდი ბრინჯაოს სახაზავს და ჩამოვიდოდი კიბეებით დარბაზში, რათა მივსულიყავი ჩემს მეუღლესთან და მასთან ერთად გამეზიარებინა სიხარული, როგორც წესია, და ეს ყველაფერი, კვლავ და კვლავ მქუხარე აპლოდისმენტების თანხლებით. სიამოვნებით მივიღებდი მილოცვებს, რომლებსაც გზა და გზა მესროდნენ და ა.შ. და ა.შ...

ახლა კი ვუცქერ ბრინჯაოს სახაზავით ხელში მდგარ მიკროფონიან კაცს, რომელმაც ეს ყველაფერი დამისამარა, უინტერესოდ მოლუღლუღეს... დაე ჰყავდეთ გმირი, რომელიც სულაც არ არის თავგანწირვისთვის დაბადებული, რომელსაც გაუმართლა და აზრადაც არ მოსდის თქვას, რომ ეს გამარჯვება - დამარცხებაა.

ცერემონიის დამთავრებისთანავე, ფოიეში, სიგარეტით ხელში დაველოდები გალა კონცერტს და მივიღებ სამძიმარს ახლობლებისგან, რომლებიც დამარწმუნებენ ჩემი პროექტის უპირატესობაში. გადავუხდი სევდიან მადლობას და მომერიდება მეუღლისკენ გახედვა, რადგან ბავშვობაში მსმენია, რომ ქალები დამარცხებას არ გპატიობენ. ვიდგები მარტო და მომინდება წასვლა, მაგრამ ვერ წავალ, იმიტომ რომ ვერ გამიგებენ.

ფოიეში დამეწევა გალა კონცერტის ჰანგები, ჩავაქრობ სიგარეტს და უხალისოდ დავუბრუნდები დარბაზის სავარძელს. არადა, რა კარგი სიტყვა მქონდა მოფიქრებული.

# წურწუმიას უბილეთო მსმენელები ტუალეტშიც არ შეუშვეს

ნანა ქადაგიშვილი

გუშინდელმა თავსხმამ ლელა წურწუმიას ფანები, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა, საღამოს 10 საათისთვის კუს ტბაზე დანიშნული კონცერტი არ ჩაიშალოსო, მაგრამ მათაც და ლელასაც გაუმართლა, ზაფხულის წვიმამ რამდენიმე წუთში გადაიღო და 10 საათისთვის ცაზე ვარსკვლავებიც კი ჩანდა.

კუს პაწაწინა და არც თუ კამკამა ტბა ბუნებრივმა თუ ხელოვნურმა ნათურებმა ისე გაალამაზა, თითქოს მოცულობაშიც გაიზარდა. ტბაში შეჭრილი სცენა ჯერ კიდევ 8 საათისთვის ახმაურდა (ჟღერადობას ამოწმებდნენ), მაგრამ ლელა 11 საათამდე არ გამოჩენილა. თუმცა, ლოდინით დაღლილ მსმენელებს იუმორის გრძნობა მაინც არ ღალატობდათ, ლელა სიურპრიზს გვიმზადებს, სცენაზე პირდაპირ ტბიდან, ქალთევზას ფორმაში გამოწყობილი მოგვევლინებაო, ხუმრობდნენ. კონცერტის ბილეთიანი დამსწრეები ლოდინმა ნაკლებად შეაწუხა, სცენის პირდაპირ, ტბის ნაპირზე მათთვის თეთრი მაგიდები და სკამები ჩაერიგებინათ. ბილეთიანებიც ისხდნენ მათთვის ღირსეულად კუთვნილ ადგილებზე (მათ ხომ ბილეთში 20 ლარი გადაიხადეს), ფიჭვნარის ნაწყალობევ სუფთა ჰაერს ისუნთქავდნენ და ტბისა და ცივი სასმელების სიგრილით ტკბებოდნენ, ანუ სულაც არსად ეჩქარებოდათ. აი, უბილეთოებზე კი ამას ვერ ვიტყვით. მართალია, სმენა მთლად უფასოდ არც მათ დაუტკბიათ - ტბის მისასვლელთან შავტანსაცმლიანი წესრიგის დამცველები იდგნენ და 2-ლარიანი საშვის გარეშე ტბას არავის აკარებდნენ, მაგრამ, ბუნებრივია, 2 ლარად მათ თეთრ სკამს არავინ მიართმევდა. სკამი კი არა, კონცერტზე დასასწრები ბილეთის გარეშე ხალხს ტუალეტშიც არ უშვებდნენ. ეს ფრიად საჭირო დაწესებულება (მით უმეტეს, გაზიანი და გამაგრილებელი სასმელების შემდეგ) მხოლოდ ბილეთიანებისთვის დასაშვებ ზონაში მოექცა და იმის შიშით, რომ ვინმე უბილეთოს ტუალეტში შესვლით არ ესარგებლა და ფასიან თეთრ მაგიდასთან არ წამოსკუპულიყო, შავტანსაცმლიანმა დაცვამ მათ ბუნებრივი მოთხოვნილების კულტურულად დაკმაყოფილების საშუალება მოუსპო. იმედია, მოსახლეობა ახლა მაინც მიხვდა, რომ ტყე, ხეები და თუნდაც ბუჩქი, ძალზე საჭიროა ჩვენი კეთილდღეობისთვის. თუმცა, ეს მიზეზი რა მოსატანია, როცა ნაჯახს გადარჩენილმა ფიჭვნარმა შეყვარებულ წყვილებსაც დიდი სამსახური გაუწია. ტბის ნაპირი, დაბურული ფიჭვი, სიგრილე და მუსიკის მოლოდინი – მეტი რა უნდა შეყვარებულ წყვილს. ზოგ მათგანს ტბის ნაპირას მოძებნილი მყუდრო ადგილი თვით ლელას გამოჩენამაც ვერ დაატოვებინა.

ლელა სცენაზე, დაახლოებით, 11 საათზე გამოვიდა (zსახმელეთო გზით) და უბილეთო მსმენელებმა 20 ლარის საჭიროება ახლა უფრო იგრძნეს - შავტანსაცმლიანებმა ისინი ტბის ნაპირის გაყოლებაზე ამოშენებული კედლიდანაც ჩამოასკუპეს, აქ ჯდომა არ შეიძლება, თუ გინდათ, ფეხზე დადექით და ისე უყურეთ, ასეთია ბრძანებაო. ამგვარმა შევიწროებამ ზოგს ნანატრი მომღერლის მოსმენის სურვილი დაუკარგა და პროტესტის ნიშნად, კონცერტი დატოვა. თუმცა, მსმენელთა უმრავლესობა მაინც ბოლომდე დარჩა და მდგომარეობას საყრდენი ფეხის მონაცვლეობით იმსუბუქებდა, მსხვერპლს სიამოვნებაც მოითხოვს. თუმცა, ვერ ვიტყვით, რომ მათ "მსხვერპლის შეწირვა" შესაბამისად დაუფასდათ. კონცერტი ერთ საააათსაც ძლივს გაგრძელდა და მსმენელები უკმაყოფილონი დაიშალნენ, ამდენხანს ამისთვის ველოდეთ, "ჯუჯა ლარიც" კი არ უმღერიაო.

დღეს ტბისა და ქართული ესტრადის მოყვარულთ კუს ტბის ანონსი დავით გომართელის კონცერტს ჰპირდება. გირჩევთ, გუშინდელი კონცერტის გამოცდილება გაითვალისწინოთ და თუკი საშუალება გექნებათ, ბილეთის საფასურიც წაიმძღვაროთ, თორემ გომართელმა მსმენელთა დატკბობა უფრო ხანგრძლივად რომ მოისურვოს, საეჭვოა, თქვენმა დაღლილმა ფეხებმა ყურებს სიამოვნების მიღება აცალოს.

# ნუთუ იან ანდერსონი მხოლოდ წარსულით ცხოვრობს?

ანიკო ბენაშვილი

1947 წლის 10 აგვისტოს, ედინბურგში დაიბადა მუსიკოსი, რომელმაც მომავალში სრულიად ახლებურად წარმოაჩინა როკ-მუსიკა და თავისი უნიკალურობით, ალბათ, დაჩრდილა კიდეც 60-იანი წლების მე-2 ნახევრის ნებისმიერი როკ-ჯგუფი, რადგან მან წამყვან ინსტრუმენტად, სოლო-გიტარის ნაცვლად, ფლეიტა წარმოადგინა. ეს მუსიკოსი იან ანდერსონი გახლავთ, რომელსაც დღეს 55 წელი შეუსრულდა. მისი პირმშო Jethro Tull კი 1967 წელს ინგლისის ქალაქ ბლექპულში დაარსდა, შემადგენლობით: იან ანდერსონი - ფლეიტა, გიტარა, ჰარმონიკა, ვოკალი, გლენ კორნიკი - ბასი, კლაივ ბანკერი - დრამი, მიკ აბრაჰამსი - გიტარა. პირველი ალბომი This Was იმდროინდელი მუსიკალური კრიტიკისათვის იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ იგი ახალ Cream-ად შერაცხეს.

გაცილებით საინტერესო მეორე ალბომი, Stand Up გამოდგა, რომელიც ჯგუფში ახალი, დღემდე შეუცვლელი გიტარისტის - მარტინ ბარის მოსვლით აღინიშნა. 22 წლის იან ანდერსონი კი, ალბომის ყველა სიმღერის ავტორი, პროდიუსერი, ცხრა ინსტრუმენტზე შემსრულებელი და ვოკალისტი გახლდათ. შემდეგ იყო Benefit და Aqualung. ალბომები, რომლებიც Jethro Tull-ის ბევრ თაყვანისმცემელს დღემდე საუკეთესოდ მიაჩნია.

საოცარი იყო Jethro Tull სცენაზე, სადაც იან ანდერსონი მწოლიარე მდგომარეობაში, ან საათობით ცალ ფეხზე მდგომი უკრავდა და ინგლისურ ხალხურ მუსიკას ბლიუზის ან როკის სტილში ასრულებდა. Aqualung-ში კი ჰარდ-როკის ელემენტებმაც იმატა და 70-იანი წლების დასაწყისისათვის Jethro Tull როგორც კომერციული, ასევე სიღრმისეული თვალსაზრისით უნაკლო ჯგუფად შეიძლებოდა ჩათვლილიყო.

მაგრამ იან ანდერსონს მიღწეული არ აკმაყოფილებდა და მუსიკის გართულებისაკენ მიისწრაფვოდა. მომდევნო ალბომები Thick As A Brick და Passion Play, ვინილის ფირფიტის თითოეულ გვერდზე თითო კომპოზიციის პირველი და მეორე ნაწილების ჩაწერით და დრამერ ბერიმორ ბარლოუს და კლავიატურისტ ჯონ ივენის ვირტუზული დაკვრით აღინიშნა. 1979 წელს კი შესანიშნავი ალბომით Stormwatch, Jethro Tull-ის შემოქმედებითი მოღვაწეობის პირველი ეტაპი დასრულდა.

როკ-მუსიკის ისტორიაში ძნელია, ათწლეულის მანძილზე პრაქტიკულად ჩავარდნის გარეშე არსებული ჯგუფის პოვნა. რა იყო Jethro Tull-ის წარმატების მიზეზი? ალბათ, შემოქმედებითი და კომერციული საწყისების იდეალური შეზავების უნარი. იან ანდერსონი მხოლოდ საკუთარი სურვილისამებრ, ხან ართულებდა, ხან ამარტივებდა რეპერტუარს ისეთ დონეზე, რომ ჩანაწერები პლატინის სტატუსს ღებულობდნენ.




იან ანდერსონი (მარცხნივ) თავის ჯგუფთან ერთად

მაგრამ, დადგა 1980 წელი და ჯგუფის შემადგენლობა პრაქტიკულად მთლიანად შეიცვალა. ახალი გვარები - ედი ჯობსონი და დეივ პეგი ფრიად შთამბეჭდავი იყო, რასაც ალბომ A-ში შეტანილ მასალაზე ნამდვილად ვერ ვიტყვით. მოლოდინი მაინცდამაინც ვერც შემდეგმა ალბომმა - The Broadsword And The Beast-მა გაამართლა. კომერციაც თითქოს ცაში გამოეკიდა, რადგან მთლად თანამედროვედ ვერც ეს ალბომი ჟღერდა, მაგრამ ჯგუფის თაყვანისმცემლებს თურმე წინ მთავარი სიურპრიზი - Under Wraps ელოდათ, რომელშიც Jethro Tull მხოლოდ ერთმა მუსიკოსმა - იან ანდერსონმა წარმოადგინა. დროის მოპასუხე კომპიუტერული ალბომი მშვენივრად გაიყიდა, მაგრამ მეორე მხრივ, ეს უკვე მეტისმეტი იყო. Under Wraps თაყვანისმცემლებმა დაგმეს და იან ანდერსონიც დევიზით - დუმილი ჭეშმარიტებაა, იმდროინდელი მუსიკალური ბაზრის შესასწავლად, ორიოდე წლით საერთოდ გაქრა სტუდიიდან.

ჯგუფს გარდატეხის მომენტი 1987 წელს დაუდგა. ან წარმატება, ან დაშლა, სხვა გამოსავალი თითქოს იდეებისგან დაცლილი იან ანდერსონისთვის არც უნდა არსებულიყო. კიდევ ერთხელ განახლებული შემადგენლობით ჩაწერილი Crest Of A Knave და Jethro Tull-ის, როგორც წლის საუკეთესო ჰარდ-როკ, ჰევი-მეტალ ჯგუფის "გრემის" ნომინაციაში გამარჯვება. ამგვარი შეფასება ჯგუფის ფანებმა ცოტა უცნაურად ჩათვალეს.

ალბომის დიდმა წარმატებამ იან ანდერსონს შემდეგი მოღვაწეობისათვის ფრთები შეასხა. Rock Island და Catfish Rising, ძველი ალბომების მსგავსად თვითმყოფადობით და თავისუფალი სტილით გამოირჩევიან.

1995 წელს იან ანდერსონმა ორი ალბომი ჩაწერა - საკმაოდ სერიოზული Roots To Branches, Jethro Tull-თან ერთად და კარიერაში რიგით მეორე სოლო ალბომი - World Music-ის ელემენტებით აღსავსე Twelwe Dances With God.

Roots To Branches-მა იან ანდერსონს ინტელექტუალური მსმენელი დაუბრუნა. ამიტომაც, უკვე 90-იანი წლების დასასრულიდან მოყოლებული მის საკონცერტო რეპერტუარში იგრძნობა 70-იანი წლებისკენ ლტოლვა და შემთხვევითი როდია, რომ სულ ახლახან გამოსულ საკონცერტო ალბომში Living With The Past ნოსტალგია შეიგრძნობა. ამჟამად Jethro Tull ამერიკულ ტურნეში იმყოფება და ახალი სტუდიური ალბომის შესახებ ჯერჯერობით არაფერი ისმის.

# ამერიკელი მოზარდები ამჯობინებენ...

ზაფხულია და სიცხის დასამარცხებლად ცივი არომატის სუნამოები სულ უფრო პოპულარული ხდება. მოდის სახლებიც მომხმარებელს ახალ-ახალ სურნელებს სთავაზობენ. თუმცა, ახლახან ჩატარებული გამოკითხვა მათ გარჯას ეჭვქვეშ აყენებს – აღმოჩნდა, რომ ამერიკელ ბიჭებს ყოველ ახალ და მოდურ სურნელს ძველი და ნაცადი OLD SPICE-ი ურჩევნიათ. Procter&gambel-ის ეს კლასიკური aftershave-ი პოპულარული გახდა მეორე მსოფლიო ომის დროს. მას შემდეგ OLD SPICE-ი მამაკაცებს ერთგულად ურბილებს გაპარსულ ლოყებს. არადა, ამ საპატიო ნომინაციაზე წარდგენილი იყო: ტომი ჰეილფიგერის Tommy (ამერიკელი მოზარდების მეორე ყველაზე საყვარელი სურნელი), რალფ ლაურენის Polo Sport, კელვინ კლაინის cK One და დევიდ ოფის Cool Water.

თუმცა, როგორც ჩანს, არ იცვლება მხოლოდ მამაკაცების გემოვნება. ამერიკელ გოგონებს კი დღეს ყველაფერს Tommy Girl ურჩევნიათ. მეორე ადგილზეა Clinique-ის (რომელსაც Estee Lauder-ი ფლობს) ახალი სურნელი Happy. მას კი თან სდევს cK One, Cool Water და Victoria's Secret-ის Pink.

ამასობაში ცუდი ინფორმაცია ვრცელდება ჯენიფერ ლოპესისთვის, რომლის ახალი სურნელი Glow, წესით, აგვისტოში უნდა გამოვიდეს: როგორც ირკვევა, ამერიკელი თინეიჯერები ჰოლივუდის ვარსკვლავის სახელის გამო სუნამოს არასდროს არ ყიდულობენ. ასეთ მოზარდთა რიცხვი ძალიან მცირეა. ასე რომ, ლოპესს ისღა დარჩენია, მისი Glow მომხმარებელს მართლაც მოეწონოს.

# ნენსი სინატრა ხანდაზმულობის და ფრენკის შესახებ

მსახიობმა და მომღერალმა ნენსი სინატრამ დაასახელა სამი ყველაზე გამორჩეული მამაკაცი, რომელთაც ცხოვრებაში შეხვედრია: მამამისი ფრენკ სინატრა, ელვის პრესლი და პიტერ ფონდა. პრესლისთან ერთად, ნენსი ფილმში Speedway მონაწილეობდა, პიტერ ფონდას კი The Wild Angels-ის გადაღებებზე შეხვდა. როგორც ჩანს, ამ სამმა მამაკაცმა ნენსი სინატრაზე მართლაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

62 წლის მომღერალმა შოტლანდიურ გაზეთ Scotsman-თან ინტერვიუში ძველი, ტკბილი წარსულიც გაიხსენა. კერძოდ, მამასთან ერთად, 1966 წელს შესრულებული დუეტი These Boots Are Made for Walkin, რომელიც მაშინვე ნომერ პირველ ჰიტად იქცა და ასევე ფრენკ სინატრასთან ერთად, ფილმ Tony Rome-ის გადაღებები.

ნენსი სინატრა არ ნანობს, რომ რამდენიმე წლის წინ, როცა ის უკვე 50 წელს იყო გადაცილებული, ჟურნალ "ფლეიბოის" გარეკანისთვის გაშიშვლდა. ამ ფოტოსთვის სინატრამ "ფლეიბოისგან" საკმაოდ სოლიდური ჰონორარი, 250 ათასი დოლარი მიიღო და სახელიც გაითქვა. "შეხედეთ მიკ ჯაგერს (ის 59 წლის არის), ისევ რა მაგარია, როგორ თავაუღებლად შრომობს, ტკბება ცხოვრებით და თაყვანისმცემლებს თავის მუსიკას ჩუქნის. საჭიროა, რომ ახალგაზრდა ქალებმაც შეიგნონ – ასაკის მომატებისას აუცილებელი არ არის, გადაბრუნდე და მოკვდე – ხანდაზმულმაც შეგიძლია, იგივე აკეთო, რასაც ახალგაზრდობის წლებში აკეთებდი", - დარწმუნებულია ნენსი სინატრა. თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მომღერალი აქტიურ მუშაობას არც ეხლა წყვეტს. მას თაყვანისმცემელი ედინბურგის ფესტივალზეც იხილავს.

სცენარების კონკურსში
http://www.internews.ge/geo/psa
"ინტერნიუსი" აცხადებს კონკურსს სოციალური რეკლამების საუკეთესო სცენარების გამოსავლენად
თემები: ტრეფიკინგი და არალეგალური მიგრაცია
შერჩეული იდეების ავტორები მონაწილეობას მიიღებენ პროექტის შემდგომ განხორციელებაში და დაჯილდოვდებიან ფულადი პრემიით
სრული ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ "ინტერნიუსის" ოფისში მისამართზე:
ჭავჭავაძის გამზირი 74, მე-6 სართული
ტელ.: 25-38-60, 25-38-61, 25-38-62
info@internews.ge
http://www.internews.ge/geo/psa
პროექტების "ინტერნიუსში" წარდგენის ბოლო ვადაა 2002 წლის 7 სექტემბერი

# სულელი და კეთილი ბრედ პიტი

მსახიობმა ჯენიფერ ანისტონმა "დეილი მირორთან" ინტერვიუში დეტალურად ისაუბრა ბრედ პიტთან ქორწინების შესახებ. "ბრედი ყველაზე კეთილი ადამიანია, ვინც კი ოდესმე შემხვედრია და ყველაზე საყვარელი სულელი მთელს მსოფლიოში" – ეს ეპითეტები პიტმა იმიტომ დაიმსახურა, რომ მას, თურმე, შვიდი შვილის ყოლა სურს. თუმცა, მეუღლის სურვილებს კატეგორიულად არ ეთანხმება ანისტონი. მას ოჯახური ცხოვრება ყოველთვის წარმოედგინა მხოლოდ ორი შვილითა და ლამაზი სახლით. როგორც ტელესერიალის, "მეგობრების" ვარსკვლავი აცხადებს, ჰოლივუდური დიდების მიუხედავად, ის და ბრედი ძალიან ჩვეულებრივად ცხოვრობენ. მათი დაქორწინებიდან უკვე ორი წელი გავიდა და პიტი-ანისტონი, როგორც ქორწინების პირველ ხანებში, ახლაც რიგითი ამერიკელებივით ატარებენ დროს: "ჩვენ ვხატავთ, ვკითხულობთ სცენარებს, წიგნებს, ვუყურებთ ფილმებს და წყნარად ვსადილობთ", - აცხადებს ანისტონი. ცოლ-ქმრული ცხოვრებაში მიღწეული წარმატებების გარდა, ბრედ პიტი კარიერის სულ ახალ-ახალ მწვერვალებსაც იპყრობს. თუმცა, არანაკლებ პოპულარულია მისი მეუღლე. ტელესერიალის პარალელურად, ის გამოჩნდება ახალ მხატვრულ ფილმშიც The Good Girl, რომლის პრემიერაც ჩრდილოეთ ამერიკაში ამ კვირაში შედგება.

# ნოვოსელიკის მეორე მცდელობა

დეივ გროლისგან განსხვავებით, კრის ნოვოსელიკმა Nirvana-ს გარეშე წარმატებებს ვერ მიაღწია. სუპერ-ჯგუფის დაშლის შემდეგ ნოვოსელიკის სოლო-პროექტმა ვერც მსმენელისა და ვერც კრიტიკოსების ყურადღება ვერ მიიპყრო. კრის ნოვოსელიკმა მეგობართან, კურტ კირკვუდთან ერთად ახალი ჯგუფის შექმნა გადაწყვიტა. ჯგუფის Eyes Adrift-ის კიდევ ერთი წევრია Long Beach Dub Allstars-ის დრამერი ბად გოხი.

24 სექტემბერს ტრიო გამოუშვებს სადებიუტო ალბომს, რის შემდეგაც მუსიკოსები ამერიკულ ტურნეს მოაწყობენ. ახლადგამომცხვარ ჯგუფს პირველი გამოსვლა 30 იანვარს, ჰოლივუდში ჰქონდა. კონცერტი ამერიკელ მელომანებს იმითაც დაამახსოვრდათ, რომ დებიუტანტებს სცენაზე დეივ გროლი და "პეპერსების" ფლიც შეუერთდნენ.

## ბანდერასი პოლიტიკურ თრილერში

ანტონიო ბანდერასი და ემა ტომპსონი მთავარ როლებს შეასრულებენ კრისტოფერ ჰემპტონის ახალ ფილმში Imagining Argentina. ამ რომანტიული პოლიტიკური თრილერის მოქმედება ვითარდება არგენტინაში, სამხედრო დიქტატურის დროს. ეს არის ისტორია თეატრის დირექტორის შესახებ, რომელსაც ჯარისკაცების მიერ მოტაცებული ცოლის ძებნისას რეჟიმის რამდენიმე მსხვერპლთან და სამხედროების ყველაზე დიდ საიდუმლოებასთან უწევს შეხვედრა.

## დამლაგებელი ჯერემი აირონსი

ირლანდიაში, თვითმფრინავის ლოდინის დროს, ბრიტანელმა მსახიობმა ჯერემი აირონსმა მთელი აეროპორტი გააოცა: ოსკარის მფლობელმა მოსაცდელი დარბაზის დალაგება დაიწყო, საფერფლეები დაცალა, მაგიდები გადაწმინდა. "საკმაოდ დიდხანს ვიკითხე, მერე მიმოვიხედე და... დალაგება გადავწყვიტე," მოახსენა აირონსმა Daily Mirror-ის კორესპონდენტს. "აეროპორტში ყოფნა საერთოდ მაღიზიანებს და დალაგების შემდეგ ყოველთვის უკეთ ვგრძნობ ხოლმე თავს." ამ აქციის შემდეგ მსახიობი თავის სასახლეში გაემგზავრა.

## Garbage და No Doubt ერთად გამოვლენ

შირლი მენსონმა დაადასტურა, რომ მისმა Garbage-მა და გვენ სტეფანის No Doubt-მა ერთობლივი გამოსვლა დაგეგმეს. კონცერტის ზუსტი თარიღი ჯერ-ჯერობით არ ხმაურდება. თუმცა, ერთის თქმა შეიძლება – მათი გამოსვლა ალბათ, No Doubt-ის ამერიკული ტურნეს დროს გახდება შესაძლებელი. გვენ სტეფანიმ მეგობრებთან ერთად ჯერ-ჯერობით მხოლოდ ავსტრალიური და შორეული აღმოსავლეთის ტურნეს თარიღები დაასახელა. ოქტომბრის დასასრულს კი, ჯგუფი Rolling Stones-ის კონცერტშიც მიიღებს მონაწილეობას. სავარაუდოდ, სწორედ ამ კონცერტზე გამოვა Garbage.

## წამოგორდით და დაისვენეთ

პარიზის ისედაც მრავალფეროვან ღამის ცხოვრებას ახალი კლუბი შეემატა: Le Cabaret. აქ არც ცეცხლოვანი ცეკვა გელით და არც გამაგრილებელი თუ მაგარი სასმელი. 600 კვადრატული მეტრი თეთრ ლოგინებს ეთმობა: შეგიძლიათ წამოწვეთ, მოდუნდეთ, ნამცხვარი მიირთვათ, შამპანური მიაყოლოთ. თვალებსაც არავინ აცეცებს – თითოეული სტუმრისთვის გამოყოფილ სივრცეს დანარჩენებისაგან ფარდები ფარავს.

## როკ-ენ-როლის მეფის პირველი ფესტივალი ევროპაში

თუკი აშშ-ში ელვის პრესლის ფანკლუბები და მისი სახელობის ფესტივალები ჩვეულებრივი მოვლენაა, ევროპაში მისი ანალოგი პირველად უახლოეს მომავალში გაჩნდება.

პრესლის სახელობის პირველ ევროპულ ფესტივალზე (European Elvis Festival) 12 ათასი ელვისომანის შეკრებას ვარაუდობენ. თითოეული მათგანი, რაღა თქმა უნდა, ამ ფესტივალზე ტრადიციისამებრ კერპის ფორმაში გამოწყობილი გამოცხადდება; პრესლის ფანებს ეს ნამდვილად არ გაუჭირდებათ, მათ სახლში ხომ აუცილებლად მოიძებნება ისეთივე ტყავის კოსტიუმი, ვარსკვლავს რომ ეცვა და ბრიოლინით გადავარცხნილი პარიკი.

ელვისომანების საზოგადოება გერმანიის ორ პატარა დასახლებაში, იქ სადაც, ოდესღაც მომღერალი ცხოვრობდა – ბად ნაუჰეიმსა და ფრიდბერგში, შეიკრიბება. 1958-60 წლებში აქ იყო ამერიკული არმიის ბარაკები; იმ დროისათვის კი, ვარსკვლავი სამხედრო სავალდებულო სამსახურს სწორედ ნაუჰხეიმში იხდიდა.

ფესტივალი 15-დან 18 აგვისტომდე გაგრძელდება. ასე რომ, როკ-ენ-როლის მეფის ევროპელ თაყვანისმცემლებსაც გამოუჩნდათ კონკრეტული სივრცე კერპის თაყვანსაცემად.

## The Who-ს კლასიკა სტერეოზე

The Who-ს კლასიკური ალბომი My Generation მალე სტერეო ჟღერადობით გამოვა. ნამუშევარს, ისევე როგორც ლეგენდარული ბრიტანელების სადებიუტო 1965 წლის ალბომს, პროდიუსირება შელ ტალმიმ გაუწია.

"ახალი თაობის" ჩანაწერი ორმაგი დისკის სახით გამოვა. ცამეტი კლასიკური სიმღერის გარდა, ალბომში შევა დამატებით ჩვიდმეტი კომპოზიცია, რომელთაგან რამდენიმე ფართო საზოგადოებისთვის უცნობია. მათ შორისაა: Instant Party Mixture, The Good's Gone-ის სრული ვერსია, ჯეიმს ბრაუნის I Don't Mind; My Generation-ის ინსტრუმენტული ვერსია, ედი ჰოლანდის Leaving Here. ჩანაწერი 27 აგვისტოს გამოვა.



## ორშაბათი 12.08

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯუნგლების წიგნი 08.00 კურიერი. ჩვენი ეზო 08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით" 09.50 ველური ბუნება 10.40 ბრენდაიზერი 11.10 სერიალი "ოცნების კოშკები" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ლუისი და კლარკი 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 ბრენდაიზერი 18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები" 19.15 მოგზაურობის ასი წელი 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 22.00 "კომუნიკატორი" 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფილმი "პანამელი მკერავი" მთ.როლებში პირს ბროსნანი, ლი კერტისი

### პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე 08.10 "წყვილები და დუეტები" 08.35 სერიალი "მარკო პოლო" 09.20 მულტფილმი "საბრალონი" 10.10 სერიალი "ძილის წინ" 10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება" 11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი" 12.15 სერიალი "გოგონები ქარში" 12.45, 19.00 ვიდეოპატრული 12.55 მხ. ფილმი "სასიკვდილო თამაშები" 14.25 "ჩემი გოგლა" 15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. ბრაზილია - ბელგია (განმეორებითი ჩვენება) 17.15 50-50 18.00 "ვესტნიკი" 18.20 სერიალი "გოგონები ქარში" 19.10 დოკ. ფილმი "მამა, მე ალბათ ჯარში დავრჩები" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი" 21.45 "ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება" 22.20 მხ. ფილმი "წუთისოფელი" 23.35 სერიალი "ძილის წინ" 00.10 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე" 00.30 სერიალი "მარკო პოლო"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 იყო და არა იყო რა 19.30 მხ. ფილმი "მისი წესების მიხედვით" 21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის" 22.10 მხ. ფილმი "ზამთრის დასასრული"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15, 18.30 მულტფილმი 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.30 მხ. ფილმი "ლედი ჰამილტონის საყვარელი" 14.30 დოკ. ფილმი "თანამედროვე ევროპა" 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 მუსიკალური ტაიმ-აუტი 20.40 პირველი ნაბიჯები 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები. მარიკა ხიდურელის საავტორო გადაცემა 22.30, 00.15 ინდური კინოს მოყვარულებს. მხ. ფილმი "სიყვარულის გამოცდა"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.40, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "ჭორი" 10.20 მხ.ფ. "ბანკების მძარცველი" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები" 18.45 ბუნების ფერები 19.30 ბურთი და მოედანი 20.00 მხ.ფ. "ვირჯინიელი" 22.15 მხ.ფ. "ამოუცნობი მკვლელობა მანჰეტენში" 00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 11.30 ინფორმატორი 12.00 "მო" განმეორებით 13.30 "არასარეკლამო ათეული" განმეორებით 13.45 "ცენტრი" განმეორებით 14.45 მხ.ფილმი 17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "პარასკევი" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "მო" 21.00 ევროპული ათეული 22.00 უცნობი 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "შავი კატა, თეთრი ხვადი". მთ. როლებში ბრანკა კატიჩი, ბაირამ სევერჯანი 01.40 "ღამურა" მხ.ფ. "სისხლი რძით" მთ. როლებში დებორა ჰარი, ნორმან რიდესი 03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "პოლკოვნიკი რიდლი" 14.35 მხ.ფ. "რობინ ჰუდი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მულტფილმი "კოსიოსური კალათბურთი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ.ფ. "ზაზუნას დღე" 22.30 მხ.ფ. "დრაკონის კოცნა"

### მეცხრე არხი

09.10 სად? რა? როდის? 10.00, 15.00 "დილა" 11.45 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური" 12.35 მხ. ფილმი "დანა წყალში" 14.05, 16.45, 19.00 დისქავერი 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 17.15, 18.45, 23.50, 00.20 მუსიკა 17.45 მულტფილმი "შეჰრაზადა" 25-ე სერია 18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 25-ე სერია 20.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური" 22.00 მხ.ფ. "ეშმაკით შეპყრობილი". მთ. როლებში ტიმოთი დალტონი, კრისტოფერ პლამერი 00.40 მხ.ფ. "კეთილისმყოფელი" მთ. როლებში მეტ დეიმონი, დენი დე ვიტო, მიკი რურკი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 Новости в воскресенье 09.50 "სათქმელი" 10.10 მელოდრამა "მარადიული სიყვარულის ისტორია" 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 მხატვრული ფილმი "მკურნალი ადამსი" 14.05 მხატვრული ფილმი "დაქირავებული" 16.15 მულტფილმი "ჰერკულესი" 17.45 კომედია "მატყუარა, მატყუარა" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 მისტიკური თრილერი "სიკვდილის მაგია" 20.55 ქართული მხატვრული ფილმი 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.00 დოკუმენტური ფილმი 01.00 მხატვრული ფილმი "აფიორა" 03.30 თრილერი "ცუდი კომპანია" 05.15 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი 09.05 ამინდის პროგნოზი 09.10 "პერიფერია" 09.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 09.30 "აჩიკუდა" 09.55 მოკლედ... სპორტი 10.05 "სახლიდან გაუსვლელად" 10.40 მუსიკალური ტაიმაუტი 11.10 მულტსერიალი 11.25 "სახლიდან გაუსვლელად" 11.55 მუსიკალური ობიექტივი - სტუმარი (განმეორებით) 12.50 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე" 13.15 დისნეი და მისი მეგობრები 13.35 "სახლიდან გაუსვლელად" 14.15 სპორტი 14.20 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 18.10 პრესა 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" 18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები 19.00 "აჩიკუდა" 19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი 19.40 "სახლიდან გაუსვლელად" 20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები" 20.35 მუსიკალური ტაიმაუტი 21.10 მოკლედ...ასტროლოგიური პროგნოზი 21.15 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე" 21.35 მოკლედ... სპორტი 21.40 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 21.50 "სახლიდან გაუსვლელად" 22.20 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "ეის ვენტურა" - 1 სერია. ა.შ.შ. 1997 წელი. კომედია. რეჟისორი - ტომ შედიაკი. როლებში: ჯიმ ქერი, შონ იანგი. 23.50 პრესის მიმოხილვა 00.05 მუსიკალური ტაიმაუტი 00.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი 00.40 "სახლიდან გაუსვლელად" 01.15 მუსიკალური ბიორითმი 01.40 მხ.ფ. ჟანრებში: - "ეის ვენტურა" - მე-2 სერია. ა.შ.შ. 1998 წელი. კომედია. რეჟისორი - ტომ შედიაკი. როლებში: ჯიმ ქერი, შონ იანგი. 03.05 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.15 сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 11.10 "Знатоки" "ДИНОЗАВР". Дело №5. 2-я серия 12.10 Царь горы 12.35 Дисней-клуб: "Любимчик" 13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ" 14.15 Поле чудес 15.15 "Правда о "Курске" 16.15 х.ф. "ОТЧАЯНЫЙ ПАПА" 17.55 "САМОЗВАНЦЫ" 19.20 "Кто хочет стать миллионером?" 20.20 "Ералаш" 20.35 х.ф. "СПЯЩИЙ ЛЕВ" 22.00 Время 22.35 "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ" 23.40 Приключенческий сериал "АБСОЛЮТНЫЕ УБИЙЦЫ", "ПРАВДА О ХИЩНИКАХ" 00.35 "УБОЙНАЯ СЛУЖБА" 01.00 Ночное "Время" 01.15 х.ф. "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ" 02.00 х.ф. "ЧЕЛОВЕК НИОТКУДА"

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР 06.50, 07.50, 08.50, 09.50, 19.20 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести. 07.10 "Православный календарь". 07.15, 08.30 Семейные новости 07.25, 08.20 Национальный доход 07.30, 08.40, 14.20 Афиша 07.40 Дорожный патруль 08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР 08.25, 09.15, 15.20 Вести-спорт 09.15 "Хронограф" 09.30 Вести. дежурная часть 10.10 х.ф."ПОЙМАЙ ВОРА" 12.20 Сказки о любви 13.20 "Что хочет женщина" 14.30 Сериал "ГРОСС ПОИНТ" 15.25 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. СМЕРТЬ В ОБЛАКАХ" 17.30 "ДРУЗЯ - 5" 18.20 "ЖАРА В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ" 19.50 х.ф."ВОРОВКА 20.50 Спокойной ночи, малыши! 21.35, 00.20 Местное время. Вести-Москва 21.55 х.ф."КАМЕНСКАЯ" Фильм первый "ШЕСТЕРКИ УМИРАЮТ ПЕРВИМЫ" 1-я часть 23.00 х.ф." МАРШ ТУРЕЦКОГО-2" 00.00 Вести - Подробности 00.30 х.ф. "АМЕРИКАНСКИЕ ДРАКОНЫ" 02.10 Лучшие матчи чемпионата мира по футболу 2002 г. Сборная Сенегала - сборная Швеции. 1/8 финал.

### НТВ

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 07.05 Утро на НТВ. 07.35, 08.35, 16.40, 19.40 Криминал. 08.20 Дальние страны. 09.50 Сериал "ИДЕАЛЬНАЯ ПАРА". "АЙ ЛАВ Ю". 11.20 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "ТРЕТИЙ СЛЕВА". 12.30 "Разбитый треугольник". "Очная ставка". 13.25 Матадор Лидия Артамонова. "Женский взгляд" Оксаны Пушкиной. 13.45 Приключенческий фильм "МУШКЕТЕРЫ, ДВАДЦАТЬ ЛЕТ СПУСТЯ". Фильм 1-й. 15.05 "Почему мы врем?" Ток-шоу "Принцип домино". 17.30 Детективный сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 18.35 Многосерийный детектив "ПЕЙЗАЖ С УБИЙСТВОМ". 20.35 Памяти "Курска". 21.00 Петр Вельяминов, Донатас Банионис и Константин Райкин в фильме "КОМАНДИР СЧАСТЛИВОЙ "ЩУКИ". 23.35 Детективный сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 00.45 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "ТРЕТИЙ СЛЕВА". 02.00 Триллер "КОНТРОЛЬ НАД ЛИЧНОСТЬЮ".

## სამშაბათი 13.08

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯუნგლების წიგნი 08.00 კურიერი 08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით" 09.50 "კომუნიკატორი" 10.40 ბრენდაიზერი 11.10 სერიალი "ოცნების კოშკები" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.05 ლუისი და კლარკი 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 ბრენდაიზერი 18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები" 19.15 მოგზაურობის ასი წელი 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 22.00 კომუნიკატორი 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფ. "დიდი ლუკმა" მთ.როლებში ბრედ პიტი, ბენისიო დელ ტორო

### პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30 მოამბე 08.10 "წყვილები და დუეტები" 08.35 სერიალი "მარკო პოლო" 09.20 მულტფილმი "საბრალონი" 10.10 სერიალი "ძილის წინ" 10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება" 11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი" 12.15 სერიალი "გოგონები ქარში" 12.45, 19.00 ვიდეოპატრული 12.55 მხ. ფილმი "წუთისოფელი" 14.10 ლერერის შოუ 15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. იაპონია - თურქეთი (განმეორებითი ჩვენება) 17.15 "ჩემი გოგლა" 17.45 "საკვირაო გამოფენა" 18.00 "ვესტნიკი" 18.20 სერიალი "გოგონები ქარში" 19.10 დოკ. ფილმი "მამა, მე ალბათ ჯარში დავრჩები" 19.40 ბასტი - ბუბუ 21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი" 21.45 "ტალანტები და თაყვანისმცემლები" 22.20 მხ.ფ. "დონ სეზარ დე ბაზანი" 00.40 ტელესერიალი "ძილის წინ" 01.00 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე" 01.20 სერიალი "მარკო პოლო"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 იყო და არა იყო რა 19.30 მხ. ფილმი "გორილები ნისლში" 21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის" 22.10 მხ. ფილმი "დედიკოს ბიჭები"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 მულტფილმი 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.25, 21.30 "სალონი" 14.00, 23.00 სერიალი "მოქალაქე უფროსო" 18.30 სერიალი "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მე-8 სერია 19.30 მუსიკალური ტაიმაუტი 20.00 მსოფლიო სპორტი 00.15 მხ.ფ. "სანამ ღამე არ დამდგარა"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.45, 14.10, 17.20, 19.30, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "ვირჯინიელი" 10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 10.15 ბურთი და მოედანი 10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები" 10.50 მხ.ფ. "ამოუცნობი მკვლელობა მანჰეტენში" 13.10, 17.30 მულტფილმი 18.00 დოკუმენტური ფილმი 20.00 მხ.ფ. "ბედის საჩუქარი" 22.30 ძველი კინო "სურვილების ტრამვაი" 00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 09.00 "ტოროლა" 11.30 "მო" განმეორებით 13.00 მუსიკალური ათეულის განმეორება 13.45 მხ. ფილმი 17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "მომავალი პარასკევი" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 "მო" 21.00 ევროპული ათეული 22.00 ჩაძირობანა 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ქორწილი". მთ. როლებში მარია მირონოვი, მარატ ბაშაროვი 01.40 "ღამურა" მხ.ფ. "ზამთრის სტუმარი". მთ. როლებში ფილიდა ლოუ, ემა ტომპსონი 03.10 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "ზაზუნას დღე" 13.35 მხ.ფ. "დრაკონის კოცნა" 15.10 მხ.ფ. "ლამაზმანი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფ. "დარტყმის სიშორეზე" 19.20 სპექტრი 21.00 მხ.ფ. "დათვი" 22.30 მხ.ფ. "შერბურული ქოლგები"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20 მულტფილმი "შეჰრაზადა" 25-ე სერია 09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 25-ე სერია 10.15, 13.25, 14.45, 17.10, 18.45, 20.15, 23.55, 00.20 მუსიკა 10.30 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ველერი აირონსის დაცვის სამსახური" 11.15 მხ.ფ. "კეთილისმყოფელი" 13.30, 21.30 დისქავერი 14.00 გადაცემა "მსოფლიო რაგბი" 15.00 მხ. ფილმი "სფერო" 17.45 მულტფილმი "შეჰრაზადა" 26-ე სერია 18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 26-ე სერია 18.50 მხ.ფ. "ქერათმიანი მამაკაცი შავ ფეხსაცმელში" მთ.როლებში პიერ რიშარი, მირეი დარკი, ბერტრან ბლიე 21.10 მულტფილმი "კეთილი ჯადოქარი ოზიდან" 22.05 მხ.ფ. "ვუნდერკინდები" მთ. როლში მაიკლ დუგლასი 00.40 მხ.ფ. "ერთგულება". მთ. როლებში სოფი მარსო, გიომ კანე

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი 09.30 სათავგადასავლო ფილმი "ჰერცოგი დიუკი" 10.55 დოკუმენტური ფილმი 12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება 12.15 ქართული მხატვრული ფილმი 13.20 მხატვრული ფილმი "აფიორა" 16.15 მულტფილმი 17.05 მელოდრამა "იმედის გამობრწყინება" 19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" 19.30 დოკუმენტური ფილმი 20.20 ქართული მხატვრული ფილმი 22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს" 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე 23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე 23.05 "რა არ ხდება" 23.15 დოკუმენტური ფილმი 01.05 დრამა "სამხედრო ექიმი" 03.30 თრილერი "თამაში" 05.05 დოკუმენტური ფილმი

### VII არხი

09.00 ანონსი 09.05 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი 09.15 მუსიკალური ტაიმაუტი 09.30 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 09.40 "აჩიკუდა" 10.05 "ბედნიერი ერი" 10.10 "სახლიდან გაუსვლელად" 10.45 მოკლედ... სპორტი 10.50 "ავტოტრეკინგი" (წლის საუკეთესო გადაცემა) 11.40 მულტსერიალი 12.00 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე" 12.20 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები 12.25 "სახლიდან გაუსვლელად" 12.55 მუსიკალური ბიორითმი 13.20 დისნეი და მისი მეგობრები 13.40 "სახლიდან გაუსვლელად" 14.20 სპორტი 14.25 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 18.10 პრესა 18.20 "სახლიდან გაუსვლელად" 18.55 მოკლედ... ტექნიკის სიახლეები 19.00 "აჩიკუდა" 19.30 მოკლედ... საქართველო, უცხოეთი 19.40 "სახლიდან გაუსვლელად" 20.10 სპორტული პროგრამა - "კასკადიორები" 20.30 "ფაქტი, აზრი, კომენტარი" 20.40 მუსიკალური ტაიმაუტი 21.05 მოკლედ... ასტროლოგიური პროგნოზი 21.10 დოკ.ფ. "ბრძოლა წესების გარეშე" 21.35 მოკლედ... სპორტი 21.45 მოკლედ... პრესის მიმოხილვა 21.55 "სახლიდან გაუსვლელად" 22.25 "კინოკლუბი " - მხ.ფილმი "საუკეთესონი საუკეთესოთა შორის" - 1 სერია. ა.შ.შ. 1998 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი - ჰენრი ვატსონი. როლებში: ერიკ რობერტსი, ფილიპ რი. 23.55 პრესის მიმოხილვა 00.15 მუსიკალური ტაიმაუტი 00.30 მოკლედ.... საქართველო, უცხოეთი 00.40 "სახლიდან გაუსვლელად" 01.15 მუსიკალური ბიორითმი 01.40 მხ.ფ. ჟანრებში: - მხ.ფილმი "საუკეთესონი საუკეთესოთა შორის" - მე-2 სერია. 03.15 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

07.00 "Доброе утро". 10.00, 13.00, 16.00, 19.00 Новости. 10.15 Приключенческий сериал "АБСОЛЮТНЫЕ УБИЙЦЫ", "ПРАВДА О ХИЩНИКАХ" 11.10 "Знатоки" "ШАНТАЖ". Дело №6. 1-я серия 13.15 Сериал "ДЕТЕКТИВНОЕ АГЕНСТВО "ЛУННЫЙ СВЕТ" 14.15 "Народ против" 15.00, 22.35 "ОСТАНОВКА ПО ТРЕБОВАНИЮ" 16.20 "Кумиры" 16.50 "ТЕНИ ИСЧЕЗАЮТ В ПОЛДЕНЬ" 17.55 "САМОЗВАНЦЫ" 19.20 Сериал "СЕМЕЙНЫЕ УЗЫ" 20.15 х.ф. "КАРОТЫШКА ИЗ МАЙАМИ" 22.00 Время. 23.40 "КИТАЙСКИЙ ГОРОДОВОЙ" 00.35 "УБОЙНАЯ СЛУЖБА" 01.00 Ночное "Время" 01.15 "ТЫСЯЧЕЛЕТИЕ" 02.05 "ЧЕЛОВЕК НИОТКУДА"

### РТР

06.50 - 10.00 Утро на РТР 06.50, 07.50, 08.50, 09.50 Вести-Москва 07.00, 08.00, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести. 07.10 "Православный календарь". 07.15, 08.30 Семейные новости 07.25, 08.20 Национальный доход 07.30, 08.40, 14.20 Афиша 07.40 Дорожный патруль 08.10, 09.40, 14.10 Экспертиза РТР 08.25, 09.10, 15.20 Вести-спорт 09.15 Колоссальное хозяйство 09.30 Вести. Дежурная часть 10.10 Диалоги о животных 11.00 "ЦЫГАН" 12.20 х.ф."КАМЕНСКАЯ" Фильм первый "ШЕСТЕРКИ УМИРАЮТ ПЕРВИМЫ" 1-я часть 13.25 "Что хочет женщина" 14.30 Сериал "ГРОСС ПОИНТ" 15.25 х.ф."ПУАРО АГАТЫ КРИСТИ. ТАЙНА ОТОРВАНОЙ ПРЯЖКИ" 17.30 Сериал "ДРУЗЬЯ-5" 18.20 "ЖАРА В ЛОС-АНДЖЕЛЕСЕ" 19.50 х.ф."ВОРОВКА" 20.50 Спокойной ночи, малыши! 21.35, 00.20 Вести-Москва 21.55 х.ф."КАМЕНСКАЯ" Фильм первый "ШЕСТЕРКИ УМИРАЮТ ПЕРВИМЫ" 2-я часть 23.00 х.ф." МАРШ ТУРЕЦКОГО-2" 00.00 Вести - Подробности 00.30 х.ф."БУГГИ-БОЙ" 02.15 Лучшие матчи чемпионата мира по футболу 2002 г. Сборная Испании - Сборная Ирландии. 1/8 финал.

### НТВ

07.00, 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 09.30, 11.00, 13.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 Сегодня. 07.05 Утро на НТВ. 07.35, 08.35, 16.40, 19.40 Криминал. 08.20 Здоровье. 09.50 Остросюжетный фильм "ПОЛИЦЕЙСКИЕ: СМЕРТЕЛЬНЫЙ ТОТАЛИЗАТОР". 11.20 "Внимание: розыск!" "Черные риэлторы". 12.10 Андрей Макаревич в программе Павла Лобкова "Растительная жизнь". 12.40 "Китобои". "Профессия - репортер". 13.20 Вкусные истории. 13.35 Приключенческий фильм "МУШКЕТЕРЫ ДВАДЦАТЬ ЛЕТ СПУСТЯ". 15.05 "Все решает взятка". Ток-шоу "Принцип домино". 17.30 Детективный сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 18.35 Боевик "РОЖДЕННЫЙ ВОРОМ". 20.35 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "СЕРДЕЧНАЯ НЕДОСТАТОЧНОСТЬ". 21.40 Детективный сериал "ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ". 23.35 Сериал "СКОРАЯ ПОМОЩЬ-4". 00.30 Сериал "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". "ДЕЛО ЧЕСТИ". 01.25 "О, счастливчик!" Азартная игра. 02.05 Триллер "ВНЕ ТЕЛА".

## ოთხშაბათი 14.08

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა 07.30 ჯუნგლების წიგნი 08.00 კურიერი 08.55 სერიალი "სიყვარულის სახელით" 09.50 კომუნიკატორი 10.40 ბრენდაიზერი 11.10 სერიალი "ოცნების კოშკები" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 მულტსერიალი 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ.ფილმი 17.05 ლუისი და კლარკი 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 18.20 ცხოველთა ომები 18.45 სერიალი "ელენი და ბიჭები" 19.15 მოგზაურობის ასი წელი 19.50 სერიალი "ოცნების კოშკები" 22.00 კომუნიკატორი 22.50 კურიერი 00.05 მხ.ფ. "მუმია ბრუნდება" მთ. როლებში ბრენდან ფრეიზი, რეიჩელ ვაიცი

### პირველი არხი

08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.30 მოამბე 08.10 "წყვილები და დუეტები" 08.35 სერიალი "მარკო პოლო" 09.20 მულტფილმი "საბრალონი" 10.10 სერიალი "ძილის წინ" 10.25 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ველური ბუნება" 11.15 სერიალი "ფსიქფაქტორი" 12.15 სერიალი "გოგონები ქარში" 12.40, 19.05 ვიდეოპატრული 12.50 მხ. ფილმი "დონ სეზარ დე ბაზანი" 15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. კორეა - იტალია (განმეორებითი ჩვენება) 17.25 "ჩემი გოგლა" 18.00 ვესტნიკი 18.20 სერიალი "გოგონები ქარში" 18.50 "ინტერმეცო" 19.15 დოკ. ფილმი "მამა, მე ალბათ ჯარში დავრჩები" 19.40 ბასტი-ბუბუ 21.00 სერიალი "ფსიქფაქტორი" 21.45 ეკოდაიჯესტი 22.10 მხ. ფილმი "ფეიერვერკი" 23.50 ტელესერიალი "ძილის წინ" 00.25 დოკ. სერიალი "მეოცე საუკუნე" 00.45 სერიალი "მარკო პოლო"

### მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 იყო და არა იყო რა 19.30 მხ. ფილმი "სიუზანის მზაკვრული გეგმა" 20.45 "წმინდანები" 21.15 სერიალი "მხოლოდ შენთვის" 22.10 მხ. ფილმი "პირველი მერცხალი"

### ევრიკა

10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 "ვესტი" 10.15 მუსიკალური ტაიმ-აუტი 10.45, 22.30 მსოფლიო სპორტი 11.45 მუსიკალური კოლაჟი 12.25 სალონი 18.30 სერიალი "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მე-9 სერია 19.30 საუბრები მწვანე ბუხართან. ს. ცინცაძის საავტორო გადაცემა 21.30 თინეიჯერი 23.30, 00.30 მხ.ფ. "აკოცეთ გოგონებს"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.25 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "ბედის საჩუქარი" 10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები 10.20 ძველი კინო "სურვილების ტრამვაი" 13.10, 18.00 მულტფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები" 18.45 ბუნების ფერები 20.00 მხ.ფ. "მზის ჩასვლა" 22.15 მხ.ფ. "შორს" 00.30 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.15 "მორწმუნის ძლევამოსილი ხმა" 09.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა" 11.30 "მუსიკალური ათეული" განმეორებით 12.15 "მო" განმეორებით 13.45 მხ.ფილმი 17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "ცოცხალზე" 19.00 ქართული მუსიკა 19.30 ვიდეო-რადიო 21.00 მიქს-ათეული 21.45 "მოკლე სეანსი" 22.00 "ინფორმატორი" 22.30 "არასარეკლამო ათეული" 23.00 მუსიკა 00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ცხოვრების მტკიცებულება". მთ. როლებში მეგ რაიანი, რასელ კროუ 01.50 "ღამურა" მხ.ფ. "მირანდა" 03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ.ფ. "დათვი" 13.30 მხ.ფ. "შერბურული ქოლგები" 15.10 მხ.ფ. "ქალის სურნელი" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ.ფ. "ლეონი" 19.20 სპექტრი 21.00 მხ.ფ. "მუშკეტერი" 22.30 მხ.ფ. "9 იარდი"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღის ამბები" 09.20 მულტფილმი "შეჰრაზადა" 26-ე სერია 09.45 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 26-ე სერია 10.15, 12.10, 15.40, 20.00, 00.20 მუსიკა 10.30 მხ.ფილმი "ლოტოსის დარტყმა" 12.25 მხ.ფილმი "რომი" 14.45, 21.30 დისქავერი 15.45 მხ. ფილმი "ერთი შანსი ორისათვის" 17.45 მულტფილმი "შეჰრაზადა" 27-ე სერია 18.15 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 27-ე სერია 18.45 მხ. ფილმი "ქერათმიანი მამაკაცის დაბრუნება" მთ. როლებში პიერ რიშარი, მირეი დარკი 20.15 დოკ.სერიალი "ჩემი ქვეყანა" 21.10 მულტფილმი "კეთილი ჯადოქარი ოზიდან" 22.00 მხ.ფ. "უნებლიე ტურისტი". მთ. როლებში უილიამ ჰარტი, კეტრინ ტერნერი, ჯინა დევისი 00.40 მხ.ფ. "შიში და სიძულვილი ლას-ვეგასში". მთ. როლებში ჯონი დეპი, ბენისიო დელ ტორო

### აჭარის ტელევიზია

**"ნათლად ჩანს, რომ ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილება დისკრიმინაციულია საქართველოს ფეხბურთის ვეტერანთა კავშირის მიმართ, კერძოდ, დარღვეულია ამ კავშირისათვის "საქართველოს კონსტიტუციით" გარანტირებული უფლებები, რომლის თანახმადაც, კანონის წინაშე ყველა თანასწორია, სასამართლო გადაწყვეტილების მიხედვით კი, ფეხბურთის ფედერაციის ყრილობაზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა კავშირი წარმოდგენილი იქნება ხმის უფლების მქონე ორი დელეგატით, ხოლო ვეტერანთა კავშირი არც ერთით".**

**"დ. პეტრიაშვილი ჩვენთვის გაუგებარი ეჭვების საფუძველზე აკეთებს დაუსაბუთებელ პროგნოზებს იმის თაობაზე, თუ ვინ დაუჭერს და ვინ არა მის კანდიდატურას მხარს ფეხბურთის ფედერაციის V ყრილობაზე. აქედან გამომდინარე, მოითხოვს სასამართლოსგან ყრილობის კანონიერ დელეგატთა ერთი ნაწილისთვის ხმის უფლების ჩამორთმევას, ხოლო მისთვის სასურველი პირებისთვის, ასეთი ხმის უფლების მიცემას, რითაც ცდილობს გავლენა მოახდინოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის V ყრილობის მომავალ გადაწყვეტილებებზე".**

**"აქედან გამომდინარე, გთხოვთ, ჩვენს მიერ მოყვანილი მოტივების გათვალისწინებით, გამართოთ მსჯელობა 2002 წლის 26 ივლისის განჩინების თაობაზე და შეაჩეროთ 2002 წლის 23 ივლისის გადაწყვეტილების აღსრულება სააპელაციო საჩივრის განხილვამდე".**

**"და ბოლოს, სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულია სსსკ 30-ე მუხლის უხეში დარღვევით, კერძოდ, სფფ-ს წარმომადგენელმა თავიდანვე ეჭვი გამოთქვა, რომ პეტრიაშვილის ერთ-ერთი წარმომადგენელი კ. კვანტალიანი მოსამართლის ნათესავი იყო. მაგრამ სასამართლომ ამას არავითარი ყურადღება არ მიაქცია და ისე განაგრძო საქმის განხილვა. პროცესის შემდგომ, როდესაც მოთხოვნილ იქნა მოსამართლეს დაეფიქსირებინა სფფ-ს აზრი, მან განაცხადა – "მე მეგონა, ხუმრობდითო". სახუმაროდ რომ არ იყო საქმე, ეს მოვლენების შემდგომმა განვითარებამ გვაჩვენა.**

*პატივისცემით,*
*საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარე,*
*სპორტის დამსახურებული ოსტატი*
*ვლადიმერ ელოშვილი*
*09.08.2002".*

# ირაკლი მეძმარიაშვილი ყრილობის გადადების მომხრეა, ჯანო ბაგრატიონი მხარეებს მოლაპარაკებას ურჩევს

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობამდე და საპრეზიდენტო არჩევნებამდე სულ რაღაც ორი კვირა დარჩა. მიუხედავად ამისა, დღეს დაზუსტებით ვერავინ იტყვის, ვინ იქნება ამ ყრილობის დელეგატი, ვის ექნება კენჭისყრაში ხმის მიცემის უფლება და, უფრო მეტიც, ჩატარდება თუ არა ყრილობა დანიშნულ დღეს – 24 აგვისტოს. საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის მებრძოლ ორ მთავარ ძალას – მერაბ ჟორდანიასა და დავით პეტრიაშვილის გუნდებს დიამეტრალურად განსხვავებული პოზიციები აქვთ. დაპირისპირებამ პიკს მიაღწია და გარჩევები უკვე ყველა დონეზე მიმდინარეობს. ბიზნეს-ოლიგარქები, პარლამენტი, უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლება და, მათთან ერთად, სპორტული და საფეხბურთო საზოგადოებრიობა – აი იმ ფენების, გნებავთ, წრეების არასრული სია, ვინც აქტიურად მონაწილეობს ფეხბურთის ფედერაციის ხელში ჩასაგდებად წამოწყებულ ბრძოლაში.

ყრილობის გარშემო განვითარებულ მოვლენებზე კომენტარი ვთხოვეთ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ირაკლი მეძმარიაშვილსა და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ჯანო ბაგრატიონს.

მეძმარიაშვილის აზრით, შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალია ყრილობისა და არჩევნების თარიღის გადაწევა: "ამჟამად ქართულ საფეხბურთო სამყაროში ქაოსური და, შეიძლება ითქვას, სამარცხვინო სიტუაციაა შექმნილი. ვეტერანი ვეტერანს დაუპირისპირდა, ფეხბურთელი - ფეხბურთელს. დაპირისპირებული მხარეები ერთმანეთის შეურაცხყოფას არ ერიდებიან. არა მგონია, ასეთ ვითარებაში მიზანშეწონილი იყოს ყრილობის ჩატარება. საქმე სამოქალაქო სასამართლომდეც არ უნდა მისულიყო. მოსამართლეს ვერც მოსთხოვ საფეხბურთო და სპორტული ნიუანსების ცოდნას. ეს მომენტი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე აისახა. აბა, რა კომენტარი უნდა გაუკეთდეს იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში სპორტის განვითარების სტრატეგიის განმსაზღვრელ მთავარ უწყებას სასამართლომ ყრილობაში ხმის უფლებით მონაწილეობის მანდატი ჩამოართვა?



ჯანო ბაგრატიონი

ამ ჩიხიდან გამოსასვლელად მხოლოდ ერთი გზა მესახება - დაპირისპირებულმა მხარეებმა მორატორიუმი უნდა გამოაცხადონ და ყრილობა ერთი-ორი თვით გადადონ. ამ დროში უნდა მოწესრიგდეს საკანონმდებლო ბაზა. ამისათვის უეფა-დან კომისია უნდა მოვიწვიოთ, რომელიც, ადგილობრივ იურისტებთან ერთად, შეიმუშავებს ყრილობის ჩატარების ისეთ მოდელს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობასაც შეესაბამება და ფიფა-უეფა-ს წესდებებსაც არ ეწინააღმდეგება. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ყრილობისა და არჩევნების ცივილიზებული ფორმით ჩატარება."



ირაკლი მეძმარიაშვილი

ჯანო ბაგრატიონი: "არაფერია ცუდი იმაში, რომ ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში რამდენიმე კანდიდატურა იყრის კენჭს. თუმცა, გულახდილად გეტყვით, რომ მეგონა, უფრო ავტორიტეტული და გამოცდილი პიროვნებები წამოაყენებდნენ კანდიდატურებს. პირადად ჩემთვის, საკმაოდ მოულოდნელი იყო იმის გაგება, რომ არჩევნებში ჟორდანიას დავით პეტრიაშვილი დაუპირისპირდა. რაც თავი მახსოვს, ჟორდანია და პეტრიაშვილი ერთ გუნდში მოღვაწეობდნენ და პირადად ჟორდანიას, ასევე ფედერაციის გენერალურ მდივანს, ვალერი ჩოლარიასაც დიდი წვლილი მიუძღვით პეტრიაშვილის მაღალი დონის პროფესიონალად ჩამოყალიბებაში.

ამდენად, ჟორდანიასა და პეტრიაშვილის სხვადასხვა ბანაკებში ყოფნა ცოტა უცნაურად მეჩვენება.

რაც შეეხება არჩევნებთან დაკავშირებით განვითარებულ მოვლენებს, მე აბსურდად მეჩვენება სასამართლოს გადაწყვეტილება - ფედერაციის აღმასკომისა და ვეტერანი ფეხბურთელებისთვის ხმების ჩამორთმევა. ვინ, თუ არა ვეტერანებმა უნდა გადაწყვიტოს ქართული ფეხბურთის საჭირბოროტო საკითხები? დავანებოთ თავი მორალურ მხარეს, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვითაც, ნებისმიერი სპორტული ფედერაციის თუ ასოციაციის ყრილობისა და არჩევნების ჩატარების რეგლამენტს და მანდატების განაწილების წესს ამ ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტი განსაზღვრავს. მით უმეტეს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომში ავტორიტეტული, საქმის კარგად მცოდნე პროფესიონალები არიან არჩეულნი. ისიც არ არის სწორი, ფეხბურთის ფედერაციამ ბავშვთა ფეხბურთს ხმები რომ გაუუქმა. ეტყობა, პეტრიაშვილის გუნდის პროვოცირება სასამართლოსადმი მიმართვაზე, სწორედ, ამ ფაქტმა გამოიწვია.

შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალია მოწინააღმდეგე მხარეების ერთმანეთის პირისპირ დასხდომა და მოლაპარაკება. კარგად ვიცნობ ორივე დაპირისპირებულ მხარეს და დარწმუნებული ვარ, რომ როგორც პეტრიაშვილის, ისე ჟორდანიას გუნდს მართლაც აღელვებს ქართული ფეხბურთის მომავალი. შესაბამისად, მათ უნდა შეძლონ პოზიციების შეჯერება და საერთო აზრის გამონახვა. ყოველ შემთხვევაში, ამისათვის სასამართლოები და საქმის საერთაშორისო ორგანიზაციებში გარჩევა არ უნდა დასჭირდეთ, თუ ასე არ მოხდა, დიდია საშიშროება იმისა, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებმა ჩვენს წინააღმდეგ საჯარიმო სანქციები გაატარონ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თავისი რიგებიდან გარიცხონ. ეს კი ქართული ფეხბურთის იზოლაციას გამოიწვევს, რაც დაუჯერებელია, რომელიმე მხარეს აძლევდეს ხელს."

# ურჩი გადამხდელები გონს მოდიან

როგორც ჩანს, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ოთხი გუნდის (ზესტაფონის "მეტალურგი", რუსთავის "გორდა", თბილისის "მერანი" და წნორის "მილანი") ურჩობა დროებითი აღმოჩნდა.

შეგახსენებთ, რომ ზემოთ აღნიშნული კლუბები თავს იკავებდნენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის 22 ათასი ლარის გადახდაზე. საქმე ისაა, რომ სფფ-ის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის, დავით პეტრიაშვილის განცხადებით, მისი გამარჯვების შემთხვევაში, საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე ყველა კლუბი გათავისუფლდება აღნიშნული გადასახადისგან.

თავდაპირველად კლუბების ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, დალოდებოდნენ არჩევნების ჩატარებას (24 აგვისტოს) და ფედერაციას გადასახადის გადავადება სთხოვეს. მიზანი ნათელია - არჩევნებში დავით პეტრიაშვილის გამარჯვების შემთხვევაში, თითოეული კლუბი 22 ათას ლარს დაზოგავს.

საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატის პირველ ტურში გუნდებს უკვე ჩაეთვალათ ტექნიკური წაგება. უკანასკნელ დღემდე ეს კლუბები თანხის გადახდაზე მაინც თავს იკავებდნენ, მაგრამ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა.

გუშინ დილით ზესტაფონის "მეტალურგის" ხელმძღვანელობამ სფფ-ს სალაროში 22 ათასი ლარი (ნაღდი ფული) შეიტანა.

გუშინვე ფედერაციის ოფისში გამოცხადნენ რუსთავის "გორდას" წარმომადგენლები, რომლებმაც პირობა დადეს, რომ ფედერაციის სალაროში თანხას მეორე დღესვე (ანუ დღეს) შეიტანდნენ.

საღამოს სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტს, რომან შოთაძეს ტელეფონით დაუკავშირდნენ წნორის "მილანის" წარმომადგენლებიც. რუსთავის "გორდას" მსგავსად "მილანიც" დღეს გადაიხდის დაკისრებულ თანხას.

ერთადერთი გუნდი, რომელიც ჯერ კიდევ ყოყმანობს, თბილისის "მერანია". კლუბს პოზიცია არ შეუცვლია და თანახმაა თანხის მხოლოდ "გაურკვეველი ნაწილის" გადახდაზე, რაც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ხელს არ აძლევს.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, რომან შოთაძემ აღნიშნული სამი კლუბის მიერ პოზიციის შეცვლას შემდეგი კომენტარი გაუკეთა: "დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდებოდა. მიხარია, რომ ეს კლუბები გონს მოეგნენ და საკუთარ გულშემატკივარს ფეხბურთის გარეშე მაინც არ დატოვებენ. ამ გუნდების ფინანსურ შესაძლებლობებში არასოდეს შემპარვია ეჭვი, ალბათ, ეს ყველაფერი სულ სხვა მიზეზებით იყო გამოწვეული და არა ფულის უქონლობით".

ძნელი სათქმელია, რამ შეაცვლევინა აზრი ამ კლუბებს - ფედერაციის პრინციპულმა პოზიციამ თუ...

რეკორდი

# „ადამიანი დელფინი" დარდანელის სრუტეს ხელ-ფეხშეკრული გადაცურავს

ირმა კახურაშვილი

აგვისტოს შუა რიცხვებში ჰენრი კუპრაშვილი მსოფლიოს გაკვირვებას შეეცდება. ის შეუსვენებლივ, საკუთარი ნებით, თასმებით ხელ-ფეხშეკრული დარდანელის სრუტეში 5 კილომეტრამდე გაცურავს. შარშან, უცხოური მასმედიის მიერ "ადამიანი-დელფინად" მონათლულმა კუპრაშვილმა ასეთივე მდგომარეობაში "ლაგუნა ვერეზე" ორი კილომეტრი წარმატებით გადალახა.

რეკორდსმენის თქმით, წყალი მისი სტიქიაა. ის წყალში იმდენად კარგად გრძნობს თავს, რომ ხშირად ნანობს, რატომ არ დააჯილდოვა ღმერთმა ლაყუჩებით. ამჟამად, 56 წლის ჰენრი კუპრაშვილი სახელმწიფო კანცელარიაში მუშაობს, უშიშროების ეროვნული საბჭოს საინფორმაციო-ანალიტიკური სამსახურის უფროსად. საინტერესოა, რომ მისი უცნაური გატაცების შესახებ მეგობრებმა ტელევიზიიდან შეიტყვეს და გაკვირვებულნი დარჩნენ.

"მესმის, რომ ჩვენს საზოგადოებას დღეს სანახაობისთვის ნაკლებად სცალია. მინდა, ქართველი ერი ყველას გავაცნო. თანაც ცურვის ამ მივიწყებულ სახეობას პოპულარიზაცია სჭირდება", – ამბობს კუპრაშვილი. ის თითქმის ყოველდღე "ლაგუნა ვერეზეა" და გინესის მომავალი რეკორდისთვის იკრებს ძალებს. რაც შეეხება ცურვის სახეობას "კოლხურს" (როცა მოცურავეს ხელები გაუნძრევლად აქვს მიდებული ტანზე, ფეხები შეტყუპებული და დელფინივით ტალღისებური მოძრაობით მიცურავს), ძველად მას იბერიასა და კოლხეთში მეომრების სავარჯიშოდ იყენებდნენ. გაძლიერებული სამხედრო წვრთნების დროს გამოიყენებოდა ხელ-ფეხშეკრული "კოლხურიც".

ჰენრი კუპრაშვილს რეკორდის დამყარება შარშანაც განუზრახავს, მაგრამ სპონსორი ვერ მოუძებნია. წელს, მას ფინანსურ დახმარებას სპორტული კლუბის "დინამოს" საბჭოს თავმჯდომარე კობა ნარჩემაშვილი გაუწევს. რეკორდს, ქართული მხარის – მსოფლიოს მოღვაწეთა და მოგზაურთა ხელშემწყობი კავშირის "გიორგის" გარდა, თურქული მხარეც დააფიქსირებს. ივლისში კუპრაშვილი დარდანელში ჩავიდა და იქაურობას "კბილი გაუსინჯა". მისთვის პრობლემა წყლის დაბალი ტემპერატურა - 19-22 გრადუსი აღმოჩნდა. კუპრაშვილის თქმით, ასეთ დაბალ ტემპერატურას ქვედინებები განაპირობებს. გარდა ამისა, მას თურქული მხარისაგან ჯერ ოფიციალური ნებართვა არ მიუღია.

დარდანელის სრუტეში ჩაყვინთვამდე, კუპრაშვილი სამედიცინო შემოწმებას გაივლის. "როცა ხელ-ფეხი შეკრული მაქვს, მთელი დატვირთვა მუცლის კუნთებზე მოდის. ასეთი ცურვის დროს მნიშვნელობა აქვს არა სიჩქარეს, არამედ სწორ სუნთქვასა და მონოტონურ მოძრაობას. ეს არც ისეთი რთულია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს", – ამბობს კუპრაშვილი.

დარდანელის სრუტის დაპყრობის შემდეგ, ჰენრი კუპრაშვილი ცურვის ამ სახეობის აღორძინებაზეც იფიქრებს.

წყალბურთი

# წყალწაღებულებს გამარჯვება ელირსათ

ბიბა ბურასაშვილი

როდესაც საქართველოს ჭაბუკ წყალბურთელთა ნაკრებმა მარტში, კიევში ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი თავისუფლად გაივლო, გაჩნდა იმედი. მაშინ საქართველომ ევროპის ჩემპიონატის ფინალური სტადიის ექვსიდან ერთ-ერთი საგზური დაისაკუთრა.

ამჟამად, ბარიში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთი უძლიერეს C ქვეჯგუფში გვიწევდა ასპარეზობა, უნგრეთთან და რუსეთთან გამარჯვებას არავინ ითხოვდა. აი, ბელგიელების დამარცხება კი ჩვენებს ხელეწიფებოდათ, მაგრამ მესამე მეოთხედის შუაწელიდან, როდესაც ჩვენები 6:3 იგებდნენ, დარჩენილ დროში ისეთი გამოუსწორებელი შეცდომები დაუშვეს, რომ მეტოქეებმა ერთბაშად ოთხი ბურთი გაგვიქვითეს და მოგებული მატჩი 6:7 წავაგეთ. მერე 9-16 ადგილებისთვის H ჯგუფში გავაგრძელეთ ბრძოლა, მაგრამ რა? სლოვენიასთან მინიმალური სხვაობით წაგების შემდეგ (4:5) მე-13 ადგილისთვის ბრძოლაში ფრანგებმა დაგვჯაბნეს – 3:10.

გუშინ, როგორც იქნა, ქართველებმა პირველი მატჩი მოიგეს - მე-15 ადგილისთვის ბრძოლაში პოლონელები 4:2 დავამარცხეთ.

მძლეოსნობა

# ვიქტორ სანეევის ნაკვალევზე

ბიბა ბურასაშვილი



კრისტიან ოლსონი REUTERS


ნტიე ბუშულტე და ინგო შულცი REUTERS

მძლეოსნობა თითქოს ევოლუციის კანონზომიერებებს არ ემორჩილება, იგი ერთ ადგილს ტკეპნის. ყოველ შემთხვევაში, იშვიათად თუ შევიტყობთ, ამა თუ იმ ათლეტის მიერ ადამიანის შესაძლებლობების ახალი ზღვარის დაწესებას. დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, ყინული გალღვაო, მაგრამ ფაქტია, პოლონელმა რობერტ კორჟენიოვსკიმ 50 კილომეტრზე სპორტულად სიარული ახალ საფეხურზე აიყვანა.

მიუნჰენში მიმდინარე მძლეოსანთა ევროპის ჩემპიონატზე ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ტიტული მსოფლიო რეკორდით დაიცვა. პან რეკორდსმენმა რუსი ვალერი სპიცინის ორი წლის წინანდელი ამგვარი მიღწევა – 3:37.26, სამ საათში, 36 წუთსა და 39 წამში მიუნჰენის ნისლით დაჩრდილა.

"ოლიმპიაშტადიონზე" თავშეყრილი გულშემატკივრები რაღაც უჩვეულოს ელოდნენ, რადგან სარბიელზე ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მძლეოსანი ოფლს ღვრიდა. სიდნეის ოლიმპიადაზე სპორტულად მოსიარულეთა ორივე დისციპლინის მომგები პოლონელი თავს აწონებდა როგორც ჩემპიონატის მასპინძლებს, ისე ორ მილიონამდე გერმანიაში მცხოვრებ თანამემამულეს. პოლონელები ლამის ეროვნულ გმირად შერაცხულ კორჟენიოვსკისგან გამარჯვებას მოელოდნენ და იმედებიც არ გაცრუებიათ.

"მსოფლიო რეკორდის დამხობას სულაც არ ვგეგმავდი, მაგრამ 23 კილომეტრის შემდეგ, როდესაც მონაცემებს თვალი შევავლე, მივხვდი, უფრო სწრაფადაც შემეძლო სიარული. საკუთარ თავს ვეუბნებოდი, მსოფლიო რეკორდს ერთადერთ შემთხვევაში არ დავამხობ, თუ ამის საშუალება კიდევ მომეცემა-მეთქი. ევროპის ჩემპიონობა აქამდეც მომიპოვებია, მაგრამ რეკორდი ჩემთვის ახალი ხილია.

წინა ღამით სიზმარიც ვნახე, უცნობ რუს მეტოქეს მივსდევდი, რომელიც მსოფლიო რეკორდის დამყარებას ცდილობდა და მე მას ვაჯობე", - სიზმრის ახდენა უხარია კორჟენიოვსკის.

მართლაც, პოლონელს მეტოქეობას უწევდა რუსი ალექსეი ვოივოდინი. ფეხდაფეხ მიყოლილმა რუსმა, რომელიც სეზონის უსწრაფეს სპორტსმენად ითვლებოდა, გუშინდელი დაბადების დღისთვის პირადი შედეგი გააუმჯობესა – 30:40.16, და 32 წელი ვერცხლის მედლით აღნიშნა. ოლიმპიური სტადიონის ირგვლივ, დაკლაკნილ გზაზე, ედმონტონის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ, პირველი მედალი (ბრინჯაო) მოიპოვა ესპანელმა, ხესუს ანგელ გარსიამ – 3:44.33.

უჩვეულოდ წარიმართა 1500 მეტრზე პაექრობა. ფინიშის ხაზის ერთნაირი შედეგით (3:45.25) გადაკვეთის შემდეგ, ფრანგ მეჰდი ბაალასა და ესპანელ რეის ესტევეზს შორის ჩემპიონის ვინაობის გარკვევა მსაჯთა გადასაწყვეტი გახდა. ვიდრე ესპანელი და ფრანგი საპატიო წრეზე დადიოდნენ, ფოტო-ფინიშმა დაადგინა, რომ ჩემპიონობა ამ უკანასკნელს ეკუთვნოდა. საკუთარი გამარჯვების ამბავი რომ შეიტყო, ბაალას სიხარულისგან ცრემლები წასკდა. მისგან განსხვავებით, გაოგნებული იყო ესტევეზი, რადგან ეგონა, ჩემპიონობას მას მიაკუთვნებდნენ.

"ბოლო წრე ძალიან სწრაფად ვირბინეთ. დარჩენილი ასი მეტრი ყველაზე დაძაბული გამოდგა. დღეს მეორე ვარ, მაგრამ არა უშავს, შემდეგში პირველი ვიქნები. თავიდან მეგონა, გავიმარჯვე-მეთქი, მაგრამ რაკი წამმზომი ამბობს, რომ მეორე ვარ, ამას უნდა შევურიგდე", - განაცხადა ესტევეზმა.

გაცილებით მშვიდად გამოიყურებოდა ბრინჯაოსანი პორტუგალიელი რუი სილვა:

"ბოლო ას მეტრზე მინდოდა ბაალასთვის გადამესწრო, მაგრამ ხელი მომეცარა. ისე კი ბრინჯაოთითაც კმაყოფილი ვარ."

400 მეტრზე ჩემპიონის ვინაობის გარკვევას ფოტო-ფინიში აღარ დასჭირვებია. ინგო შულცმა სტადიონზე თავშეყრილი 48 ათასამდე თანამემამულე გულშემატკივართა ზეწოლისგან თავი იმით იხსნა, რომ გერმანიას პირველი გამარჯვება მოუტანა.

"უზარმაზარ ზეწოლას ვგრძნობდი, თუმცა ფინიშის ხაზის ჩემპიონად გადაკვეთა ამად ღირდა. მიუხედავად იმისა, რომ დაღლილობას ვგრძნობდი, მაყურებელთა შეძახილებმა ჩემზე დადებითად იმოქმედა. თანაც, მას შემდეგ, რაც ჩემმა გელფრენდმა ანტე ბუშულტემ ცურვაში, ბერლინის ევროპის ჩემპიონატზე, ორჯერ იზეიმა გამარჯვება, მინდოდა, არც მე შევრცხვენილიყავი", - ამბობს შულცი.

მიუნჰენის ოლიმპიურ თამაშებზე სამხტომში ვიქტორ სანეევის მეორე ოქროს მოპოვებიდან 30 წელი გავიდა. დღეს კი იმავე სარბიელზე, საკონტინენტო პირველობისთვის ერთმანეთთან ურთიერთობებს არკვევენ.

არ გამართლდა წინა საჩემპიონატო პროგნოზები. ბრიტანელი ჯონათან ედვარდსი, როგორც წესი, მეტოქეებს პირველივე ნახტომით ჯაბნის. ასპარეზობის მესამე დღეს კი მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. ვერავინ წარმოიდგენდა, თუ მსოფლიოს რეკორდსმენს, მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონ ალბიონელს შვედი კრისტან ოლსონი გზას 17 მეტრით და 53 სანტიმეტრით გადაუღობავდა, რადგან ედვარდს გაცილებით მეტი შეუძლია.

"ეს გამარჯვება ყველაზე ტკბილია. ახლანდელი წარმატება პირველი დიდი სიხარულია. ედვარდსის დამარცხება ჩემთვის ბევრს ნიშნავს. ვიცოდი, რომ მოვიგებდი. თანაც, სეზონი ისე კარგად დავიწყე, რომ დღევანდელი ოქრო არ მიკვირს", - თქვა სკანდინავიელმა.

ესეც რომ არა, ბრიტანელი არც მასპინძელმა ჩარლზ ფრიდეკმა დაინდო. გერმანელმა ჩამოქვეითებულ "ჩემპიონ" ედვარდს ერთი სანტიმეტრით აჯობა – 17.33.

კალათბურთი

## ჯორდანი ერთ წელიწადს დაისვენებს

ლეგენდარულმა კალათბურთელმა, მაიკლ ჯორდანმა განაცხადა, რომ თავისი კლუბის, "ვაშინგტონ ვიზარდსის" რიგებში მხოლოდ მომავალ სეზონში გამოჩნდება. კალათბურთელს დიდხანს აწუხებდა მუხლის ტრავმა, რის გამოც სათუო იყო დიდ კალათბურთში მისი დაბრუნება. გამოკითხვის შედეგად, ჯორდანის ეს გაუჩინარება-გამოჩენა ნაკლებად აღიზიანებთ ამერიკელ გულშემატკივრებს: "მთავარია, მაიკლმა კიდევ ერთ ან ორ სეზონზე ითამაშოს." ჯორდანი კი გვპირდება, მაგრამ წლები გადის და ამ დიდებულ კალათბურთელს სისწრაფე, სიზუსტე და ენერგია აკლდება.

## ფუჩკა „ბარსელონაში"

იტალიის ნაკრების ლიდერი, გრეგორ ფუჩკა ესპანეთის ბარსელონაში ითამაშებს. იტალიელი შარშანდელ ევროლიგაში ბრწყინავდა. მის ანგარიშზე, საშუალოდ, თითოეულ შეხვედრაში 19 ქულა და 8 მოხსნაა. სეზონის დასრულების შემდეგ ფუჩკა ესპანელთა ყურადღების ცენტრშია. კონტრაქტი ორწლიანია და როგორც ხშირად ხდება, დეტალებს არც ერთი მხარე არ ახმაურებს.

## დივაცი მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებს

იუგოსლავიის კალათბურთელთა ნაკრები გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტად იქცა. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც ისედაც ძლიერ იუგებს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვარსკვლავი, ვლადე დივაცი დაემატა. დივაცმა ადრე განაცხადა, რომ ეროვნულ ნაკრებში არ ითამაშებდა. მიზეზად მან ახალგაზრდებისათვის ადგილის დათმობა დაასახელა.ამასთან დაკავშირებით თავისი აზრი იუგოსლაველმა გულშემატკივარმა გამოთქვა: "დივაცი დაბრუნდა და იუგოსლავია მსოფლიო ჩემპიონატზე ამერიკელთა ერთადერთ რეალურ კონკურენტად იქცა. დივაცი, პეია სტოიაკოვიჩი, პრედრაგ დრობნიაკი, ვლადიმირ რადმანოვიჩი, დრაგან ტარლაცი, მარკო იარიჩი და მილოშ ვუიანიჩი - ყველა ეს კალათბურთელი ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში თამაშობს. შემადგელობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სიძლიერით ჩვენი გუნდი მსოფლიოში მეორე ადგილზეა. თუმცა, წინასწარ ვერაფერს ვიტყვით, რადგან უძლიერესებიც აგებენ."

## კრის ვებერსაც იჭერენ

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში კიდევ ერთი ხმაურიანი სკანდალი მოხდა. მიჩიგანის შტატის ფედერალური პროკურორები "საკრამენტო კინგზის" ლიდერს, კრის ვებერს და მიჩიგანის უნივერსიტეტის ხელმძღვანელებს ფულად მაქინაციასა და სასამართლოზე ყალბი ჩვენების მიცემაში ადანაშაულებენ. ჯერჯერობით არ იციან, თუ რამდენ ბრალდებას წაუყენებენ ვებერს, მაგრამ ფიქრობენ, რომ მას მაქსიმუმ 5-წლიანი პატიმრობა და 250 ათასი დოლარის ოდენობის ფულადი ჯარიმის გადახდა ემუქრება.ეს ყველაფერი მაისიდან დაიწყო, როდესაც მიჩიგანის უნივერსიტეტის საკალათბურთო ოპერაციების დირექტორი, ედ მარტინი გაასამართლეს და თამაშების ყიდვა-გაყიდვის გამო, დამნაშავედ ცნეს. გამოძიების მსვლელობისას ამოტივტივდა კრის ვებერის გვარიც. 68 წლის მარტინმა პირდაპირ განაცხადა, რომ სპონსორების მიერ გამოყოფილი თანხიდან ვებერს 280 ათასი გადასცა. დღეს "შარლოტ ჰორნეტსის" მოთამაშემ, რობერტ ტეილორმა 160 ათასი მიიღო. დასახელებულია კიდევ ორი კალათბურთელის - ლუის ბულოკის და მორის ტეილორის გვარები. გამოძიების მსვლელობისას გაირკვა, რომ ვებერმა 40 ათასი დოლარი დააბრუნა. მას ფრიად სერიოზულ პრობლემას უქმნის ის გარემოება, რომ სასამართლოზე ფიცი დადო და შემდეგ მოიტყუა. პროცესი გრძელდება. აივერსონის, სტაუდმაიერის, რობინსონის და კოლმენის საქმეებს ვებერისაც დაემატა. საინტერესოა, ვინ იქნება შემდეგი?

კრივი

## ლუისმა კლიჩკოს ბავშვი უწოდა

WBC და IBF-ის ვერსიებით, საინტერესო განცხადება გააკეთა მსოფლიოს ჩემპიონმა, მძიმეწონოსანმა მოკრივემ, ლენოქს ლუისმა. ბრიტანელი მზადაა, დაიცვას ორივე ტიტული....მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას საკმარის თანხას გადაუხდიან. ლუისი დღეს, ადგილობრივი მთავრობის მიწვევით, იამაიკაშია. "ჩემთვის მთავარია ფული, -აღიარა ინგლისელმა, - თუ ვინმეს სურს კიდევ ერთხელ ნახოს, რა შეუძლია ლენოქს ლუისს, დიდი თანხის გადახდა მოუწევს." ლუისმა შესაძლო პრეტედენტებზეც ისაუბრა. 37 წლის ჩემპიონმა რამდენჯერმე დაასახელა რუსი მოკრივე ვლადიმირ კლიჩკო და აღნიშნა, რომ მასთან ბრძოლა, უბრალოდ, გამორიცხულია. ლუისმა კლიჩკოს "პატარა ბავშვი" უწოდა. ინგლისელმა განაცხადა, რომ კრივიდან წასვლას არ აპირებს. ჩემპიონი გამაღიზიანებლად იქცეოდა და შეხვედრის ბოლოს ასეთი განცხადებაც გააკეთა: "მე არსად მივდივარ. მიმაჩნია, რომ მსოფლიო ღირსია, ჩემი მონაწილეობით კიდევ რამდენიმე შესანიშნავი ბრძოლა იხილოს."

Formula 1

## ეკლსტოუნი ჩინეთს მოელაპარაკა

ფორმულა-1-ს ახალი გრან-პრი დაემატება. ეკლსტოუნმა ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა. ჩინეთი მსოფლიოს ყველაზე მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა და ფორმულა-1-ის ჩემპიონატს მაყურებელი აუცილებლად მოემატება. უკანასკნელი ინფორმაციით, შანჰაის გრან-პრის ორგანიზატორებმა თავი მოუყარეს 400 მილიონ დოლარს და ცოტა ხანში ტრასისა თუ სხვა ნაგებობების მშენებლობაც დაიწყება. უკვე დასრულებულია წინასწარი მოლაპარაკება ფორმულა-1-ის მფლობელსა და ჩინეთის მხარეს შორის. ორგანიზატორები დარწმუნებულები არიან, რომ ტრასის მშენებლობა დათქმულ ვადაში დასრულდება და მომავალი წლის ბოლოს შემოწმებისთვის მზად იქნება. 3,5-კილომეტრიანი სიგრძის ტრასის არქიტექტორი გერმანელი ჰერმან ტიკლია. სწორედ ამ ადამიანს ეკუთვნის კუალა-ლუმპურის, ახალი ჰოკენჰაიმისა და რუსეთის ტრასის პროექტები. აღსანიშნავია, რომ ჩინეთი ჯერ კიდევ 1990 წელს იბრძოდა ფორმულა-1-ისთვის ტრასის ასაშენებლად. მაშინ ეკლსტოუნმა ჩინეთის მიღება ნაადრევად მიიჩნია და ამ ქვეყანას 12-წლიანი ლოდინი დაჭირდა.

## „ფორდი" დაბრუნებას აპირებს

ცნობილი საავტომობილო კონცერნი "ფორდი" ფორმულა-1-ის ჩემპიონატს "ჯორდანის" საჯინიბოს ოფიციალური პარტნიორის სტატუსით უბრუნდება. წინასწარი ინფორმაციით, ორ მხარეს შორის დაიდო სამწლიანი კონტრაქტი. "ფორდმა" "იაგუარის" ყოფილი პარტნიორი, "ჰონდა" შეცვალა. თუ ეს გარიგება შედგა, და ალბათ ეს ასეც იქნება, "იაგუარი" თავისი პარტნიორის "ფორდის" საჯინიბოს სერიოზული კონკურენტი გახდება. ორივე გუნდის მანქანებს ერთნაირი ემბლემა დაამშვენებს და ორივეში ერთნაირი, ფირმა "Cosworth V10"-ის ძრავაა დამონტაჟებული. "იაგუარის" დირექტორმა, ჯეკი სტიუარტმა განაცხადა, რომ ეს "ფორდისათვის" იდეალური შანსია. თუმცა, სტიუარტმა არ დააზუსტა კონტრაქტის პირობები და ხელმოწერის თარიღი. არსებული ინფორმაციით, ყველაფერი უნგრეთის გრან-პრის დროს გაირკვევა.

პრეს-პიესა

# ე.ე. ანუ ერთგული ენრიკო

ლაშა ბუღაძე




ანასტასია ლოზვინენკოს ნახატი

*სცენა 1*

*პრეზიდენტი. მდივანი. დაცვის თანამშრომელი. დაცვის ბიჭი.*

**მდივანი**. ბატონო პრეზიდენტო! ეს ბიჭია, რომ გეუბნებოდით - ლომივით, ხარივით ყმაწვილი!.. უფ! უშიშარი მეტისმეტად!.. ტყვიებს იქით აშინებს!

**პრეზიდენტი**. რა გქვია, ბიჭო?

**დაცვის ბიჭი**. ენრიკო.

**პრეზიდენტი**. რამდენი წლის ხარ, ენრიკო?

**დაცვის ბიჭი**. ოცის.

**პრეზიდენტი**. ოცი წლის ბიჭმა ამხელა კაცი, როგორ უნდა დამიცვა?

**დაცვის ბიჭი**. როგორც თქვენ გეკადრებათ, ისე.

**მდივანი**. პასუხებში ფრიადოსანია.

**პრეზიდენტი**. პროფესიონალი თუა? აი, ეს მაფიქრებს.

**მდივანი**. (*თანამშრომელს*) ბატონო ვახტანგ, გთხოვთ.

*დაცვის თანამშრომელი იარაღს ამოიღებს და რამდენჯერმე ესვრის დაცვის ბიჭს.*

**დაცვის ბიჭი**. ოპ... ოპ!.. ოპ!

**პრეზიდენტი**. (*გაოგნებულია*) უყურე შენ, როგორ იცილებს ტყვიებს!

**მდივანი**. ღმერთმა დაგიფაროთ და, თქვენ რომ გესროლოთ ვინმემ, ეჭვი არ შეგეპაროთ, ტყვიებს თქვენც აგაცილებთ.

**პრეზიდენტი**. ენრიკო, რა გინდა დაცვაში? ახალგაზრდა კაცი ხარ. მოიყვანე ცოლი, გათხოვდი, დაოჯახდი... ვინმემ რომ მოგკლას ჩემს მაგივრად, არ გეშინია?

**დაცვის ბიჭი**. მე არა ვარ მშიშარა. თან მოხუცი მამა მყავს სარჩენი.

**პრეზიდენტი**. შენ აგაშენა ღმერთმა! კარგი, ბატონო, კეთილი იყოს შენი მობრძანება ჩვენთან. დღესვე შეუდგები საქმეს. (*მდივანს*) გავდივარ თუ არა დღეს ქალაქში?

**მდივანი**. ცამეტ საათზე სტომატოლოგთან ხართ დაბარებული.

**პრეზიდენტი**. მე რატომ უნდა ვეახლო? თვითონ ვერ მოვა!

**მდივანი**. არაა პრობლემა, მოვიყვანთ.

**პრეზიდენტი**. ცამეტი - ცუდი რიცხვია.

**მდივანი**. რატომ? ცამეტი - ისტორიულად არაა ცუდი რიცხვი. ცამეტი მაისი, მაგალითად, - მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების დღე; ცამეტი აპრილი - დამოუკიდებლობის დღე; ცამეტი დეკემბერი - ახალი წელი... რითია ცუდი!

პრეზიდენტი. თარსი რიცხვი არაა ცამეტი?

**მდივანი**. აჰ, არა! თარსი - თერთმეტია.

**პრეზიდენტი**. თერთმეტი?

**მდივანი**. კი, თერთმეტი.

**დაცვის თანამშრომელი**. თერთმეტია, ბატონო პრეზიდენტო, თარსი.

**პრეზიდენტი**. თუ ასეა, მომგვარეთ სტომატოლოგი.

**დაცვის ბიჭი**. მიმსახურეთ, პატივცემულო.

*სცენა 2*

*პრეზიდენტი. სტომატოლოგი. დაცვის ბიჭი.*

**სტომატოლოგი**. ჩემს პრეზიდენტს ორი ჭიანი კბილი აქვს. მისი ჭია კი, როგორც მოგეხსენებათ, სახელმწიფო მნიშვნელობის ჭიაა. ღრუ კი არა - უფსკრულია, პოლიტიკური თვალსაზრისით. კარიესი კი არა - ტერაქტია, ჩემი აზრი თუ გაინტერესებთ.

**პრეზიდენტი**. როგორა ხარ, კოტე?

**სტომატოლოგი**. თავად როგორ ბრძანდებით, ბატონო პრეზიდენტო?

**პრეზიდენტი**. არა მიშავს.

**სტომატოლოგი**. კარგად უნდა იყოთ, კარგად!

**პრეზიდენტი**. ჩამხედე ერთი, თუ ღმერთი გწამს!

**სტომატოლოგი**. ახლავე. გააღეთ. არ დახუროთ. ჰო-ჰო! (*თავისთვის*) ჩვენში დარჩეს და, ჭიანი კი არა - ძღნერიანია, მგონი. ბატონო პრეზიდენტო, გამაყუჩებელი უნდა გაგიკეთოთ.

**პრეზიდენტი**. ცუდადაა საქმე?

**სტომატოლოგი**. დიდი არაფერი, ახლავე მოვაგვარებ ყველაფერს.

**პრეზიდენტი**. აი მაიიო ოონ... (*პირი ღია აქვს*).

**სტომატოლოგი**. შევეცდები. (*ნემსს მოიმარჯვებს*) სამჯერ უნდა გაგიკეთოთ ღრძილში. პირველი გეტკინებათ.

**დაცვის ბიჭი**. (*თავისთვის*) გეტკინებაო?..

**პრეზიდენტი**. მიი, მიი...

**სტომატოლოგი**. ბამბა არ გადმოგივარდეთ შემთხვევით... აბა, ერთი, ორი და საა-მი! (*ნემსს ღრძილში დაარჭობს*)

**პრეზიდენტი**. უაი!..

**დაცვის ბიჭი**. (*ჯიბიდან იარაღს ამოიღებს, სტომატოლოგს ყვირილით მივარდება (აააააააააააააააააა!) მუშტს კეფაზე დაჰკრავს; ფეხს მუცელში ჩაარტყამს*)

**სტომატოლოგი**. ვაიმე, დედა... (*ნემსი ხელიდან გაუვარდება*)

**პრეზიდენტი**. ფუ! (*ბამბას პირიდან გადმოაფურთხებს; დაცვის ბიჭს*) რას შვრები, კაცო, შენ.. ენრიკო!

**დაცვის ბიჭი**. რატომ გატკინათ, აბა?

**პრეზიდენტი**. შვილო, დებილი ხო არა ხარ შენ!.. კბილის ექიმია ეგ, - მატკენს, აბა, რას იზამს!

**სტომატოლოგი**. (*კუთავს*) კინაღამ მომკლა... მომკლა კინაღამ...

**დაცვის ბიჭი**. (*ფეხს მუცელში ჩააზელს სტომატოლოგს*) რას ერჩოდი ჩემ პრეზიდენტს?

**სტომატოლოგი**. ვაიმე, დედა!..

**პრეზიდენტი**. გააჩერეთ ეს გადარეული!.. (*ყვირის*) ოთარ! ოთარ!

*შემოდის მდივანი.*

**მდივანი**. (*მონდომებით*) დიახ, ბატონო პრეზიდენტო! დიახ, ბატონო პრეზიდენტო! დიახ, ბატონო პრეზიდენტო! (*დაინახავს, რომ სტომატოლოგი ძირს გდია; მივარდება და ფეხს ჩააზელს*) შე მოღალატე!!

**სტომატოლოგი**. რა გინდათ, ხალხო! რას მერჩით!

**პრეზიდენტი**. შენ რაღამ გადაგრია, ოთარ!

**მდივანი**. რას ნიშნავს - "რამ გადამრია"? შემოვდივარ და რას ვხედავ: სტომატოლოგი ძირს გდია. ეჭვის გარეშეა: ის ენრიკომ დასცა მიწაზე. და რაკი ენრიკომ სტომატოლოგი მიწაზე დასცა - ამას თავისი მიზეზიც ექნებოდა. მიზეზი კი, ალბათ, ასეთია: სტომატოლოგი უცხო ქვეყნის აგენტი ყოფილა, რომელიც შხამიანი ნემსით აპირებდა თქვენი ღრძილების წაბილწვას. სტომატოლოგი - ერთი უჩათლახესი კაცი ყოფილა, რომელიც ზიანს აყენებდა ჩვენს სახელმწიფოს. ამიტომაც მივეცი ჩემს თავს უფლება და დავიყვირე: შე მოღალატე! ჩვენ დღესვე შეგვიძლია მისი დახვრეტა.

**სტომატოლოგი**. გადაირიე, ოთარ! რას ამბობ! რა აგენტი, რის აგენტი!

**პრეზიდენტი**. მე კი მომეჩვენა, რომ ენრიკომ ყოველგვარი მიზეზის გარეშე დასცა სტომატოლოგი მიწაზე, ანუ მე მეგონა, რომ ენრიკო უბრალოდ - გიჟია... მაგრამ, როგორც ახლა ვხედავ, მთლად ასეც არ ყოფილა საქმე!

**სტომატოლოგი**. გიჟია, ბატონო პრეზიდენტო, აბა რა არი! თქვენი ერთგული ვარ მე!..

**მდივანი**. თავს ის იმართლებს, ვინც დამნაშავეა.

**პრეზიდენტი**. ენრიკო, საიდან მიხვდი, რომ კბილის ექიმი - ერის მოღალატეა?

**დაცვის ბიჭი**. რაა?

**მდივანი**. რატომ ცემე სტომატოლოგი, ენრიკო?

**დაცვის ბიჭი**. იმიტომ, რომ კბილი ატკინა პრეზიდენტს.

**მდივანი**. მორჩა და გათავდა. ყველაფერი გასაგებია. ეს არის კოდური ინფორმაცია, რომელსაც რატომღაც გაუშიფრავად გვთავაზობს ჩვენი მუშაკი. არა უშავს. ალბათ, ასეა საჭირო.

**პრეზიდენტი**. დიდი მადლობა, ენრიკო. ამიერიდან, გვერდიდან არ მოგიშორებ.

**სტომატოლოგი**. ბატონო პრეზიდენტო... გამაგებინეთ, რა ხდება! თავს დამნაშავედ ვგრძნობ, მაგრამ არ ვიცი, რა დავაშავე!..

**მდივანი**. ციხეში გეტყვიან!

**სტომატოლოგი**. რა მინდა მე ციხეში!

**მდივანი**. ენა ჩაიგდზე, ძაღლო! გამოტყდი, ვიზე მუშაობ?

**სტომატოლოგი**. არ მესმის, რას ითხოვთ ჩემგან?

**მდივანი**. სიმართლეს მხოლოდ!

**სტომატოლოგი**. ჩემი სიმართლე - ჩემი ხელობაა. მე კბილის ექიმი ვარ. სხვა არაფერი.

**მდივანი**. შენი მოსატყუებელი კბილები უკვე კარგა ხანია გამოცვლილი გვაქვს მეც, პრეზიდენტსაც და, რა თქმა უნდა, ენრიკოს.

**სტომატოლოგი**. ვაი1

**პრეზიდენტი**. ვაი შენ და ჯანდაბა!

**დაცვის ბიჭი**. (*უხერხულად იცინის*) ჰი-ჰი...

*სცენა 3*

*პრეზიდენტი და მისი მეუღლე, ანუ პირველი ლედი.*

**პრეზიდენტი**. რას იტყოდი სექსზე?

**პირველი ლედი**. უკვდავი შეკითხვა: რომელი რომელს?

**პრეზიდენტი**. შენ - მე.

**პირველი ლედი**. მხოლოდ იმიტომ, რომ პრეზიდენტი ხარ.

**პრეზიდენტი**. (*კმაყოფილი ოხრავს*) იფ... იფ! ოხ... ვაიმე!

**პირველი ლედი**. რატომ ოხრავ? ჯერ ხომ არაფერი დამიწყია?

**პრეზიდენტი**. თავს ვილიზიანებ. ეს არის და ეს.

**პირველი ლედი**. აბა. კიდევ ჰქენი.

**პრეზიდენტი**. ვაიმე!.. მიშველეთ!.. ოოხ... იფ! ვაი...

*ოთახში შემოვარდება დაცვის ბიჭი*

**დაცვის ბიჭი**. (*ყელში ეცემა პირველ ლედის*) ააააააააა!.. ხელი გაუშვი ჩემ პრეზიდენტს!

**პირველი ლედი**. ვა... ყე... ღ... უ!..

**პრეზიდენტი**. ენრიკო, გონს მოდი! ჩემი ცოლია ეს!.. ფაქტიურად, სახელმწიფოს მეორე პირი...

**დაცვის ბიჭი**. (*ახრჩობს პირველ ლედის*) რატომ ატკინე ჩემ პრეზიდენტს რაღაცა?

**პრეზიდენტი**. (*ამაოდ ცდილობს პირველი ლედის დახსნას*) ოთარ!.. ოთარ, მიშველე!..

*შემორბის მდივანი.*

**მდივანი**. (*გახარებულია*) სტომატოლოგი დავხვრიტეთ, ბატონო პრეზიდენტო!.. (*ახლაღა აღიქვამს მოცემულ სურათს*) რა ხდება აქ!

**პრეზიდენტი**. (*ქვითინით*) ცოლი დამიხრჩო ამ კრეტინმა!

**მდივანი**. ნუთუ თქვენი მეუღლეც აგენტი იყო?

**პრეზიდენტი**. რეებს მიბედავ, ოთარ! (*გამხეცებული მივარდება ოთარს; ერთმანეთს დაეჭიდებიან; ოთარი თავის დაცვას ცდილობს, შემთხვევით პრეზიდენტზე ხელი მოუხვდება*)

**დაცვის ბიჭი**. (*დაინახავს თუ არა ამას - საშინელი ხმით აბღავლდება*) ააააა! რატომ ატკინე ჩემ პრეზიდენტს? (*მდივანს მივარდება, ხელში აიყვანს და ფანჯრიდან გადააგდებს*)

**მდივანი**. (*ფრენისას - მარტო ხმა ისმის*) მიშვეეე... იმასა ჰქენიიიით...

**პრეზიდენტი**. ენრიკო, ვინც კი მიყვარდა, ყველა მომიკალი! რას მერჩი, ბიჭო! რად მინდა ასეთი ერთგულება! სტომატოლოგი... დიანა... ოთარი... მათ ხომ არაფერი დაუშავებიათ ჩემთვის! პირველი - კბილებს მიკეთებდა... მეორე - სარეცელს იყოფდა ჩემთან... ხოლო მესამე - ...რა ვიცი, რას აღარ აკეთებდა! თუკი ყველა მეგობარი დამიხოცე, მხოლოდ მტრებიღა დარჩებიან ჩემს გარშემო...

**დაცვის ბიჭი**. ჰი-ჰი... (*უხერხულად იცინის*)

*შემორბიან პრეზიდენტის შვილები.*

**შვილები**. ვაიმე!.. დედიკო მოუკლავთ... (*პრეზიდენტს*) შენ მოკალი, არა! ცუდო შენ... ცუდო! (*პაწაწინა მუშტებს ურტყამენ პრეზიდენტს*)

**პრეზიდენტი**. შეჩერდით... ნუ აღიზიანებთ ჩემ დაცვას!.. შეჩერდით-მეთქი... თინიკო! კახა!..

**დაცვის ბიჭი**. აააააა!.. თავი დაანებეთ ჩემ პრეზიდენტს! (*მივარდება ბავშვებთან და ორივეს გადაყლაპავს*)

**პრეზიდენტი**. (*კივის*) ისტერიკა დამემართა! ისტერიკა დამემართა!.. (*ლოყებს იხოკავს*)

**დაცვის ბიჭი**. ბატონო პრეზიდენტო, ნუ იპორჭყნით ლოყებს!

**პრეზიდენტი**. ისტერიკაში ვარ!.. (*კივის*)

**დაცვის ბიჭი**. დაანებეთ მაგ ლოყებს თავი! (*ცემს პრეზიდენტს*)

**პრეზიდენტი**. მომკალი... მომკალი! ბარემ მეც მომკალი!

**დაცვის ბიჭი**. რატომ იფუჭებთ სახის კანს!.. (*ახრჩობს პრეზიდენტს*)

**პრეზიდენტი**. (*ხროტინებს*) მკვლე... ლ... ო... (*კვდება*)

**დაცვის ბიჭი**. (*სარკესთან მივარდება; მიმართავს საკუთარ ანარეკლს*) ვინ მოკლა ჩემი პრეზიდენტი?.. მეე?... აააა! (*ჩაამსხვრევს სარკეს; ჯიბიდან იარაღს ამოიღებს, მიიდებს საფეთქელთან და გაისვრის*)

*ფარდა*

## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს. "სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

TV პროგრამა 10 აგვისტო

### რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
09.00 კურიერი
10.00 პოლტერგეისტი
11.00 მულტსერიალი
12.30 სერიალი "ნიკიტა"
13.30 მხ.ფილმი
15.20 სიმფსონები
16.00 მხ. ფილმი
18.00, 00.00 კურიერი
18.20 რუსული ფილმი
20.00 ჯეოპოპი
21.00 კურიერი PS
22.00 ფსიქო. მხ.ფ. "სასტუმრო ამერიკა"
00.15 მხ.ფ. "მარტოხელა თეთრი ქალი". მთ.როლებში ბრიჯიტ ფონდა, ჯენიფერ ჯეისონ ლი
02.00 ღამის ჯაზი

### პირველი არხი

08.00, 15.00, 20.00, 00.00 მოამბე
08.10 მულტსერიალი "საგრალონი"
09.05 "მსოფლიოს ველური ბუნება"
10.00 "ცირკი"
11.05 "მხიარული კარუსელი"
11.30 დოკ. ფილმი "მეხუთე განზომილება"
11.55 "კვალი"
12.30 "საწინდარი"
13.00 "რეალური სამყარო"
13.20 "ენა დედაა ერისა"
13.45 "ზღვარი"
14.05 "ყველაფერი ქორეოგრაფიაზე"
14.35 "თქვენი უფლებები"
15.15 მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში. მექსიკა - აშშ (განმეორებითი ჩვენება)
17.25 ვახტანგ ტატიშვილის იუბილე
19.00 "ვესტნიკი"
19.40 "დროშა"
20.25 "ქიმერიონი"
21.00 ფეხბურთი საქართველოს პირველობაზე, "ლოკომოტივი" - "მეტალურგი"
21.55 "ოქროს იერუშალაიმი"
23.05 დოკ.სერიალი "მეოცე საუკუნე"
23.25 მეალომანია
00.15 მხ. ფილმი "მიმი მეტალურგის შელახული ღირსება"

### მეორე არხი

19.00 იყო და არა იყო რა
19.30 მხ. ფილმი "ჯუნგლების მეომრები"
21.20 დოკ. ფილმი
22.00 მხ. ფილმი "ჭექა-ქუხილის უღელტეხილი"

### ევრიკა

10.00 მხ. ფილმი "როკისა და ბულვინკლის თავგადასავალი"
12.00 პროგრამა "სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 მუსიკა
15.00, 21.00 ვესტი
15.30 მულტფილმი
17.30 თქვენი ადვოკატი
18.30 სერიალი "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" მე-5 სერია
19.30 ცეროდენა ვარსკვლავები
20.00 თინეიჯერი
21.25 ზერკალო
22.00 ...და ღმერთმა შექმნა ქალი
22.40 თეატრალური შეხვედრები
23.40 მსოფლიო სპორტი
0.40 მხ. ფილმი "ლენი"

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 10.45, 14.10, 17.20, 19.40, 21.45, 22.15, 00.45 მუსიკა
08.30 მხ.ფ. "სიკვდილის მიღმა"
10.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
10.25 საბავშვო სერიალი "მხიარული არდადეგები"
10.50 მხ. ფილმი "შავი კატა, თეთრი კატა"
13.10, 17.30 მულტფილმი
18.00 დოკუმენტური ფილმი
19.30 ჩანახატი
20.00 მხ.ფ. "უკანასკნელი მამაკაცი დედამიწაზე"
22.30 მხ. ფილმი "ალფრედ დიდი"
00.50 ღამის ფილმი

### პირველი სტერეო

07.30 "ცხოვრება სიტყვაში"
10.00 მუსიკალურ-გასართობი პროგრამა "ტოროლა"
12.30 "ვიდეო-რადიო" განმეორებით
14.00 "მუსიკალური ათეული" განმეორებით
15.30 მხ. ფილმი
17.00 "სწ.მედია" მხ.ფ. "დიდი რბოლა"
19.00 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეო-რადიო
21.00 ქართული ათეული
23.00 მუსიკა
00.00 "ბრავო" მხ.ფ. "ადამიანები შავებში", "ნიანგი დანდი ლოს-ანჯელესში", "სიყვარული ბოროტია"
01.50 "ღამურა" მხ.ფ. "პიანისტი ქალი". მთ. როლებში იზაბელ იუპერი, ბენუა მაჟიმელი
03.20 ნონ-სტოპი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი "არმაგედონი"
14.50 მხ. ფილმი "იურული პერიოდის პარკი"
16.50 მუსიკა
17.10 მხ. ფილმი "ნილოსის მარგალიტი"
19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს"
19.20 მულტფილმი
21.00 მუსიკა
22.30 მხ.ფ. "მეხუთე ელემენტი"
00.20 მხ.ფ. "უშველე და შეინარჩუნე"

### მეცხრე არხი

09.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 "დღის ამბები"
09.20 ლიმონი და ლიმონათი
09.35 მულტფილმი "შეჰრაზადა" 24-ე სერია
10.00, 15.00 საინფორმაციო შემეცნებითი მუსიკალური გადაცემა "დილა"
11.20 საბავშვო სერიალი "ალ. მაკის სამყარო" 24-ე სერია
11.45, 17.25, 23.55, 00.20 მუსიკა
11.55 მხ. ფილმი "სხვა და" მთ. როლებში ჯ. ლუისი, დ. კიტონი
14.00 მუსიკალური გადაცემა "ბელისიმო"
14.45 მულტფილმი "კეთილი ჯადოქარი ოზიდან"
16.20 დოკ. ფილმი "ლუი არმსტრონგი"
17.45 დოკ. ფილმი "კორეის კინემატოგრაფი"
18.45 მხ. ფილმი "ერთ მშვენიერ დღეს". მთ. როლებში მიშელ ფაიფერი, ჯორჯ კლუნი
21.10 მხ.სერიალი "ვი. აი. პი. ვალერი აირონსის დაცვის სამსახური"
22.10 მხ. ფილმი "პრაქტიკული მაგია". მთ. როლებში სანდრა ბალოკი, ნიკოლ კიდმანი
00.40 მხ.ფ. "მგლის საქმე" მთ. როლებში სამუელ ლე, ბიანა, ვინსენტ კასელი

### აჭარის ტელევიზია

09.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
09.30 მულტსერიალი "აბა, დამაცადე!"
10.00 თრილერი
11.25 "ექსკლუზივი"
12.00, 16.00, 19.00 საინფორმაციო გამოშვება
12.15 ქართული ფილმი "კროსვორდების ამოხსნის მოყვარულთათვის"
13.30 კომედია "გრილიანტის პოლიციელი"
15.00 ქართული დოკუმენტური ფილმი "ზღვარი"
16.15 მულტფილმი "მგლის ლეკვი"
17.30 თრილერი "დედოფლის სიკვდილი"
19.20, 22.30, 00.30 საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი"
19.30 "პრესდაიჯესტი"
19.40 "ყველანი ვართ პატარები"
19.50 დოკუმენტური ფილმი "ძველი ეგვიპტე"
20.25 ქართული მხატვრული ფილმი "ლომა" 1 სერია
21.40 "ფოკუსი"
22.00, 00.00 საინფორმაციო გამოშვება "დღეს"
22.50 Слово
23.30 დოკუმენტური ფილმი
00.50 თრილერი "მკვლელის წერილები"
03.30 დრამა "მეფე ცოცხალია"

### VII არხი

18.00, 21.45,23.00,01,55 ანონსი
18.05,21.50 ამინდის პროგნოზი
18.15 მუსიკალური ტაიმაუტი
18.35 "სახლიდან გაუსვლელად"
19.00 "აჩიკუდა"
19.25 "ბედნიერი ერი" ილიას პუბლიცისტური წერილების მიხედვით.
19.45 მუსიკალური ტაიმაუტი
20.00 რაგბი. 3 ერი. აფრიკა – ზელანდია.
21.35 "სახლიდან გაუსვლელად"
22.10 "საყვარელი ფილმი" – "საშინაო დავალება" ა.შ.შ. 1999 წელი. კომედია. რეჟისორი – შონ მაკნამარი. მთავარ როლში: ჯიმ ვარნი.
23.35 პრესის მიმოხილვა
23.50 "სახლიდან გაუსვლელად"
00.20 მუსიკალური ტაიმაუტი
00.50 მხ.ფ.ჟანრებში – მხ.ფ. "ქამელეონი" ა.შ.შ. 1999 წელი. მძაფრსიუჟეტიანი. რეჟისორი – სტიუარტ კუპერი. როლებში: ბოგი ფილიპსი, ერიკ ლოიდი.
02.00 პრესის მიმოხილვა

### ОРТ

08.05 Сериал "Правда о птицах"
09.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости.
09.10 "Играй, гармонь любимая!"
09.50 Слово пастыря.
10.05 сериал "СОБАЧЬЕ ДЕЛО"
11.10 Смехопанорама Евгения Петросяна
11.45 Смак
12.05 Детектив "ПОЕДИНОК"
12.35 "СТРАХОВОЙ АГЕНТ"
13.50 "Что-бы помнили" 14.30 Дисней-клуб
15.10 "БЕГЛЕЦ"
16.10 "НЕУКРОТИМЫЙ"
18.30 Концерт Ю.Антонова
20.00 Юмористическая программа Евгения Петросяна
21.00 "Кто хочет стать милионером?"
22.00 Время
22.30 х.ф. "ЧЕЛОВЕК ДОЖДЯ"
01.00 "БЕЗ ПРЕДЕЛА"
02.50 Реальная музыка

### РТР

07.35 х.ф. "БЕЗ ПРАВА НА ОШИБКУ"
09.00 Здоровье и жизнь
09.35 Золотой ключ
09.55 Доброе утро, страна!
10.30 "Вокруг света"
11.30 "КОРОЛЕВА КРАСОТЫ, ИЛИ ОЧЕНЬ ТРУДНОЕ ДЕТСТВО"
11.55 Телеигра "Сто к одному"
12.45 х.ф. "ДА ЗДРАВСТВУЕТ ЛАС-ВЕГАС"
14.25 сериал "КОМЕДИЙНЫЙ КОКТЕЙЛЬ"
15.00, 21.00 Вести
15.20 х.ф. "НОЧНОЕ ПРОИСШЕСТВИЕ"
17.00 Футбол. Чемпионат России. "Зенит" - "Уралан"
19.00 Моя семья
19.55 Аншлаг
21.25 х.ф. "ГЕРОЙ ЕЕ РОМАНА"
23.15 х.ф. "КРИКУНЫ"
01.25 Легкая атлетика. Чемпионат Европы.
02.50 Твин-пикс

### НТВ

07.35 "БЕЛЕЕТ ПАРУС ОДИНОКИЙ"
09.00, 11.00, 13.00, 17.00, 20.00 Сегодня.
09.15 Вкусные истории
09.25 "ЗОНТИК ДЛЯ НОВОБРАЧНЫХ"
11.20 х.ф. "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ"
12.20 "Квартирный вопрос"
13.20 фильм "ГАРАЖ"
15.20 Вкусные истории
15.35 Путешествия натуралиста
16.05 Своя игра
17.25 "Неизвестная планета"
18.20 Чистосердечное признание
18.50 "Женский взгляд"
19.30 Вы будете смеяться!
20.35 фильм "ОХОТА НА ЗОЛУШКУ"
21.35 фильм "АВАРИЯ" - ДОЧЬ МЕНТА"
23.35 Бокс
00.35 фильм "ОДИНАДЦАТЬ ДНЕЙ, ОДИНАДЦАТЬ НОЧЕЙ - 2"

TV პროგრამები მოგვაწოდა სააგენტო "ინფოზავრმა"

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული. ტელ: 202424, 200024
იბეჭდება გამომცემლობა "სამშობლოს" სტამბაში